


1239
2001

ISSN 1512 - 0880



საქართველოს ბიბლიოთეკა



№4 2001



125-წელი ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან

წურნალის თანმდგომთა საბჭო

ნოდარ ამალლობელი
შოთა აფაქიძე
ლევან ბერძენიშვილი
თამაზ გამყრელიძე
სესილი გოგიბერიძე
მალხაზ ზაალიშვილი
დავით თარხან-მოურავი
ნანა კანდელაკი
ალექსანდრე კარგოზია
თეიმურაზ კომახიძე
ლია ნადარეიშვილი
თემურ ქლენგი
ვახტანგ სართანია
აკაკი სიხარულიძე
ბაკურ სულაკაური
ირაკლი ღარიბაშვილი
რევაზ ღლონტი
თეიმურაზ ჩხენკელი
ირინა ჭანტურიშვილი

წურნალის რედაქცია

ალექსანდრე ლორია-მთავარი რედაქტორი
გურამ თაყნიაშვილი-მთავარი რედაქტორის მოადგილე,
პასუხისმგებელი მდივანი
მზია რაზმაძე-კომერციული დირექტორი
გულნარა სგურუა-სამეცნიერო-მეთოდური და კორექს-
პონდენტებთან მუშაობის რედაქტორ-კოორდინატორი
ნანა ქავთარაძე-საქმის მწარმოებელი და კორექტორი

ინდესწარმო "ალი"

დამფუძნებელ-გამომცემლები: საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, 380007 გუდიაშვილის ქ. 7
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ტელ. 93-26-82



წურნალი დაკავალდონებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში გიორგი თაყნიაშვილის მიერ

წურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ



შინაარსი

ავტორი და ბიბლიოთეკა	4
ოზიციალური განყოფილება	
IFLA - განცხადება ბიბლიოთეკებისა და ინტელექტუალური თავისუფლების შესახებ.....	5
ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილება.....	7
საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის დებულება.....	8
ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მდგომარეობა საშუაუნის დასაწყისში	
ვერა წერეთელი – ბიბლიოთეკა მოსწავლე მკითხველთა სამსახურში.....	11
ეთერ გოგუელიძე – ბოლნისი ძველი, ბოლნისი ახალი: ბიბლიოთეკა მსოფლიო გონების საგანძური..	13
რასა ნიჭარაძე – სოხუმის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია.....	14
ნინო ყარალაშვილი – ქ. რუსთავის ი. გოგებაშვილის სახელობის N 1 საბავშვო ბიბლიოთეკა 50 წლისაა.....	16
ინგა ფილაური – ბიბლიოთეკის ახალმოსახლეობა.....	18
ბიბლიოთეკა და საზოგადოება	
დარეჯან გაბელაია – საბიბლიოთეკო საქმე და დემოკრატია	20
მარიკა კალანდარიშვილი – არასამთავრობო ორგანიზაციები და ბიბლიოთეკები.....	22
ირაკლი ღარიბაშვილი – საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია: ერთუმიანში და მისი საფუძველი.....	24
გურამ თაყნიაშვილი – ერის სულიერი წამალი: წერილი მეორე.....	30
ტერმინოლოგიური კიბანი	
ბადრი ცხადაძე – პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინები ქართულში: წერილი მეორე..	33
ისტორიის ფურცლებიდან	
თენგიზ ჩხიგუნძე – ნიკო ცხვედაძე – სასკოლო ბიბლიოთეკის დიდი მოამაგე.....	39
გვესაუბრებიან პროფესიონალები	
გულნარა ფირცხალავა – წიგნი სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.....	41
ნატო მჭედლიშვილი – საბავშვო ბიბლიოთეკების ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში.....	44
პროფესია და პროფესიონალები	
გუგული ჯინჭარაძე – ბიბლიოთეკარობა საყვარელი პროფესიაა – როგორი უნდა იყოს იგი....	46
უცხოეთის ბიბლიოთეკები	
თორნიკე გურული – გავეცნოთ ბაარლანდის უნივერსიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკას..	48
კეთრინ ედვარდსი, გრენ ვოლტონი – ცვლილებები აკადემიურ ბიბლიოთეკაში.....	49
გორან ბელერსტამი – ელექტრონული მომსახურების გავლენა ბიბლიოთეკის ორგანიზაციასა და მართვაზე.....	53
გვიზიარებენ გამოცდილებას	
ნათელა ლობჯანიძე – დაუსწრებელი მოგზაურობა თემაზე “გივით მდინარე მტკვარზე”.....	56
ნელი ჯარიაშვილი – სამადლობელი სიგყვა.....	57
იუბილე	
გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოგრაფიის ადგილი ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში.	58
ალექსანდრე ლორია – ნიკოლოზ გიორგის ძე ლორთქიფანიძე (100).....	60
პოლემიკა	
ნანა ქავთარაძე – პასუხი ლ. თაქთაქიშვილის სტაგიაზე.....	63
ინფორმაცია და ბიბლიოგრაფია	
დარეჯან კოტეგიშვილი, მზია გოგონძე – ნიკო ლორთქიფანიძე – ბიბლიოგრაფია.....	65
ინგა ფილაური – ანოტირების მეთოდიკა.....	66
ფრანგული ცენტრის საჩუქარი.....	67
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები.....	68
ჩვენი შემოქმედება	
მარიამ შამფრიანი – რჩეული პროფესია.....	69
რაც გვესმის წიგნისა და ბიბლიოთეკის შესახებ.....	71
კონწარას კლუბი	72





TABLE OF CONTENTS

THE AUTHOR AND THE LIBRARY	4
OFFICIAL SECTION	
IFLA STATEMENT ON LIBRARIES AND INTELLECTUAL FREEDOM	5
RESOLUTION OF TBILISI GOVERNMENT	7
REGULATION OF GEORGIAN STATE HIGH-SCHOOL LIBRARIES	8
OUR LIBRARIES : THEIR CONDITIONS	
Vera Tsereteli – Library Serving Students	11
Eter Gogshelidze – Old Bolnisi, New Bolnisi: Library As The World Intellectual Treasury	13
Raisa Nizharadze – The History Of Sukhumi University Library	14
Nino Karalashvili – The 50 th Anniversary Of Gogebashvili Library For Children N1 Of Rustavi ...	15
Inga Pilauri – The House-Warming Of The Library	16
LIBRARY AND THE SOCIETY	
Darejan Gabelaia – Librarianship And Democracy	18
Marika Kalandarishvili – Non-Governmental Organizations And Libraries	20
Irakli Garibashvili – Georgian Library Association; Enthusiasm And Its Base	22
Guram Takniashvili – Spiritual Medicine For The Nation: The second letter	24
TERMINOLOGICAL SEARCHES	
Badri Tskhadadze – Paleographical Bibliognostical Terms In Georgian Language: The Second Letter....	30
FROM THE PAGES OF HISTORY	
Tenhiz Chkhitudze – Niko Tskhvedadze – The Great Supporter Of The School Library	33
WHAT THE PROFESSIONALS SAY.....	39
Gulnara Firtzkhalava – A Book For Children Under School Age And Younger	41
Nato Mchedlishvili – Place Of Libraries for Children In The Educational System	44
PROFESSION AND PROFESSIONALS	
Guguli Jincharadze – Librarianship Is The Favorite Profession – What Ought To Be	46
IN THE LIBRARIES ABROAD	
Tornike Guruli - Let Us Meet With Saarland University And State Library	48
Kethrene Edwards, Gren Walton – Changes In The Academic Library	49
Goran Belerstaim – The Influence Of Electric Service On The Organization And Management Of The Library	53
SHARING THE EXPERIENCE	
Natela Lobzhanidze – Virtual Traveling On The Theme “By Raft On The River Mtkvari”	56
Neli Jariashvili – Thankfull Speech	57
THE JUBILEE	
Guram Takniashvili – Place Of Bibliography In The Scientific Heritage Of Ivane Javakhishvili ...	58
Aleksandre Loria – Nikoloz Lorthkipanidze (100)	60
POLEMICS	
Nana Kavtaradze – Reply On The Article Of L. Taktakishvili	63
INFORMATION AND BIBLIOGRAPHY	
Darejan Kotetishvili, Mzia Togonidze – Niko Lorthikapnidze-Biobibliography	65
Inga Filauri – Methodology Of Annotation	66
GIFT FROM THE FRENCH CENTRE	67
CHRONICLE	
CHRONICLE OF THE LIBRARY LIFE OF GEORGIA: EVENTS, FACTS	68
MARIAM SHAMFRIANI – DISTINGUISHED PROFESSION	69
WHAT WE HEAR ABOUT BOOK AND LIBRARY	71
KONCARAS CLUB	72

СОДЕРЖАНИЕ

АВТОР И БИБЛИОТЕКА.....	4
ОФИЦИАЛЬНЫЙ РАЗДЕЛ	
ИФЛА—Заявление о библиотеках и интеллектуальной свободе.....	5
Постановление городского совета г.Тбилиси.....	7
Положение о библиотеке государственного высшего учебного заведения.....	8
НАШИ БИБЛИОТЕКИ: ИХ СОСТОЯНИЕ В НАЧАЛЕ ВЕКА	
Вера Церетели—Библиотека на службе читателей-учащихся.....	11
Этер Гогшелидзе—Болниси древний—Болниси новый:библиотека—сокровищница мировой мысли.....	13
Раиса Нижарадзе—История библиотеки Сухумского университета.....	14
Нино Каралашвили—50 лет детской библиотеке №1 им. Я. Гогешашвили г. Рустави.....	16
Инга Пилаури—Новоселье библиотеки.....	18
БИБЛИОТЕКА И ОБЩЕСТВО	
Дареджан Габелаиа—Библиотечное дело и демократия.....	20
Марика Каландаришвили—Неправительственные организации и библиотеки.....	22
Иракли Гарибашвили—Грузинская Библиотечная Ассоциация : основания для энтузиазма.....	24
Гурам Такниашвили—Духовный целитель нации:Письмо 2-ое.....	24
ТЕРМИНОЛОГИЧЕСКИЕ ИЗЫСКАНИЯ	
Бадри Цхададзе—Палеографические- книговедческие термины в грузинском языке: Письмо 2-ое.....	30
СТРАНИЦЫ ИСТОРИИ	
Тенгиз Чхитунидзе—Нико Цхведадзе—великий труженик школьных библиотек.....	33
БЕСЕДУЕТ ПРОФЕССИОНАЛ	
Гульнара Пирцхалава—Книга для детей дошкольного и младшего возраста.....	39
Нато Мчедlishvili—Роль детских библиотек в системе образования.....	41
ПРОФЕССИЯ И ПРОФЕССИОНАЛЫ	
Гугули Джинчарадзе—Библиотечная работа—любимая профессия,какой она должна быть.....	44
ЗАРУБЕЖНЫЕ БИБЛИОТЕКИ	
Торнике Гурули—Познакомимся с университетской и областной библиотекой Заарланда (Германия).....	46
Кетрин Эдвардс, Грен Волтон—Перемены в академической библиотеке.....	48
Горан Беллерстам—Влияние электронных услуг на организацию и управление библиотекой.....	49
ДЕЛЯТСЯ ОПЫТОМ	
Натела Лобжанидзе—Заочное путешествие по теме «По Куре».....	53
Нелли Джариашвили—Слово благодарности.....	56
ЮБИЛЕИ	
Гурам Такниашвили—Библиография в научном наследии Иване Джавахишвили.....	57
Александр Лория—Николай Георгиевич Лорткипанидзе (100).....	58
ПОЛЕМИКА	
Нана Кавтарадзе—В ответ на статью Л. Тактакишвили.....	60
ИНФОРМАЦИЯ И БИБЛИОГРАФИЯ	
Дареджан Котетишвили, Мзия Тогонидзе—Нико Лорткипанидзе—библиография.....	63
Инга Пилаури—Методика аннотирования.....	65
Подарок французского центра.....	66
ХРОНИКА	
Библиотечная жизнь Грузии: события, факты.....	67
НАШЕ ТВОРЧЕСТВО	
Мариам Шамприани—Избранная профессия.....	68
О книге и библиотеке.....	69
клуб концары	72



ბიბლიოთეკების სამოგალოებრივ საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ურთიერთობას ავტორებთან. ავტორი ყოველთვის ითვლებოდა და ითვლება ბიბლიოთეკის ყველაზე საპატიო სტუმრად. საბიბლიოთეკო ღონისძიებათა შორის ბიბლიოთეკის მომხმარებლებს ისე არაფერი აინტერესებთ და ახალისებთ, როგორც შეხვედრები ავტორებთან.

ჩვენი ბიბლიოთეკები საკმაოდ ბევრს აკეთებენ ამ მიმართულებით. ცნობილ მწერლებსა და მეცნიერებთან შეხვედრების გარდა, ისინი სამოგალოებას აცნობენ ახალბედა მწერლებს, ბევრ ახალგაზრდა შემოქმედს გზას ულოცავენ თავიანთი მოღვაწეობის დასაწყისში. ეს შემოქმედთა იმპულსის გაძლიერებას, მათში ენერჯის მომღვავეებასა და თვითდაჯერებულობას უწყობს ხელს, რაც ფრიალ მნიშვნელოვანი მომენტია მოღვაწე ადამიანისათვის.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, ავტორთან შეხვედრა ხდება როგორც დასწრებულად, ისე დაუსწრებლად – როცა ბიბლიოთეკის მომხმარებლებს ავტორთა პიროვნებასა და მათ წიგნებს აცნობენ. ასე ხდება ავტორებთან „შეხვედრები“. მაგალითად, ლიგერატურის გამოფენების, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების დროს, საინფორმაციო ბიულეტენებისა და სიების გაცნობისას, წიგნების გარჩევა-განხილვების პროცესში და ა.შ.

ბოლო ხანებში ბიბლიოთეკებში მეტად საგულისხმო გრადიცია დამკვიდრდა: სხვადასხვა გამოცემების პრემენგაცია, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ავტორები ესწრებიან. ამგვარი ღონისძიების დროს, გარდა იმისა, რომ მკითხველები ეცნობიან პირადად ავტორს, მის წიგნებს და ხდება ამ პიროვნების შემოქმედების პოპულარიზება და რეკლამირება, ამავე დროს ავტორს საშუალება ეძლევა გაეცნოს მომხმარებელთა მოსაზრებებს, მათ შეხედულებებს, შეაფასოს თავისი ნაღვაწი, დაინახოს საკუთარი ნაკლი თუ დადებითი მხარეები. ყოველივე ამან შეიძლება წარმოშვას ახალი იდეები და ამოცანები. ახალი ენერჯით აღავსოს შემოქმედი ადამიანი, გაუცხოველოს შრომითი ძალები.

ავტორისათვის ბიბლიოთეკების ამგვარი საქმიანობა, უდავოდ, სასარგებლო და ფრიალ მნიშვნელოვანია. ბიბლიოთეკა კი, ცხადია, ამას აკეთებს ყოველგვარი საკუთარი ინტერესების გათვალისწინების გარეშე, ოღონდ ეს სასარგებლო იყოს მისი მომხმარებლისა და ავტორისათვის. ბიბლიოთეკის კეთილშობილური მიზნები ამ შემთხვევაში იმაში გამოიხატება, რომ ის აკეთებს სამოგალოებისათვის სასარგებლო და, ამდენად, ფრიალ მნიშვნელოვან საქმეს. ავტორებთან შეხვედრა – ეს არ არის ფორმალური, თანაც უბრალოდ ესთეტიკურად ღირებული ღონისძიება – მას საკმაოდ ღრმა შინაარსი და სერიოზული დანიშნულება აქვს. სხვა ღირებულებთან ერთად ამ უანგარობისთვისაც უყვარს ბიბლიოთეკა სამოგალოებას. მაგრამ ბიბლიოთეკა თავისთავად მოვალეა ასე მოიქცეს, ეს მისი ფუნქციონალური დანიშნულებაა, რაც არც მკითხველებზე და, მით უფრო, არც ავტორებზე არ ითქმის.

ავტორს არავითარი ფუნქციონალური ვალდებულება არ აკისრია ბიბლიოთეკის წინაშე. მისი დამოკიდებულება ბიბლიოთეკის მიმართ მორალურ-ეთიკური კატეგორიისა და ყველაფერი პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული.

მაღალმწიფობრივი პრინციპები მოითხოვს, ავტორი მოწიწებით ეკიდებოდეს ბიბლიოთეკას, პატივს სცემდეს მას, თავს ვალდებულად გრძნობდეს მის წინაშე. მით უფრო სათქმელია ეს დღეს, როდესაც ჩვენში ბიბლიოთეკების მდგომარეობა კატასტროფულია: წლები გადის, ბიბლიოთეკების უმრავლესობა ახალ წიგნებს ვერ იძენს, ვერ იწერს პერიოდიკას, დაქვეითებულია მაგერიალურ-ტექნიკური ბაზა. ამ შემთხვევაში ავტორების მხარში დგომა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. როგორც მოქალაქეს, ყოველ ავტორს წესად უნდა ჰქონდეს, თავისი თითო წიგნი საჩუქრად გადასცეს ეროვნულ ბიბლიოთეკას, სარაიონო საბიბლიოთეკო გაერთიანების ცენტრს და იმ ბიბლიოთეკას, რომლითაც ის სარგებლობს ან მუდმივ აბონენტს წარმოადგენს. ბოლოს და ბოლოს. არაა ეს არც ტექნიკურად და არც მაგერიალურად ძვილად განსახორციელებელი.



ბიბლიოთეკებსა და ავტორებს შორის, საერთოდ, არსებობს ოფიციალური დამოკიდებულებებიც. ეს შეიძლება შეეხებოდეს ხელშეკრულებით ურთიერთობებს, მომსახურების შეღავათებს, ფინანსურ პირობებს და ა.შ. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში იურიდიულად არის მოწესრიგებული ან მოითხოვენ ამის მოწესრიგებას, რომ ბიბლიოთეკები, რომლებშიც მომხმარებლები სარგებლობენ ამა თუ იმ ავტორის წიგნებით, ამისათვის რაღაც გასამრჯელო ცოცხალ ავტორებსაც მიეცეთ. ან კიდევ, თუკი რომელიმე ავტორის წიგნიდან ბიბლიოთეკა ამზადებს ასლებს და ამაში დადგენილ გასამრჯელოს იღებს, შემოსავლის რაღაც წილი ავტორებსაც უნდა მიეცეს და სხვ. რაც შეეხება კონგრეგაციებს, ეს ხომ უკვე კანონით აკრძალული მოვლენაა და თუკი ბიბლიოთეკის მხრივ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი, ეს უკვე სასამართლო საქმესაც კი წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ავტორსა და ბიბლიო-

თეკას შორის მრავალგვარი ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს. მაგრამ უმთავრესად მაინც მოქალაქეობრივი და ჰუმანისტური მიდგომა უნდა დომინირებდეს. ჩვენი მრავალი ავტორი მართლაც მაღალმოქალაქეობრივ გრძნობებს ავლენს: უსასყიდლოდ, უშურველად აწვდის ბიბლიოთეკებს თავიანთ წიგნებს, მაგრამ ბევრნიც არიან ისეთები, რომლებსაც, საერთოდ, არც კი ავტონღებათ, თუნდაც ერთი წიგნი გადასცენ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ. ბევრი ავტორი მიმართავს ბიბლიოთეკებს, როგორმე შეიძინონ მისი წიგნები, მაგრამ უფასოდ თუნდაც ერთი დაუტოვონ, ამის მსურველები ნაკლებად არიან.

იმედია, ქართველი ავტორები – მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, უპირველეს ყოვლისა, კეთილშობილური მოსამრებებით ითანამშრომლებენ ჩვენს ბიბლიოთეკებთან და ამ მძიმე პირობებში უანგაროდ ამოუღებინათ მათ მხარში.

ოფიციალური განყოფილება

IFLA-ს განცხადება ბიბლიოთეკებისა და ინტელექტუალური თავისუფლების შესახებ

განცხადება მომზადდა IFLA/FAIFE - ის მიერ და დაამტკიცა IFLA -ს აღმასრულებელმა საბჭომ

IFLA (საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებათა საერთაშორისო ფედერაცია) ეხმარება, იცავს და მხარს უჭერს ინტელექტუალურ თავისუფლებას, როგორც ეს ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში.

IFLA აცხადებს, რომ ცოდნის მიღება, შემოქმედებითი ამროვნება, ინტელექტუალური მოღვაწეობა და სახალხოდ საკუთარი შეხედულებების გამოთქმა - ადამიანის ძირითადი უფლებებია.

IFLA თვლის, რომ ცოდნის უფლება და სიგყვის თავისუფლება ეს ერთი და იგივე პრინციპის ორი მხარეა. ცოდნის მიღების უფლება არის ამროვნების თავისუფლებისა და სინდისის პირობა. ხოლო ამროვნებისა და სიგყვის თავი-

სუფლება ინფორმაციის თავისუფალი მიღების აუცილებელი პირობაა.

IFLA აცხადებს, რომ ინტელექტუალურ თავისუფლებაზე პასუხისმგებლობა ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო საქმის სპეციალისტების ძირითადი ამოცანაა.

ამიგომაც **IFLA** მოუწოდებს ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, მყარად იდგნენ ინტელექტუალური თავისუფლების, ინფორმაციის შეუმღუდავი მიღებისა და სიგყვის თავისუფლების პრინციპებზე. ასევე პატივი სცენ ბიბლიოთეკის მომხმარებლის კონფიდენციალობის უფლებას.

FLA მოუწოდებს მის წევრებს, აქტიურად დაუჭირონ მხარი ამ პრინციპების მიღებასა და

განხორციელებას. ამისათვის IFLA აცხადებს, რომ: ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ ინფორმაციის, იდეებისა და შემოქმედებითი ნაშრომების თავისუფალ მიღებას. ისინი წარმოადგენენ ცოდნის, ამროვნებისა და კულტურის კარიბჭეს.

- ბიბლიოთეკებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პიროვნებების და ჯგუფების მუდმივ სწავლებაში, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებასა და კულტურულ განვითარებაში სიცოცხლის მთელ მანძილზე.

- ბიბლიოთეკები ხელს უწყობენ ინტელექტუალური თავისუფლების განვითარებასა და შენარჩუნებას და აგრეთვე ძირითადი დემოკრატიული თავისუფლებისა და საერთაშორისო სამოქალაქო უფლებების დაცვას.

- ბიბლიოთეკები პასუხისმგებლები არიან უზრუნველყოფის და გააიოლონ ცოდნისა და ინტელექტუალური მოღვაწეობის გამოხატულების მიღება. ამ მიზნით, ბიბლიოთეკებმა უნდა შეიძინონ, დაიცვან და ხელმისაწვდომი გახადონ მასალების ფართო ნაირსახეობანი, რომლებიც ასახავენ საზოგადოების პლურალიზმსა და სხვადასხვაობას.

- ბიბლიოთეკებმა უნდა უზრუნველყონ ბიბლიოთეკის მასალის არჩევა და ვარგისიანობა და მკითხველს მოემსახურონ პროფესიონალურად და არა პოლიტიკური, მორალური და რელიგიური შეხედულებების მიხედვით.

- ბიბლიოთეკებმა უნდა შეიძინონ, ორგანიზაცია გაუკეთონ და თავისუფლად გაავრცელონ ინფორმაცია და წინ აღუდგნენ ცენზურის ნებისმიერ

ფორმას.

- ბიბლიოთეკებმა ყველა მომხმარებლისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა გახადონ მასალები, ტექნიკური საშუალებანი და მომსახურება. დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი, რელიგიური, სქესობრივი, ასაკობრივი ან რომელიმე სხვა მიზეზის გამო.

- ბიბლიოთეკის მომხმარებლებს უნდა ჰქონდეთ პიროვნული საიდუმლოებისა და ანონიმურობის უფლება. ბიბლიოთეკებმა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა არ უნდა გაუმხილონ გარეშე პირებს მომხმარებლის პიროვნული მონაცემები ან მის მიერ გამოყენებული მასალა.

- საზოგადოებრივი ფონდებიდან დაფინანსებულმა ბიბლიოთეკებმა, რომლებიც ემსახურებიან ფართო საზოგადოებას, უნდა დაიცვან ინტელექტუალური თავისუფლების პრინციპები.

- ამგვარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარები და თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან ეს პრინციპები.

ბიბლიოთეკარებმა და ბიბლიოთეკის სხვა თანამშრომლებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი როგორც თანამშრომლის, ისე მომხმარებლის მიმართ. ამ ორ ვალდებულებას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა მომხმარებელს ეძლევა.

ინფორმაციის თარგმანა: დ.სულაჰიძე (საქართველოს მშენებლობათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სწავლული პოლიტიკა)

მასალა გამოქვეყნდა 2000 წელს. http://www.faife.dk/policy/iflastat/iflastat_ge.htm



საპრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა მუდმივი კომისიის წინადადებები მუნიციპალური ბიბლიოთეკების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ 24 ოქტომბერი, 2001 წ.

ქ.თბილისში არსებული კულტურის სამსახურის სისტემის 58 ბიბლიოთეკა ერთიანდება ცენტრალიზებულ სისტემაში ბიბლიოთეკა-ფილიალების სახით, ერთიანი წიგნადი ფონდით, შტაგებით, ერთიანი ხელმძღვანელობით, ლიგერატურის ცენტრალური დაკომპლექტებითა და დამუშავებით, მაგერიალური საშუალებებით და სამეურნეო საქმიანობით.

დღეს ჩვენი ბიბლიოთეკები ისეთივეა, როგორც ჩვენი დღევანდელიობა და სოციალური ყოფა. მუნიციპალური ბიბლიოთეკების უმრავლესობა სადღეისოდ უმძიმეს მდგომარეობაშია, წლობით არ მომხდარა ფონდის შევსება, ნაგებობათა რემონტი, კაბრების რეალური განახლება და გადამზადება.

დაბალ დონეზეა კოორდინაცია პრობლემების დაძლევისა და განვითარებისათვის. ბიბლიოთეკების პოპულარობა კლებულობს. ხშირია მათი გაუქმება. არ არსებობს ეროვნული სტანდარტები. სუსტია კოორდინაცია ბიბლიოთეკას, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, ინფორმაციის საშუალებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

გადაუდებელია ახალი მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების დანერგვა, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი საინფორმაციო მასალათა გამოცემა და გავრცელება, ქართული დოკუმენტების შეგანა საინფორმაციო საშუალებებში.

დიდი სამუშაოებია ჩასაგარებელი საბიბლიოთეკო საქმის ახლებურად აგებისა და სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის საბიბლიოთეკო მართვის თანამედროვე კონცეფტუალური მეთოდოლოგიის საფუძვლებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკების თანამშრომლები საკუთარი ენთუზიამისა და საქმისადმი ერთგულების ხარჯზე ახერხებენ ამ მუნიციპალური საინფორმაციო კულტურულ საგანმანათლებლო კერების შენარჩუნებას, მაგრამ დღეს შეუძლებელია მხოლოდ მათ ენთუზიამზე იყოს დამოკიდებული ამ დარგის სიცოცხლისუნარიანობა, მუნიციპალური

ბიბლიოთეკები განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან სწორედ ისინი უნდა იქცნენ ახლებური საზოგადოების ჩამოყალიბების კერებად.

ძირითად და გადამჭრელ საკითხად მიგვაჩნია ბიბლიოთეკების მართვის ახალი ფორმების ჩამოყალიბება. მკაფიოდ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის საფუძველზე, რათა ოპტიმალურად იქნეს გამოყენებული არსებული რესურსები და გამოიძენოს საზოგადოებასთან თანამშრომლობის თანამედროვე მეთოდები და ხერხები.

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა არა მარტო საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესება, არამედ მათი საქმიანობის ხარისხისა და პროდუქტიულობის გაზრდა.

ამ სფეროში არსებული ინტელექტუალური და ფინანსური საშუალებების გამოყენების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ბიბლიოთეკების შენარჩუნებისა და განვითარების საკითხთა საბჭო, როგორც სათათბირო-საკოორდინაციო და პასუხისმგებელი ორგანო ამ მეტად მნიშვნელოვანი სფეროს განვითარებისათვის.

სანამ საბჭო დაიწყებდეს ფუნქციონირებას, საჭიროა დაუყოვნებლივ გადაწყდეს რამდენიმე გადაუდებელი, პირველ რიგში სინათლის გადასახადის საკითხი. მუნიციპალური ბიბლიოთეკების უმრავლესობას ამ დავალიანების გამო თვეობით არა აქვს ელექტროენერჯია. უმეგესი წიგნსაცავები სარდაფებშია განთავსებული და ხშირად არც დარბაზებს აქვს ბუნებრივი განათება, საკითხის მოგვარების გარეშე შეუძლებელია რაიმე პერსპექტივაზე საუბარი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნადი ფონდის განახლება და პერიოდიკის არსებობა ბიბლიოთეკებში.

ფონდის განახლება, რა თქმა უნდა, დამატებით ფინანსებთან არის დაკავშირებული. მაგრამ აქაც საბჭოს საშუალებით უნდა მოიძებნოს საკითხის მოგვარების გზები. რაც შე-

ხება პერიოდიკას, საკითხის გადაჭრა უნდა მოხდეს ბიუჯეტის სახსრების გადანაწილებით.

ბიბლიოთეკების სიცოცხლისუნარიანობა არსებითად დაკავშირებულია მნიშვნელოვანი საქალაქო ინფორმაციის ფლობასთან. საქალაქო ბიბლიოთეკებში უნდა ინახებოდეს მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებები, რათა ისინი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი მოქალაქისათვის.

დღეს მუნიციპალური ბიბლიოთეკებისადმი გამოვლენილი რეალური ყურადღება მნიშვნელოვან შედეგებს მოგვიტანს ხვალ, რადგან ურბანულ ღია საზოგადოების ჩამოყალიბებას მხოლოდ განათლებული და ინფორმირებული მოქალაქეები შეძლებენ. ბიბლიოთეკებს კი ამ ფუნქციის შესრულება წარმატებით შეუძლიათ, თუ მათ თუნდაც მინიმალურ, მაგრამ რეალურ დახმარებას გავუწევთ.

თბილისის საკრებულო დაადგინა:

1. დაევალოს ქ.თბილისის მთავრობას:
 - ა) დაფაროს ბიბლიოთეკების სინათლის დაგეგმიანება (15210 ლარი) პრიორიტეტულობის გათვალისწინებით თანახმად N 1 დანართისა;
 - ბ) ქ.თბილისის მთავარ მუნიციპალურ ბიბლიოთეკას რეგულარულად მიეწოდოს თბილისის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებების სრული პაკეტი, გაზეთები: „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“.
2. დაევალოს ქ.თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურს – ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს მუნიციპალური ბიბლიოთეკების განვითარების კონცეფცია.
3. დადგენილების შესრულებაზე კონკრული დავალოს საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა მუდმივი კომისიას.

ქ.თბილისის საკრებულოს
თავმჯდომარე ვ.პახაძე

საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის დებულება

დამტკიცებულია საქართველოს
განათლების სამინისტროს მიერ
(ბრძანება №81, 14.04.99)

მუხლი I. ზოგადი დებულებანი

1. უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ქვედანაყოფს, რომელიც ასრულებს რა სასწავლო, სამეცნიერო, ინფორმაციულ და საგანმანათლებლო ამოცანებს, აქტიურად უწყობს ხელს მომავალი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის, სამეცნიერო მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვას.
2. თავის საქმიანობაში ბიბლიოთეკა იცავს პოლიტიკურ და რელიგიურ ნეიტრალიტეტს, ხელმძღვანელობს საერთო საკაცობრიო სულიერ ფასეულობათა აღიარებით და სამამულო კულტურის განვითარების ამოცანებით.
3. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ძირითადი საბიბლიოთეკო ციკლებით:
 - ფონდების ფორმირება, დამუშავება;

- საცნობო-საძიებო აპარატის შექმნა და მკითხველთა საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული უზრუნველყოფა;
 - საბიბლიოთეკო მომსახურება;
 - აღმინისტრაციულ-ორგანიზაციული და მეთოდური საქმიანობა;
- აღნიშნული ციკლები შედგება მეთოდურად შემუშავებული პროცესებისა და ოპერაციებისაგან, სათანადო ტექნოლოგიების გამოყენებით და განაპირობებენ ბიბლიოთეკის ორგანიზაციულ სტრუქტურას.
4. ბიბლიოთეკა უშუალოდ ექვემდებარება უმაღლესი სასწავლებლის რექტორს, საქმიანობას წარმართავს საბიბლიოთეკო საქმეში მოქმედი კანონების საფუძველზე, აგრეთვე კანონებით კულტურისა და განათლების შესახებ, კანონქვემდებარე აქტებით, რექტორის ბრძანებითა და განკარგულებებით, წინამდებარე დებულებით.



5. ბიბლიოთეკის შინაგანაწესს, სამუშაო რეჟიმსა და ფუნქციონირების პრინციპებს განსაზღვრავს საბიბლიოთეკო საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

6. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა უქმნის ბიბლიოთეკას ფუნქციონირების აუცილებელ პირობებს, მაგერიალურ-ტექნიკურ ბაზას, უზრუნველყოფს მის ხელშეუხებლობას საქართველოში მოქმედი საბიბლიოთეკო კანონმდებლობის შესაბამისად, ზრუნავს ბიბლიოთეკის განვითარების პრობლემებზე, უქმნის მას საბიბლიოთეკო პროცესების ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენების პირობებს.

7. ბიბლიოთეკა კოორდინაციას უკეთებს თავის მოღვაწეობას სხვა უწყების ბიბლიოთეკებთან.

მუხლი II. უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკის ფუნქციები

1. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო, სამეცნიერო, საგანმანათლებლო და აღმზრდელიობითი პროცესის უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, პატენტები, საავტორო მოწმობები, ტექნიკური კატალოგები, გამოგონებათა აღწერილობები, აუდიო-ვიზუალური და წერილობითი ინფორმაციის სხვა საშუალებები).

2. საბიბლიოთეკო ფონდების რაციონალურად ფორმირება და ორგანიზება, მათი დაცვა, აღრიცხვა, მეცნიერული დამუშავება, საცნობარო-საძიებო საშუალებების შექმნა და მათი გამოყენების ორგანიზება საბიბლიოთეკო დარგში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად.

3. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების უზრუნველყოფა საბიბლიოთეკო დოკუმენტაციით, როგორც ადგილზე, ასევე სახლში გაცემით, აგრეთვე ბმას და საერთაშორისო წიგნგაცვლის ფორმების გამოყენებით ბიბლიოთეკის სარგებლობით წესების შესაბამისად.

4. საბიბლიოთეკო დოკუმენტაციის დაცვისთვის საჭირო პირობების შექმნა.

5. უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო, საინფორმაციო და სამეცნიერო მოთხოვნილებების საბიბლიოთეკო დოკუმენტებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი და მის საფუძველზე მუშაობის ორგანიზება.

6. წიგნადი ფონდის პერიოდული შესწავლა, შემოწმება, მეორადი შერჩევის გზით გაწმენდა მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად.

7. გაცვლითი ფონდის შექმნა და სხვა უმაღლესი სასწავლებლებისა და უწყების ბიბლიოთეკების

მიერ მისი გამოყენებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა.

8. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული სამსახურის ორგანიზება თანამედროვე ავტომატიზაციის გამოყენებით.

9. უმაღლესი სასწავლებელში შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების ფონდის ორგანიზება, დაცვა, საცნობო აპარატის შექმნა, შრომების ბიბლიოგრაფირება.

10. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის დანერგვა მომხმარებელთა შორის, კითხვის კულტურის დონის ამაღლების საქმის ორგანიზება.

11. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა პროფესიულ დაოსტატებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით.

12. უმაღლესი სასწავლებლის კაბინეტ-ლაბორატორიების, უმაღლესი სასწავლებელში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, ფაკულტეტებისა და კათედრების ბიბლიოთეკების ფონდების ცენტრალური სისტემით ორგანიზება.

13. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა სოციალური საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდების დაცვაზე ბიბლიოთეკართა მაგერიალური პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა, ფონდების დაცვის ინსტრუქციის შესაბამისად.

14. მონაწილეობა სასწავლებლის საგამომცემლო პროგრამებში, მიმდინარე ბიბლიოგრაფიული მარჯვენალებისა და მეთოდური ხასიათის მასალების გამოცემების მომზადება.

15. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესების დამუშავება.

მუხლი III. ბიბლიოთეკის მართვა

1. უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკას მართავს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს რექტორი და ამტკიცებს შესაბამისი სამინისტრო.

2. ბიბლიოთეკის დირექტორი არის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი.

3. ბიბლიოთეკის დირექტორი პასუხისმგებელია ბიბლიოთეკის მაგერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვაზე, ბიბლიოთეკის მუშაკთა ფუნქციონირებისა და მათი შრომითი საქმიანობის სწორად წარმართვაზე. იგი კონტროლს უწევს თანამშრომელთა მაგერიალურ პასუხისმგებლობას და ოპერატიულად იღებს ზომებს გამოვლენილი დარღვევების აღკვეთისა და მოქმედი ინსტრუქციის დაცვაზე. ამ მიზნით პერიოდულად ატარებს თანამშრომელთა საწარმოო თათ-

ბირებს, განყოფილების გამგეთა და მთავარ სპეციალისტთა შეკრებებს, ისმენს მათ ინფორმაციებს, იწვევს საბიბლიოთეკო საბჭოს.

4. ბიბლიოთეკის დირექტორი ანგარიშვალდებულია უმაღლესი სასწავლებლის რექტორისა და სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

5. ბიბლიოთეკის დირექტორი რექტორთან შეთანხმებით აყენებს წინადადებებს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა მიღებაზე და დაწინაურებაზე.

მუხლი IV. ბიბლიოთეკის დირექტორის უფლება-მოვალეობანი. ბიბლიოთეკის დირექტორი უფლებამოსილია:

1. მონაწილეობა მიიღოს კადრების დაკომპლექტების, მათი მიღების, აგესტაციის, დაწინაურების, დასჯისა და წახალისების საქმეში.

2. ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით დამოუკიდებლად თუ ერთობლივად სხვა სასწავლო დაწესებულებათა ბიბლიოთეკებთან ერთად ჩაატაროს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

3. დამოუკიდებლად დაგეგმოს ბიბლიოთეკის საქმიანობა, გაანაწილოს მომსახურე პერსონალზე შრომითი დატვირთვა.

4. მიიღოს მომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ ბიბლიოთეკის სარგებლობის წესებსა და შინაგანაწესს.

5. გაწვევრიანდეს ბიბლიოთეკათა პროფესიულ გაერთიანებაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო საბიბლიოთეკო პროგრამების განხორციელებაში.

6. უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს წინაშე დააყენოს ბიბლიოთეკის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა გატარების საკითხი.

7. წარუდგინოს რექტორს მუშაობის ანგარიში, სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია ბიბლიოთეკაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მუხლი V. საბიბლიოთეკო საბჭოს უფლება-მოვალეობანი

1. უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკასთან სათათბირო სახით იქმნება საბიბლიოთეკო საბჭო.

2. საბიბლიოთეკო საბჭოს ევალება განიხილოს ბიბლიოთეკის მუშაობის წლიური გეგმები, ანგარიშები, ბიბლიოთეკის აუცილებელი საჭირობოროგო საკითხები, პრობლემები და რექტორის წინაშე დააყენოს ბიბლიოთეკის ფუნქციონირების გაუმჯობესების საკითხები.

3. საბჭოს პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება ბიბლიოთეკის დირექტორის წარდგინებით უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მიერ და

ფორმდება ბრძანებით.

4. საბიბლიოთეკო საბჭოს თავმჯდომარეს ირჩევენ საბჭოს წევრთა შემადგენლობიდან.

5. საბიბლიოთეკო საბჭო ფუნქციონირებს საკუთარი დებულებით და წინასწარ შედგენილი გეგმით.

მუხლი VI. უმაღლესი სასწავლებლის ბიბლიოთეკის დაფინანსება

1. ბიბლიოთეკის საქმიანობას აფინანსებს უმაღლესი სასწავლებლის რექტორატი მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. ბიბლიოთეკა შეიძლება დაფინანსდეს საქველმოქმედო შემოწირულობებით, აგრეთვე კანონით ნებადართული შემოსავლებით.

3. ბიბლიოთეკა შემოსავალს იღებს მკითხველთა ფასიანი მომსახურების ნაწილობრივი განხორციელებით. ამასთან, არ უნდა დაირღვეს კანონით გათვალისწინებული უფასო საბიბლიოთეკო მომსახურების პრინციპი, მომსახურების შემოსავალი უნდა ჩაითვალოს დროებით ღონისძიებად. აუცილებლობის პირობებში ფასიანი მომსახურების სახეებსა და საშუალებებს განსაზღვრავს საბიბლიოთეკო საბჭო რექტორთან შეთანხმებით.

მუხლი VII. მაგერიალურ-გექნიკური ბაზა

1. ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობები, სათავსოები ბიბლიოთეკის ძირითადი ხელშეუხებელი ბაზაა, რომლის დაცვა და მოვლა-პატრონობა დაკისრებული აქვს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობას.

2. უმაღლესი სასწავლებლის რექტორატის მიერ ბიბლიოთეკისათვის დაშვებული თანხები მიმობრივად გამოიყენება მაგერიალურ-გექნიკური ბაზის შენარჩუნება-გაუმჯობესების, ფონდების შევსების, საბიბლიოთეკო გექნიკის შექმნისა და ბიბლიოთეკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

3. მაგერიალურ-გექნიკური პირობების შექმნა ხდება არსებული ნორმატივების გათვალისწინებით, რამაც უნდა უზრუნველყოს ბიბლიოთეკისათვის შესაბამისი ფართის გამოყოფა, მუშაობისა და მომსახურების პირობების, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.

4. ბიბლიოთეკის გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით, მისი შევიწროება, გადაყვანა უარეს პირობებში და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მოთხოვნების უგულებელყოფა განიხილება როგორც საკანონმდებლო დარღვევა.

ჩვენი ბიბლიოთეკები: მათი მღვმო- მარაობა საზოგადოების დასაცავად

ბიბლიოთეკა მოსწავლე მკითხველთა სამსახურში



ვერა ვაჯაითელი
ხარაგაულის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის ბავშვი

პროფესორის აღმრდა-ჩამოყალიბებაში წიგნი და კითხვა უდიდეს როლს ასრულებს. წიგნი ადამიანთა ურთიერთობის ისეთი ჯაჭვია, არასოდეს იქანება. მასში იმდენი სინათლეა, ყველას გადასწვდება, ვინაც მოინდომებს ამ სინათლის მადლით გონების გაზიდვას.

წიგნები იძლევიან ცოდნას – ისინი კი, უპირველეს ყოვლისა, ბიბლიოთეკებშია თავმოყრილი. წიგნი და ბიბლიოთეკა არა მარტო სასწავლო დისციპლინების ათვისებაში ეხმარება მოზარდებს, არამედ ხელს უწყობს მათ პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაში, სულიერი სამყაროს გამდიდრებაში. ცოდნა, რომელიც სკოლაში მიიღება, მუდმივად უნდა შეივსოს კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის მეშვეობით. სწორედ საბავშვო ბიბლიოთეკის ძირითადი ამოცანაც ეს გახლავთ.

მოსწავლეთა ჩაბმა ბიბლიოთეკის წიგნის კითხვაში, სკოლაში მიღებული ცოდნის გაღრმავება და კითხვის კულტურის ამოქმედება – საბავშვო ბიბლიოთეკის უპირველესი საქმეა. ეს სავსებით შეგნებული აქვს და ამ საქმეს ემსახურება სწორედ ხარაგაულის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკაც, რომლის წიგნადი ფონდი 2020-მე შეგია. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია პროფილის შესაბამისი და სასწავლო პროგრამასთან დაახლოებული ლიტერატურით. ბიბლიოთეკის მომხმარებელია I-IX კლასის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები.

ბიბლიოთეკა ნაწილობრივ უზრუნველყოფილია მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უჭირავს

100 კვ.მ. ფართობის 4 ოთახი. წიგნადი ფონდი მთლიანად დამუშავებულია ათწილადი კლასიფიკაციით, დიდი ხანია დავამთავრეთ რეინვენტარიზაცია. ფონდი განლაგებულია ასაკობრივი პრინციპის მიხედვით: I-II, III-IV, V-VI, VII-IX კლასები.

მოწყობილი გვაქვს ლიტერატურის გამოფენები: „საქართველოს ისტორიული გზა“, „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“, „ენა, მამული, სარწმუნოება“, „თქვენი სახელმძღვანელოების კვალდაკვალ“, „რა წავიკითხოთ ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში“, „მოთას გენიას გეიმობს მსოფლიო“, „ერის მგოსანი – 160“, „ლედა ენის შემოქმედი“, „კომპიუტერი – ყმაწვილების მასპინძელი“ და სხვ. გვაქვს სარეკომენდაციო სიები: „შენ ჯერ არ წავიკითხავს ეს წიგნები“, „აი, რას ვკითხულობთ“ და სხვ.

ჩვენი ბიბლიოთეკა ბავშვების საყვარელი ადგილია. იგი წლების მანძილზე მოწინავე ბიბლიოთეკათა შორის მოიხსენებოდა. გვაქვს მრავალი დიპლომი, საქართველოს კულტურის სამინისტროს ქების სიგელები, ორჯერ საკავშირო კულტურის სამინისტროს დიპლომიც მივიღეთ – ბიბლიოთეკების საკავშირო დათვალიერების შედეგების მიხედვით.

ბიბლიოთეკა გასულ წლებში დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: დააპირეს ბიბლიოთეკის ბინის პრივატიზაცია და წიგნობრივი ფონდის ერთოთახიან ბინაში შეყრა. პირადად დავიწყე ბრძოლა ამის წინააღმდეგ – შემოვიკრიბე გულშემაგკივრები: მასწავლებლები, მკითხველების მშობლები. დავწერე „თხოვნა“ თუ „მოთხოვნა“ რაიონის ხელმძღვანელთა მისამართით, რომ ბიბლიოთეკა დარჩენოდა რაიონის მოსწავლე მკითხველებს. მით უფრო – მისი ბინის პრივატიზაცია რაიონს ფინანსურ პრობლემებს ვერაფრით შეუშუბუქებდა. გავიგანეთ კიდევ ჩვენი. ბიბლიოთეკის ბინის პრივატიზაცია აღარ მოხდება. დავგრძეოთ ერთი პრობლემა: ბიბლიოთეკის საშტატო ერთეული ოთხი მუშაკისაგან შედგებოდა, შეგვიმცირეს. ვართ ორი მუშაკი:

გამგე და აბონემენტის ბიბლიოთეკარი. ორივეს შემცირებული ხელფასი გვაქვს, 16 ლარი თითოეულს თვეში.

ამჟამად ბიბლიოთეკა მაინც ახერხებს მომარდებთან დამაკმაყოფილებლად მუშაობას. უცყუარია, რომ მომარდისათვის ჯანსაღი სფერო ჯერ ისევ სკოლა და ბიბლიოთეკაა.

ყოველი წლის დასასრულს ვაწყობთ მკითხველთა შეკრებას დევიზით: „წიგნი, ბიბლიოთეკა და მკითხველი“. ვაჯამებთ შედეგებს, ვაღგენთ, თუ ვინ არის წლის საუკეთესო მკითხველი, რომელია საუკეთესო სკოლა და კლასი. წელს შედეგები ასეთი იყო: საუკეთესო მკითხველები: დავით ციციშვილი, ეკა დეკანოსიძე, სალომე ფურცელაძე (IX კლ.), ირაკლი ბუხნიკაშვილი (VIII კლ.), მარიამ გაჩეჩილაძე (VI კლ.); საუკეთესო კლასია '13 საშუალო სკოლის IX კლასი; საუკეთესო სკოლა: '13 საშუალო სკოლა. გამარჯვებულები დავაჯილდოვეთ ქების სიგელებით.

მიმდინარე წელს „წიგნის აუქციონი“ ჩავატარეთ. შევარჩიეთ წიგნები ისტორიულ თემაზე: რ. მეტრეველის - „დავით აღმაშენებელი“, ლ. სანიკიძის - „სამას-სამასი“ და ლ. ასათიანის - „ბასიანის ბრძოლა“. ღონისძიება VI-VIII კლასებში ჩავატარეთ. საუკეთესო მოსასმენი იყო მკითხველების საუბრები დასახელებული წიგნების გარშემო. მკითხველებისა და მასწავლებლებისაგან შემდგარი ჟიური ქულებით შეფასებას აძლევდა სიგყვით გამოსულ მკითხველებს. შეჯამდა შედეგები: ყველაზე მეტი ქულა რ. მეტრეველის „დავით აღმაშენებელს“ შეხვდა. მკითხველები დიდხანს იგონებდნენ ამ ღონისძიებას.


ერთი მომენტიც გვინდა აღვნიშნოთ: ერთხელ მე-6 კლასის მკითხველები მოვიდნენ ბიბლიოთეკაში. თხოულობდნენ ნ. დუმბაძის მოთხრობას „ძალღი“. მასწავლებელს მიუცია დავალება მეორე დღისათვის, მისი მიხედვით მოემზადებინათ გაკვეთილი მოყოლით. ხუთ მკითხ-

ველს წიგნი გავატანე, დანარჩენები დავსვი, ერთ-ერთს დავაწყებინე მოთხრობის კითხვა. შემდეგ სხვებმა გააგრძელეს. დასასრულს დავუსვი შეკითხვები, გავარკვიე, თუ როგორ გაიგეს მოთხრობა. მეორე დღეს რამდენიმე მკითხველი მოვიდა. „მასწავლებელმა მადლობა შემოგითვალათ, რადგან მთელმა კლასმა გაკვეთილი კარგად იცოდაო“.

ერთი მომენტის გახსენებაც მინდა წინა წლებიდან. მეოთხე კლასის მკითხველმა გ. ბარბაქაძემ ერთხელ წაიღო გრ. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი“. დაბრუნება ძალიან დაგვიანა. შევუთვალე. მოიგანა დახატრებულმა და მითხრა: „ძალიან მომეწონა, ვერსად ვიშოვე და გადავწერეო“. პოემა გადაუწერია საერთო რვეულში. რვეული დავიგოვე და იგი ახლაც ჩემთანაა. წიგნი ვაჩუქე. გაუხარდა. ეს ვაჭი ამჟამად მშენებელი ინჟინერია.

უამრავი ღონისძიების ჩატარება შეიძლება მომარდებთან, თუკი ბიბლიოთეკის მუშაკები მოისურვებენ.

ხარაგაულის სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკას 2001 წლის 1 სექტემბერს დაარსებიდან 50 წელი შეუსრულდა. დაარსებიდან ამ ბიბლიოთეკის გამგე ვარ და ამ თანამდებობაზეც მეც 50 წელი შემისრულდა. არაერთი ჯილდო მიმიღია: საქართველოს კულტურის სამინისტროს ქების სიგელი, მინისტრის სამადლობელი ბარათი და წიგნი „ფიროსმანი“, მთავრობის ჯილდო – „ღირსების მედალი“, ცხადია, ყველაფერმა ამან ძალიან გამახარა. მადლობა ყველას, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო მაინც ჩემი საქმიანობით კმაყოფილი პატარა მკითხველის სამადლობელი სიგყვებია. მე ჯერჯერობით უამრავ პრობლემასთან ერთად ვაგრძელებ მუშაობას და ჩემს ცოდნას, გამოცდილებას და პროფესიულ აზლოს მოსწავლე მკითხველთა წიგნით მომსახურების საქმეს მოვახმარ. ასე ვიქმ, სანამდეც შემიძლია!



ბოლნისი კველი, ბოლნისი ახალი

ბიბლიოთეკა - მსოფლიო გონების საგანძური

ეთერ გოგუაშვილი
ბოლნისის ცენტრალური
ბიბლიოთეკის დირექტორი

ბოლნისი ქვემო ქართლის წამყვანი რაიონია თავისი დიდი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით. თუნდაც ის ფაქტი, რომ სოფელი ცურგავი მდებარეობდა ბოლნისსა და რუსთავს შორის და რომ იაკობ ცურგაველი არის ავტორი პირველი სალიტერატურო ნაწარმოების - „შუშანიკის წამებისა“, რაოდენს ნიშნავს ბოლნისის რაიონის სოფ. განძიაშია დაბადებული ჩვენი სასიქადულო მწერალი - მეიგავე, ლექსიკოგრაფი, სიგყვის კონის შემქმნელი, დიდი დიპლომატი და მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, მთელ საქართველოს მამად რომ მიაჩნდა.

საქართველოს ძნელბედობის ქამს (XVIII საუკ.), როდესაც ქართლის სამეფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუდგა, განსაკუთრებით ქვემო ქართლს გაუჭირდა თვითმყოფადობისა და ქართული ენის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. ერთი მუჭა ქართველი მოსახლეობა მუსლიმანური გავლენის საშიშროების წინაშე იდგა... და ქამთა სიავემ აღგავა ძველი დიდება ქვემო ქართლისა. დღევანდელი ბოლნისი დაარსდა 1817 წელს ლოგარინგიელი გერმანელების მიერ და მას ეკატერინე დედოფლის პატივსაცემად ეკატერინეფელი უწოდეს.

საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველ ხანებში რევოლუციონერი ქალის - როზა ლუქსემბურგის სახელი მიანიჭეს, ხოლო 1943 წლიდან მან კვლავ დაიბრუნა უძველესი სახელწოდება - ბოლნისი.

ბოლნისი ხეთების ენაზე „მშვენიშნავს და ეს გერიტორია წინათ ხეთებით იყო დასახლებული. გერმანელი მოსახლეობის გასახლების შემდეგ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისათვის იხსნება სკოლა და კულტურაგანმა-

ნათლებლო დაწესებულებები.

ბოლნისის სარაიონო, შემდეგ ცენტრალური ბიბლიოთეკა დაარსდა 1946 წელს და მისი გამგე იყო მაღალი ინტელექტისა და კულტურის, დახვეწილი გემოვნების ქალბატონი ნინა რთველიაშვილი. გადმოცემით ვიცით, რომ მანამდე არსებობდა გერმანულენოვანი მდიდარი ბიბლიო-



თეკა, რომელიც 1943-45 წლებში განადგურებულა. დღეს კი ბოლნისის რაიონს ემსახურება: N1 ცენტრალური, N1 საქალაქო, N1 სარაიონო სა-

ბავშვო და N 32 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალი. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ბოლნისის რაიონს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც აშენებს, ალამაზებს, კულტურას და სპორტს უვლის და ეთაყვანება. ბატონ ზურაბ ჯაფარიძის მზრუნველობის შედეგია აღდგენილი, განახლებული შენობა ქალაქის ცენტრში ბავშვებისათვის, მათი გონების საწვრთნელად, გასანათლებლად. ლამაზ შენობაში სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკას დაელო ბინა. შენობის ნაწილი გადაეცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, სადაც გარდება ღია გაკვეთილები ისტორია, გეგრაფიასა და ქართულში.



საბავშვო ბიბლიოთეკის ფონდი 30000 ეგზემპლარია, რომლითაც წელიწადში 1400 მკითხველს ემსახურებიან. ბიბლიოთეკა ლებულობს ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ წიგნების შეძენა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. საჭიროა რესპუბლიკის საბავშვო გამოცემლობებმა



აღრიცხვამე აიყვანონ საბავშვო ბიბლიოთეკები და მაღალ პოლიგრაფიულ ღონებზე გაფორმებული წიგნები შემოგვთავაზონ, რომ არ მოხდეს საბავშვო ბიბლიოთეკებში წიგნების ქაოსურად შექმნა.

ბოლნისის საქალაქო ბიბლიოთეკაში 14 200 ეგზემპლარია. ბიბლიოთეკა ემსახურება 1200-მდე მკითხველს. მისი მკითხველი ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდობა, სტუდენტობაა. მისი მომსახურების სფეროშია იურიდიული აკადემია, კოლეჯი, ქართული, რუსული სკოლები და გიმნაზია.

ბოლნისის რაიონის ბიბლიოთეკების მუშაობა მარგო მკითხველთა მომსახურებით არ შემოიფარგლება, რასაც მოწმობს რაიონის ბიბლიოთეკებში მოწყობილი გამოფენები, ჩატარებული ღონისძიებები. მოწყობილია გამოფენები: „ვინა ვარ, საიდან მოვდივარ!“, რომლის კომენტარდართული ქვეთავებია: „კავკასია“, „გეორგია“, „ზეობა ფარნავაზისა“, „ქრისტეშობიდან 2000“, „ნუ, ოღეს დამივიწყებთ დავითს“, „ვეფხისტყაოსანი 800“.

მოწყობილია გამოფენები მხარის შესახებ, რომელიც გვამცნობს ამ მაღლიანი მიწის ისტორიას: „ბოლნისის სიონი – პირველი გაძარი“,

„ქართული წარწერა – პირველი წიგნი“ სი ბოლნელი – მამულისათვის შეწირული თავი“, „ორი ცრემლიდან საქართველოს გაპყურებს საბა...“

ბოლნისის ცენტრალური ბიბლიოთეკა ეძებს გზებს განვითარებისათვის. ათი წელია საბიბლიოთეკო ფონდები არ შევსებულა ახალი, მეტად საჭირო ლიგერატურით. პრობლემურია კადრების პროფესიული სრულყოფა. საჭიროა ახალი თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, რადგან წარმატებებს, წინსვლას აწმყო – დღეს რაკეთდება, სწორედ ეს განსაზღვრავს.

დღეს ქალაქის ბიბლიოთეკაში ლამაზი ინტერიერი, სისუფთავე, სიწყნარე სრულყოფილ პირობებს ქმნის წიგნზე მუშაობისათვის, მკითხველიც სიხარულით მოდის და ავტორიტეტის დიდია, რადგან ბიბლიოთეკა მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციას ხელმისაწვდომს ხდის და ამრიგად საგანმანათლებლო და საინფორმაციო ცენტრიც გახლავთ. დიდია რაიონის ბიბლიოთეკების როლი XXI საუკუნის დასაწყისში.

ერთიანი საქართველოს, დემოკრატიისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში ბიბლიოთეკები – მსოფლიო გონების, სიბრძნის ეს დიდი საგანძურები – მეტ ყურადღებას მოითხოვს...

სოხუმის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ისტორია




რაინა ნიჟარაძე ბიბლიოთეკის გამგე

როზორც ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია, 1979 წლის 5 თებერვალს დაარსდა აფხაზეთის მ.გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი აღმოცენდა 1932 წელს დაარსებული სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე. აფხაზეთის მამშინდელ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა სამი სექტორი: ქართული, რუსული და აფხაზური. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდიც დაკომპლექტებული იყო ბემოთ აღნიშნული ენების შესაბამისად: ქართული,

რუსული და აფხაზური. ფონდის ძირითადი ნაწილი ქართულ და რუსულ ენებზე იყო. წიგნადი ფონდი შეადგენდა დაახლოებით 300.000 ერთეულს.

იმ პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მიზნად ისახავდა აფხაზეთში ქართული კულტურისა და ქართველი ინტელიგენციის შესუსტებას, აფხაზეთის უნივერსიტეტში ყველა და ყოველგვარი ღონისძიება რუსულ ენაზე გარდებოდა. გამონაკლისს არც ჩვენი ბიბლიოთეკა წარმოადგენდა.

მას შემდეგ, რაც ასეთ პოლიტიკას წინ აღუდგა ქართველი ინტელიგენცია და, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის უნივერსიტეტის ქართული სექტორის პროფესორ-მასწავლებლები და სტუ



დენგები, 1989 წლის 14 მაისს აფხაზეთის უნივერსიტეტს გამოეყო ქართული და ნაწილობრივ რუსული სექტორები, რომელთა საფუძველზე შემდეგში შეიქმნა ახალი სტრუქტურა – თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. აქ დამკვიდრებულებს, საერთოდ, არ გვექონდა წიგნადი ფონდი, რადგანაც ჩვენთვის არაფერი გამოუყვიათ. როგორც კი ოთახი მიგვიჩინეს, დავიწყეთ წიგნების შექმნაზე ზრუნვა. ხელმძღვანელობა ჩემს თავზე ავიღე. ენთუზიაზმით ვიყავით აღსავსენი და მართლაც, ერთი წლის მანძილზე ჩამოვაყალიბეთ ბიბლიოთეკის სტრუქტურა. წიგნადი ფონდის შევსების წყარო ძირითადად თბილისის უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები იყო; დიდად შეგვიწყო ხელი ეროვნულმა ბიბლიოთეკამაც. ჩვენი ფონდი ივსებოდა უნიკალური სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით. 1991-1992 წლებში ფონდის რაოდენობამ 10.000 ბეჭდვით ერთეულს მიაღწია. გამოწერილი გვექონდა ათეულობით დასახელების ჟურნალ-გაზეთი. ასე რომ, ბიბლიოთეკა, როგორც უნივერსიტეტის ყველა რგოლი, სრულფასოვან სახეს იღებდა, მაგრამ საუბედუროდ, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყო სამხედრო შეტაკებები, რომელიც ომში გადაიზარდა.

სოხუმის დაცემის შემდეგ დაიხურა ყველა ქართული კულტურული კერა, ფუნქციონირება შეწყვიტა სოხუმის უნივერსიტეტმაც. 1993 წლის 16 ნოემბერს სოხუმის უნივერსიტეტი აღსდგა. მან მუშაობა განაახლა თბილისში. დაინიშნა ახალი რექტორი პროფ. ო. ჟორდანიას, რომელმაც ჩვენდა საბედნიეროდ, შეძლო პირველი რიგის ამოცანის შესრულება: უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კონტინგენტის თავმოყრა და გაერთიანება. ძალიან რთული და მძიმე იყო სამუშაო პირობები. სამთავრობო სტრუქტურები მოუმზადებელი აღმოჩნდნენ მიეღოთ და განეთავისებინათ სოხუმის უნივერსიტეტი. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტს არ გააჩნდა არც სასწავლო შენობა და არც ინვენტარი.

1997 წლის სექტემბრამდე უნივერსიტეტის ფაკულტეტები განლაგებული იყო თბილისის სხვადასხვა სკოლებში. ასეთ ვითარებაში ბიბლიოთეკის თანამშრომლები უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ვიდრე სხვა განყოფილების თანამშრომლები, რადგანაც მუდმივი შენობის

უქონლობის გამო ბიბლიოთეკის შექმნაზე ფიქრიც წარმოუდგენელი იყო. მაგრამ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა ბიბლიოთეკის როლი სწავლების პროცესში და ის იღვწოდა მისი შექმნისათვის. რექტორის მონღობა ბიბლიოთეკარებს იმედით გვავსებდა. ახალი ბიბლიოთეკის დაარსება შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1997 წლის სექტემბერში, როდესაც სოხუმის უნივერსიტეტმა ბინა ჯიქიას ქ. N12-ში, ენერგეტიკის ინსტიტუტის შენობაში დაიღო. ამ შენობის მიღებაში დიდი წვლილი ბატონოთარ ჟორდანიას მიუძღვის. მან ყველაფერი გააკეთა და აკეთებს, რათა სოხუმის უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის სწორუფლებიანი წევრი იყოს.

ბიბლიოთეკის თანამშრომლების ნამდვილი პროფესიული საქმიანობა ამ დღიდან იწყება. დღეისათვის 11 თანამშრომლიდან ბიბლიოთეკას შემორჩა 6, დანარჩენი კი ობიექტური მიზეზების გამო (ამ მიზეზად, რა თქმა უნდა, ომი ითვლება), მოგი რუსეთში, მოგიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოხვდა.

ამ შენობაში ბიბლიოთეკას გადაეცა სამი ოთახი, რომლებიც მთლიანად მოიცავს 115 კვ.მ. (სამკითხველო 45 კვ.მ., საცავი 48 კვ.მ., სამუშაო ოთახი 28 კვ.მ.). ბიბლიოთეკის თანამშრომლებს უკვე მეორედ გვიხდებოდა ბიბლიოთეკის ახლად შექმნა. ენთუზიაზმმა, პროფესიონალიზმმა, წიგნის უზომო სიყვარულმა ამჟამადაც არ გვიღალბება, საქმე ისევე ნულიდან დავიწყეთ. უნივერსიტეტის რექტორატის ძალისხმევით, სამოგალოების თანადგომით, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით, კერძო პირების შემოწირულობებით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ივსება ახალი, მეტად საჭირო ლიტერატურით. დღეისათვის წიგნადი ფონდი 15 900 ბეჭდვით ერთეულს შეადგენს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა გაეფართოებინა ჩვენი ბიბლიოთეკა. 2000 წლის თებერვალში უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში, ჯიქიას ქ. N10-ში გაიხსნა დარგობრივი სამკითხველო დარბაზი, რომლის ფართია 143 კვ.მ. უნივერსიტეტის კონტინგენტი მთლიანად 6 455-ს შეადგენს. აქედან პროფესორ-მასწავლებლები 410, სტუდენტები 5 845, თანამშრომლები 200. საშუალო წლიური წიგნგაცემა – 18.000; დასწრება – 8 935.

ჯერჯერობით ბიბლიოთეკას მარტო სამკითხველო დარბაზი გააჩნია. წიგნადი ფონდის



გამრდასთან დაკავშირებით აუცილებელია აბონემენტის გახსნა. 2001 წლისათვის ბიბლიოთეკა 39 დასახელების ჟურნალ-გაზეთს იღებდა.

ბიბლიოთეკა წარმატებით ეწევა თავისი საქმიანობის პოპულარიზაციას, რისთვისაც იყენებს უნივერსიტეტის გაზეთს „სოხუმის სადროშო“. ხდება ახალი წიგნების სიების გამოქვეყნება, რათა ახალი ლიტერატურა დროულად მივიდეს მკითხველებამდე.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაგერიალურ-გექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. შეძლებისდაგვარად ამას ახერხებს ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა. ამას ვგრძნობთ ყოველდღიურად: საჭირო ინვენტარი, წიგნის თაროები, საკატალოგო ყუთები, მაგიდები, სკამები, ბიბლექნიკა – ყოველივე ამის შეძენა ხდება უნივერსიტეტის არა საბიუჯეტო ფონდიდან.


რაც არ უნდა ენერგიულად იმუშაოს ბიბლიოთეკამ, როგორც არ უნდა ეცადოს მკითხველთა უკეთ მომსახურებას, საკმარისი არ არის ძველი მეთოდებითა და ფორმებით მუშაობა. საჭიროა ახალი მაგერიალურ-გექნიკური ბაზის შექმნა, კადრების პროფესიონალიზაცია. ეს კარგად ესმის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ ძირითად მიზანს წიგნადი ფონდის შევსება, მისი დროულად და-

მუშავება წარმოადგენს. განვიცდით მეთოდური ლიტერატურის უქონლობას. ლიტერატურის კლასიფიკაცია ხდება ბბკ-თი, რადგანაც სოხუმში ამ სისტემას ვიყენებდით. ამჟამად ვფიქრობთ ათწილადი კლასიფიკაცია დაწერგოთ.

დიდი სიხარულით შეხვდა მთელი ჩვენი კოლექტივი ახალი ჟურნალის „საქართველოს ბიბლიოთეკის“ გამოსვლას. ეს ერთადერთი პროფესიული ჟურნალია საქართველოს საბიბლიოთეკო საქმეში. დღევანდელ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში უამრავი კითხვა საჭიროებს პროფესიულ პასუხს. იმედია, ამ მისიის შესრულებას შესძლებს „საქართველოს ბიბლიოთეკა“. ეს ჟურნალი გახდება სამაგიდო ყველა დამწყები თუ სტაჟიანი ბიბლიოთეკარისათვის.

დასასრულ, მინდა ისევ დავუბრუნდე ბემოთ თქმულს: თუ არა ჩვენი უნივერსიტეტის რექტორაგისა და პროფესორ-მასწავლებელთა თანადგომა, ბიბლიოთეკარების დიდი მონდომება, თავის საქმის უდიდესი სიყვარული – შეუძლებელი იქნებოდა იმის შექმნა, რითაც დღეს ვამაყობთ. სოხუმის უნივერსიტეტის მთელი კოლექტივის საქმიანობა ერთი ძირითადი მიზნისკენაა მიმართული – თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და აფხაზეთის დაბრუნების საქმეში და მოღვაწეობა განაგრძოს იქ, სადაც უნდა იყოს. ჩვენი ნატვრა და ოცნება სოხუმში დაბრუნებაა!...

ქ. რუსთავის ი. გოგებაშვილის სახელობის №1 საბავშვო ბიბლიოთეკა 50 წლისაა



ნიმუშა მარალაშვილი
მკითხველი

ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საზეიმო საღამო გაიმართა ბიბლიოთეკის დარბაზში, სადაც მოწვეულ საპატიო სტუმრებთან ერთად ბიბლიოთეკის ნორჩი მკითხველებიც იყვნენ, რათა თავიანთი დამოკიდებულება გამოეხატათ კულტურის ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი გაძრის მიმართ.

აქ ათეული წლების მანძილზე დიდი პასუხისმგებლობით ემსახურებიან მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების კეთილშობილურ საქმეს. 50 წელია ბიბლიოთეკას სათავეში ნათელა ლობჯანიძე უდგას, რომელმაც სრულიად ახალგაზრდამ – 21 წლის ასაკში დაიწყო აქ მუშაობა და ახლა, ბიბლიოთეკის იუბილესთან ერთად, დაბადების 70 წლისთავი მიულოცეს კოლეგებმა, ახლობლებმა, კულტურისა და განა-

თლების სისტემის მუშაკებმა, ყოფილმა მკითხველებმა.

ამ საზეიმო დღეებში ბიბლიოთეკას უამრავი სტუმარი ჰყავდა. საქართველოს კულტურის მინისტრმა სესილი გოგბერიძემ საბიბლიოთეკო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მაღლობის წერილი გადასცა ამაგდარ ქალბაგონს – ნათელა ლობჯანიძეს. მილოცვები გადასცეს აგრეთვე კულტურის განყოფილების გამგემ ნ. კუპაგაძემ და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა ც. გოგბერიძემ. იუბილარ ბიბლიოთეკას ქალაქ-

ის მერმა ლაშა მინდელმა საპატიო სიგელი გადასცა. როგორც მოწვეულმა სტუმრებმა აღნიშნეს, ნათელა ლობჯანიძის მოღვაწეობა ნათელი მაგალითია საქმისადმი დიდი ერთგულების, სიყვარულისა და თავდადებისა. ამ თვისების გამო იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო კოლეგებს შორის, არამედ მთელ ქალაქში.

ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები თავიანთი შემოქმედებით წარსდგნენ სტუმრების წინაშე. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიკრორაიონის საშუალო სკოლებმა (N9, N10, N16) და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კოლექტივმა, საბიბლიოთეკო გაერთიანებაში (დირექტორი ე. ბურკვაძე), ლაღო ასათიანის სახ. რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ი. არგუტინსკაია). მისალოცი სიგყვებით გამოვიდნენ: ქ. რუსთავის კულტურის განყოფილების გამგე ნ. კუპაგაძე, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი ე. ბურკვაძე, ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე ლია ბეჟანიშვილი, საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე ლ. აბრამიშვილი. N4 და N18 სკოლის დირექტორებმა (ლ. ჯღარკავა და მ. მეცხვარიშვილი), მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დირექტორმა ც. გოგობერიშვილმა ვრცლად ისაუბრეს სკოლების, სასახლისა და ბიბლიოთეკის მჭიდრო ურთიერთობაზე. საღამომე სიგყვები წარმოთქვეს საპატიო სტუმრებმა: გ. ჯინჭარაძემ, ს. პულუმაშვილმა, ე. გოშაძემ, მ. ქურდაძემ. აგრეთვე ბიბლიოთეკის ნორჩმა მკითხველებმა.

1953 წლის მაისში რიგით მეორე გამგელ

მოვედი, - იხსენებს ქალბატონი ნათელა ლობჯანიძე, - ბიბლიოთეკა მაშინ ერთ პაგარათთაში იყო მოთავსებული. დარბაზიც იქ იყო და აბონემენტიც. არ იყო ინვენტარი... დღეს 40 ათასზე მეტი წიგნი გვაქვს და 1000-მდე მკითხველი გვყავს ჩვენი მიკრორაიონიდან. სიყვარულითა და რულუნებით შევინარჩუნეთ და გავამდიდრეთ ბიბლიოთეკა. დღემდე ერთგულად მიღვანან გვერდში წამყვანი სპეციალისტი ქეთევან მამულაშვილი და პირველი კატეგორიის ბიბლიოთეკარები: ლამშირა ბეჟანიშვილი და ლეილა გყემელაშვილი.

ჩვენი ბიბლიოთეკის ისტორია ურღვევადა დაკავშირებული ქალაქის ისტორიასთან, მის ჭირსა და ლხინთან. ვამაყობთ იმით, რომ ამ წლებში 50 წყება თვალსაზრისით გოგობიჭი მივიღეთ და ცხოვრების დიდ გზაზე გავაყვანილეთ. მე კი დღესაც აქა ვარ. ისეთივე მღელვარებითა და სიყვარულით შემოვდივარ ჩემს ბიბლიოთეკაში, როგორც 50 წლის წინათ.

ამ სიგყვებმა დამსწრეთა გულთბილი გამოსხარება გამოიწვია. საღამოს დამთავრების შემდეგაც დიდხანს გაგრძელდა ურთიერთსაუბარი, მოგონებები, მილოცვები. მეც, როგორც ამ იუბილარი საბავშვო ბიბლიოთეკის ყოფილი აქტიური მკითხველი, ვუერთდები მილოცვებს და ვუსურვებ ჩემს საყვარელ ბიბლიოთეკას კიდევ და კიდევ მრავალი ბავშვისათვის მიენიჭებინოს ის სიხარული, რაც წიგნების კითხვას ახლავს, რაც მუდამ თანამავალია ადამიანის ცხოვრებაში, როცა ის თავის წარსულს იგონებს. მუდამ წარმატებით გველოთ წიგნისა და წიგნიერების მსახურნი!



ბიბლიოთეკის
სტამბოლი
ბიბლიოთეკა


ბიბლიოთეკის ახალმოსახლეობა

ინგა ფილაური

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის დოცენტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ფონდების სიმრავლით, სიმდიდრითა და შრომითი საქმიანობის მაღალი დონით, მაგრამ დღეს უკვე სულ სხვა ამოცანებს სახავეს ცხოვრება: ინფორმაციის ფუნქციების გაფართოება, ახალი მეთოდოლოგიები და ტექნოლოგიები, გაძლიერებული მოთხოვნები მომსახურე პერსონალის პროფესიონალიზმის მიმართ. ყოველივე ამის სრულყოფილად განხორციელება თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში უაღრესად გართულებულია; მით უფრო სასიხარულოა, რომ ამ მიმე ფონზე შესაძლებელი გახდა ბიბლიოთეკას ახალმოსახლეობა ებეიმა.

ვინც ამ ბიბლიოთეკას მოინახულებს, უეჭველად აღივსება გულწრფელი სიხარულითა და იმედით, რომ სიახლის განცდა და მომავლის ჭვრეტა შესაძლებელი ყოფილა. განახლებული შენობა, მთლიანად გარდაქმნილი ინგერიერი, სრული რეკონსტრუქცია, რომელიც ითვალისწინებს ბიბლიოთეკისათვის საჭირო ყველა არქიტექტურულ დეტალს, საკმარისი ფართობი სამკითხველო დარბაზებისათვის, ახალი თანამედროვე შესაფერისი ავეჯი და მოწყობილობანი, განათება, მოხერხებული სათავსები. ერთი სიტყვით, ფაქტობრივად, ეს ახალმოსახლეობა – სიახლის დამკვიდრების დასაწყისია, რაც შემდგომი შრომითი საქმიანობის სრულყოფის საწინდრად იქცევა. ყოვე-




მალე ჟიბნაძე დანიკაშვიან
თავიან ალბილს

ლივე ეს შედეგია იმ მშრუნველობისა, რომელსაც ბიბლიოთეკის მიმართ იჩენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმენაესი საბჭოს თავჯდომარე ბაგონი ასლან აბაშიძე – ამ დიდი საქმის ინიციატორი და პრაქტიკულად განმახორციელებელი. იგი გამუდმებით აღევნებდა თვალყურს ბიბლიოთეკის მშენებლობას, მისთვის საჭირო მასალისა და ავეჯის შეძენას, მშენებლობის უმაღლეს ხარისხზე ჩაგარების საქმეს. უნივერსიტეტის რექტორი ბაგონი ნური ვასაძე ყოველდღიურად იყო ჩაბმული ამ პროცესებში. იგი დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკას ლიგერატურის შეძენაში, სამუშაო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ბიბლიოთეკა წე-

ლში იმართება, თანდათან ინგენსიური ხდება მუშაობა. ვინც ამ საქმიანობას იცნობს, დამემოწმება, რამდენად რთულია მწყობრში ჩააყენო ფონდი, რომელიც 300 ათასს აღემატება. ბიბლიოთეკაში 3 განყოფილება ფუნქციონირებს: დამუშავება-დაკომპლექტების, მომსახურების და ბიბლიოგრაფიული. სამუშაო ბევრია და თანამშრომლებს, რომლებსაც ენერგიულად ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკის დირექტორი ქალბატონი მზია ჯიბუგი, სირთულეები არ აკლიათ, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რომ საბოლოოდ



დარბაზი მზადაა მკითხველთა მომსახურებისათვის



კაბინეტიანი ელიან თანამშრომლებს

დაძლეულ იქნეს ყველა ხარვეზი. ბიბლიოთეკას განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა უწევს წიგნების დავალიანების ლიკვიდაციის საქმეში: როგორც პირადად, ისე წერილობითაც მიმართავენ წესდების დამრღვევ მომხმარებლებს. ბიბლიოთეკის ცნობის გარეშე კურსდამთავრებულებს დიპლომი არ მიეცემათ. ძალიან ბევრი წიგნი მოითხოვს შეკეთება-რესტავრაციას, აკინძვას, სხვა სახის მკურნალობას. ფონდის გადარჩევის პროცესში ხდება წიგნების ფიზიკურად დასუფთავება, მათი წესრიგში მოყვანა.


დაკომპლექტება ძირითადად ხდება სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების სახსრებით (ჯ.სოროსის, ევრაზიის, ცალკეულ პირთა ფონდების), აგრეთვე ნაჩუქარი წიგნებით. მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალურ მაღაზიებში შეიძინება, ხოლო მნიშვნელოვან პერიოდიკას ბიბლიოთეკა გამოწერით ღებულობს. ცხადია, ისეთი დიდი ორგანიზაციისათვის, როგორც ბათუმის უნივერსიტეტი, ეს მოცულობა საკმარისი არ არის, მაგრამ იმედია, საქმის შემდგომი გაუმჯობესების დროს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდება. ოღონდ ამისათვის საჭიროა მენეჯმენტის შემდგომი განვითარება, მუსტი პერსპექტიული და ოპერატიული გეგმების შედგენა, შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, შრომითი პროცესების ყოველდღიური აღრიცხვა, კადრების კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლების საქმის მოგვარება, ახალი ტექნოლოგიების გამოყენება. დასაჩქარებელია ბიბლიო-

თეკაში კომპიუტერული სისტემის დანერგვა, რაზედაც უკვე მზუნავენ აქ, მაგრამ თუ ეს საქმე არ დაჩქარდა, უფრო გართულდება მკითხველთა ინფორმაციული უზრუნველყოფა. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე საბიბლიოთეკო დოკუმენტების ნაირსახეობის გამრავლება, მედიათეკის შექმნა, ინტერნეტული კავშირების ჩამოყალიბება. ბიბლიოთეკას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ უმოკლეს ვადებში შეძლოს ამის მოგვარება, თუკი სწორად იქნება განსაზღვრული პრიორიტეტები და მაღალკვალიფიციურად შედგება გარდაქმნისა და ტექნიკური უზრუნველყოფის პროგრამები. ამას თავისთავად ესაჭიროება კადრების შემდგომი სრულყოფა კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს კატალოგების მოსაწესრიგებლად. ბიბლიოთეკას 4 სახის კატალოგი აქვს: ანბანური, სისტემატური, საგნობრივი და საკონტროლო. ბუნებრივია, მათი სრულყოფა დიდ დროსა და შრომას საჭიროებს, მით უმეტეს, რომ კატალოგი სისტემატურად მოითხოვს კორექტირებას.

დღეს ბიბლიოთეკა სასიხარულო მოლოდინშია. წიგნების დიდი ნაწილი უკვე თაროებზეა განლაგებული სანიმუშო მწყობრში, მცირე ნაწილი განთავსებას ელოდება, მშვენიერი სამუშაო კაბინეტები თანამშრომლებს ელიან, სამკითხველო დარბაზები კი – მკითხველებს. დავულოცოთ ბიბლიოთეკას ახალმოსახლეობა, ახალი გზის დასაწყისი და ახალ-ახალი წარმატებები ვუსურვოთ!





საბიბლიოთეკო საქმე და დემოკრატია

რუსეთის საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტთა სამეცნიერო კონფერენციამ, რომელიც ეძღვნებოდა არა რომელიმე ვიწრო საკითხს, არამედ საბიბლიოთეკო საქმის ადგილს დემოკრატიული სახელმწიფოს სისტემაში, დიდი ინტერესი გამოიწვია თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს შორის. ბიბლიოთეკების როლის განსაზღვრა ქვეყნის და დემოკრატიზაციის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია მსოფლიო და სამამულო მასშტაბებით. იგი მოიცავს საბიბლიოთეკო მომსახურებისა და საქმის კვლევის მრავალ საკვანძო პრობლემას.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ლ.ხავეკინა წერდა, რომ „ბიბლიოთეკა არის არა მარტო კულტურის კერა, არამედ ის ემსახურება ერის დემოკრატიულად აღმზრდას“. თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის ისტორიაში პირველად საბიბლიოთეკო საქმე დემოკრატიული განვითარების გზას დაადგა. დადგინდა მათი ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათი. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, როგორც კი ძველ რუსეთში კვლავ აღადგინეს აღმინისტრაციული შეზღუდვა, საბიბლიოთეკო საქმეში – ცენზურა, საგრძნობლად იკლო მომსახურების დონემ. დამტკიცდა საბიბლიოთეკო საქმის სახელმწიფოებრივი ხასიათი.

ბიბლიოთეკის საკანონმდებლო და დემოკრატიზაციის პრობლემებმა საბიბლიოთეკო საქმეში სერიოზული განვითარება ჰპოვა. ი.გრიხანოვის მოხსენებაში, რომელშიც ნათქვამია: „რუსეთში ღია, ფართო საზოგადოების შექმნა, ქვეყნის ფედერალური მოწყობა, სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნა – ყველაფერი ეს ძირფესვიანად ცვლის საბიბლიოთეკო საქმის ფილოსოფიას, პრიორიტეტებს საბიბლიოთეკო საქმეში, მათ პირდაპირ დამოკიდებულებას მომხმარებლებისა და მართვის სისტემისადმი“. ასევე აღინიშნა, რომ საბიბლიოთეკო საქმის ნამდვილი დემოკრატიზაცია ჯერ კიდევ მოითხოვს მთელი

რიგი პრობლემების გადაწყვეტას. ერთ-ერთ მნიშვნელოვანს, მისი აპრიორ, წარმოადგენს ბიბლიოთეკების არსის იმგვარად გაგება, რომ ისინი წარმოვიდგინოთ როგორც საზოგადოების ორგანული ნაწილი, თითოეული პიროვნებისადმი დახმარების გაწევის საშუალება მათი სრულყოფისათვის, რაც თავისთავად ცხოვრების გაუმჯობესებას ნიშნავს. მან ხაზი გაუსვა საკანონმდებლო ნორმების განვითარების აუცილებლობას, რაც საბიბლიოთეკო ინფორმაციული მომსახურების სფეროში მოსახლეობის და თვით ბიბლიოთეკების ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს. აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო საქმის მმართველობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს მეცნიერულად არგუმენტირებული საბიბლიოთეკო პოლიტიკა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

თემა „საბიბლიოთეკო საქმე და დემოკრატიის ურთიერთკავშირი“ ღრმა და სრული განხილვის საგნად იქცა ერთ-ერთი სექციის მუშაობაში, სადაც განიხილებოდა საკითხები: დემოკრატიზაცია და ინფორმატიზაცია; მსოფლიოს საბიბლიოთეკო საქმე და დემოკრატიზაცია; დემოკრატიზაცია, როგორც ბიბლიოთეკების მმართველობის ფუძემდებლური პრინციპი; დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია და მედიაცია კულტურის და ხელოვნების სფეროში.

დემოკრატიის იდეამ მტკიცედ გაიდგა ფესვები როგორც თეორეტიკოსების აზროვნებაში, ისე პრაქტიკაშიც. ამასთან, ინტელექტუალური თავისუფლებისა და პლურალიზმთან დაკავშირებულმა შეხედულებებმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა სამამულო ბიბლიოთეკათმცოდნეობით მეთოდოლოგიაში.

დემოკრატიზაცია – პროფესიული მენეჯმენტის დომინირებული დახასიათებაა. ამაში ჩანს საბიბლიოთეკო თეორიის და პრაქტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ისტორიული მიღწევები ბოლო ათწლეულში. სამამულო საბიბლიოთეკო საქმეს ყველა პირობა აქვს, რომ XXI საუკუნეში დემოკ-



რაგიული განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან არსენალს წარმოადგენდეს, მაგრამ დღეს ამკარაა, ის არასახარბიელო სიგუაციაშია, რომ ხელი შეუწყოს ყველა ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებას.

პირველ რიგში საუბარია უმკაცრეს ფინანსურ კრიზისზე. მთელი რიგი ბიბლიოთეკებისა და კეტილია ან დაკეტივის ზღვარზეა მისული. თითქმის ყველა ბიბლიოთეკა ხელფასების გარეშეა დარჩენილი. ურთულეს პირობებში იმყოფება კადრების მომზადების საქმე. თუ უახლოეს დროში არ იქნება მიღებული ქმედითი ზომები, დემოკრატიული მენგალიგეტი გადაიქცევა უგოპიად.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯანსაღ დემოკრატიულ გენდენციებში ჩნდება ზოგიერთი საეჭვო და საშიში „მიმართულება“, თუმცა ეს ერთეული შემთხვევებია. მიუხედავად ამისა, მაინც საგანგაშოა ის. რომ ზოგიერთი სპეციალისტი ფართო დემოკრატიით ცდილობს დაამკვიდროს თავისი იდეები, რომლებიც შეიცავენ ინტელექტუალური გოგალიზმის პოტენციურ საფრთხეს. ამის მაგალითია თუნდაც მოწოდება, რომ თითქოს დღეს ყველაზე მთავარია, გასუფთავდეს ფონდები და კატალოგები მოძველებული ლიგერაგურისაგან, საგულდაგულოდ მოხდეს მათი რედაქტირება და შეივსოს ბოლო ათი წლის გამოცემებით და სხვ. აგრეთვე ის. რომ 1918 – 1991 წლების საბჭოთა ლიგერაგურა, რომელიც გამოხატულებაა საბჭოთა სოციალიზმის გოგა-

ლიგალური მენგალიგეტი, საჭიროებს სპეციალურ კატალოგებში შენახვას – არ უნდა იქნეს აღქმული როგორც ბიბლიოთეკების დემოკრატიზაცია. გასუფთავება, სპეცკატალოგები და მათი სპეცშენახვა იწვევს მათი აკრძალვის ასოციაციას. ნამდვილი დემოკრატიები შოკირებული არიან ასეთი სახის იდეებისაგან, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ის.

თანამედროვე ბიბლიოთეკათმცოდნეები მთელი მონღომებით იღვწიან, რათა გაანალიზონ ძველი, არსებული საბჭოთა ბიბლიოთეკების იდეოლოგია და ამასთანავე, რაც შეიძლება სრულყოფილ ახალ პირობებში მყოფი ამ ბიბლიოთეკების რეფორმები. საბიბლიოთეკო საქმის განვითარებაში, მიუხედავად ძალიან რთული პირობებისა, სწრაფვა შემოქმედებითი საქმის სრულყოფისათვის არ ჩამკვდარა. იდეურ თეორიკულ კრიზისზე ლაპარაკს არანაირი საფუძველი არა აქვს. ამ კრიზისიდან გამოსვლა, დიდი სურვილის შემთხვევაში, ჩვენს პირობებში, მართალია, ნელი გემპით, მაგრამ შესაძლებელია.

 “Библиотековедение “ – ში გამოქვეყნებული სტატიის მიხედვით (N 3, 1997. გვ.3.) რეფერატი მოამზადა დარეჯან გაბელაიამ (ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მეთოდისტი)

ჯონ მილტონი 1644 წელს წერდა „წიგნი არ არის ჩვეულებრივი საგანი, იგი მისივე შემოქმედის სასიცოცხლო ძალითა და გონებით არის აღსავსე, ამიტომ წიგნის განადგურება ხვთის მიერ შექმნილი ადამიანის მკვლელობის გოლფასია, მეტიც- ვინც წიგნს კლავს, გონებას, უფლის ჭეშმარიტ ხატს სპობს”

მარკა კალანდარიშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მეთოდისტი



გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში სამოქალაქო სამოგადოების ჩამოყალიბების პროცესი გაძლიერდა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანა თანდათან აღგება კონსტიტუციური, დემოკრატიული განვითარების გზას. იქმნება სამოგადოების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ხელსაყრელი პირობები.

საქართველოში სამოქალაქო სამოგადოების განვითარების პირობები არასოდეს არ ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ეპიზოდურ შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის დასაწყისში. დამოუკიდებელი საქართველო სამი წლის განმავლობაში აშენებდა დემოკრატიულ სამოგადოებას, მაგრამ ეს პროცესი შეწყდა საბჭოთა წყობის დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლება სამოცდაათი წლის განმავლობაში ახშობდა სამოქალაქო ცნობიერებას. ამის გამო საქართველოს არ გააჩნია სამოქალაქო სამოგადოების საქმიანობის კულტურულ-ისგორიული გამოცდილება.

სამოქალაქო სამოგადოება წარმოადგენს სამოგადოების არასახელმწიფოებრივი ურთიერთობის მთელ ერთობლიობას – ეკონომიკურს, კულტურულს (მათ შორის რელიგიურს). იგი არის მოქალაქეთა მიერ ნებაყოფლობით ჩამოყალიბებული ასოციაციებისა და ორგანიზაციების სფერო, რომელიც კანონით დაცულია (მაშასადამე, სამოქალაქო სამოგადოება არის არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლიობა). საქართველოში პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია იყო “ISAR-საქართველო”.

არასამეწარმეო ორგანიზაციების* შექმნა მოტივირებულია საბაზრო სისტემის გარკვეული თანდაყოლილი შემლუღვებით. ბიზნეს სექტორი აწარმოებს მხოლოდ იმ რაოდენობისა და იმ სახის საქონელს, რამაც მოთხოვნაა გადახდის უნარიანი მომხმარებლის მიერ, ამის გამო სამოგადოების დოვლათის დიდ ნაწილს კერძო სექტორი არ აწარმოებს. ვერც მთავრობა აკმაყოფილებს ხსენებულ სფეროს, რადგან იგიც პასუხისმგებელია გარკვეული სახის საქონლის წარმოებაზე. ხელისუფლება ძირითადად მხოლოდ სამოგადო საჭიროებათა საბაზისო და საშუალო დონეზე აკმაყოფილებს სამოგადოების უმრავლესობის მოთხოვნებს. და ამის გამო ადამიანთა მცირე ჯგუფის კონკრეტული საჭიროებები დაუკმაყოფილებელი რჩება. ამ პრობლემათა გადასაჭრელად არასამთავრობო ორგანიზაციები (იგივე – არასამეწარმეო ორგანიზაციები) უფრო ეფექტურად რეაგირებენ, ვიდრე მთავრობა.

თავდაპირველად ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაუგებრობა იყო. პირველი სექტორი** მათში “კონკურენტს” ხელავდა.

სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელების გარკვეულ ნაწილს არ ესმოდა მესამე სექტორის როლი თანამედროვე სამოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. არასამთავრობო ორგანიზაციები კი თავის მხრივ თვლიდნენ, რომ საჭირო იყო ხელისუფლების მიერ გარკვეული პოლიტიკის გაგარება სოციალური სფეროს პრობლემათა გადასაჭრელად, რაც, სამწუხაროდ, ერთჯერადი ღონისძიებების ხასიათს ატარებდა.

ბოლო ხანებში არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს სტრუქტურებს შორის ურთიერთობა შეიცვალა. მათ შორის ურთიერთობის მხარდაჭერის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე დაარსდა არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო საბჭო, რომელმაც შეიმუშავა სამოქალაქო სამოგადოების განვითარების პროექტი. მისი ფინანსური ხელშეწყობა ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობას დაევალა.

ეკონომიკური და იურიდიული პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობა სახელმწიფო სტრუქტურებთან (იურიდიულ, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან) გამოიხატება კანონპროექტებზე სისტემატურ მუშაობაში, აგრეთვე სხვადასხვა ნორმატიული აქტებისათვის შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში. მაგ., არასამ-

თავრობო სექტორში მოღვაწე იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს სასამართლო რეფორმის განხორციელებასა და მისი კანონმდებლობის დახვეწაში. (ამგვარი ურთიერთობები არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის სოციალურ-ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და იურიდიული ხასიათის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის, რეფორმებისას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებით, კონსულტაციების საშუალებას იძლევა.) ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ აგრეთვე სხვადასხვა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგ., გარემოსდაცვის, განათლებისა და ჯანდაცვის. ისინი მონაწილეობას ღებულობენ გრენინგებსა და კონსულტაციებში. მათ მიერ დამუშავებული მონაცემებისა და შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე, ხელისუფლებას შეუძლია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება.

მაგრამ სამოგადოების ფართო ნაწილისთვის სამოგადოებრივი სექტორის შესახებ ინფორმაცია მაინც არ არის მისაწვდომი. სამოგადოებამ არ იცის ამ სექტორთა თანამშრომლობისა და ურთიერთობის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ სექტორებს – სახელმწიფო, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორებს – თავიანთი საინფორმაციო ცენტრები და ბიბლიოთეკები გააჩნიათ. მაგრამ ეს უკანასკნელნი ასრულებენ ლოკალურ ამოცანებს მხოლოდ თავიანთი ორგანიზაციების მიზნების შესაბამისად. ამ საინფორმაციო ცენტრებში ხდება იმ ინფორმაციის აკუმულაცია, რომელიც ესაჭიროება თვით ხსენებულ სექტორებს. არ ხდება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის, პირველ და მეორე სექტორებთან თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციის პოპულარიზაცია. ამდენად, მათი სამუშაო სფეროს შეიძლება ვუწოდოთ შიდა საინფორმაციო უზრუნველყოფა. ამის გამო სამოგადოების ფართო წრე საინფორმაციო ვაკუუმში ხვდება და ასეთი ვითარება ხელს უშლის სამოგადოების განვითარებას საბაზრო ეკონომიკის პირობების შესაბამისად.


არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამოგადოებრივი სექტორის საქმიანობის შესახებ პოპულარიზაცია სამოგადოების ფართო წრეებში შესაძლებელია იმ სოციო-კულტურული ინსტიტუტების საშუალებით, რომელთაც ფართო ურთიერთობა და გამოცდილება გააჩნიათ სამოგადოების სხვადასხვა კატეგორიებთან. ასეთი

სოციო-კულტურული ინსტიტუტები არის ბიბლიოთეკები. ისინი, როგორც სოციო-კულტურული ინსტიტუტები წარმოადგენენ სოციალური კომუნიკაციის*** მექანიზმსა და უპირველესად ადამიანის სოციალიზაციის მექანიზმს, და მისი როლი თანამედროვე სამოგადოების კომუნიკაციის სისტემაში დამოკიდებულია მისი არსებითი დახასიათების რეალიზაციაზე.

ბიბლიოთეკა ცდილობს მოიცვას და გააერთიანოს სხვადასხვა კულტურული ეპოქები და გრადიციები, რაც უზრუნველყოფს ადამიანის შესაძლებლობათა რეალიზაციას წინააღმდეგობრივ და მრავალმხრივ სოციო-კულტურულ სივრცეში. იგი მოიცავს ცივილიზაციის ორ პლანს: სოციალურსა და კულტურულს.

სოციალური პლანი გულისხმობს ინფორმაციის შექმნის, დაცვისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ პლანის ეფექტურად გამოყენების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი სამოგადოებისათვის მესამე სექტორის შესახებ არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ბიბლიოთეკებს, როგორც არაკომერციულ ორგანიზაციებს, შეუძლიათ მოახდინონ მე-3 სექტორის სტრუქტურების ძალისხმევით კონსოლიდირება და მათი თანამშრომლობა სამოგადოებასთან საინფორმაციო გაცვლის საფუძველზე. სოციო-კულტურულ ინსტიტუტთა ქსელი მთელი ქვეყნის ტერიტორიას მოიცავს. მას საინფორმაციო სამსახურის სფეროში მდიდარი გამოცდილება გააჩნია და ძლიერ მსხვილ უნივერსალურ ფონდებს განაგებს.

ამდენად, მესამე სექტორის სტრუქტურებს საშუალება ეძლევათ ბიბლიოთეკათა რესურსების გამოყენების საშუალებით სამოგადოებაში რეკლამირება და დამკვიდრება, რაც მნიშვნელოვან წილად შეამცირებს სამოგადოების პასიურ დამოკიდებულებასა და უნდობლობას. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ბიბლიოთეკებს შორის ურთიერთობა შესაძლებელია “საინფორმაციო ქსელის” ჩამოყალიბებით, რაც ხელს შეუწყობს არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო უზრუნველყოფის დონის ამაღლებას და ამავე დროს ბიბლიოთეკებს მიეცემათ შესაძლებლობა არაკომერციული სექტორის მცირეტირაჟიანი გამოცემებით შექმნან ფონდი. ამგვარი პროცესი კი თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამოგადოებრივი სექტორის როლის გაძლიერებას და მისი მნიშვნელობის პოპულარიზაციას.



*საქართველოში დამკვიდრებულია ცნებები: “არასამთავრობო ორგანიზაცია”, “საზოგადოებრივი ორგანიზაცია”, “მესამე სექტორი”, მისი სინონიმებია: “არასამთავრობო სექტორი”, “არაკომერციული სექტორი”, “არასამეწარმეო ორგანიზაცია”, “სამოქალაქო ორგანიზაცია”.

**თანამედროვე ქვეყნების უმრავლესობაში საზოგადოება გაიანზრება სამ სექტორად: სახელმწიფო (ხელი-სუფლება), ბიზნესი და მესამე სექტორი.

სახელმწიფო სექტორი თავის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს პოლიტიკურ პარტიას, სამთავრობო სტრუქტურებს, სასამართლოს, საკანონმდებლო მექანიზმებს და ა.შ.

ბიზნეს სექტორი – ესაა ნაციონალური და კორპორაციული საზოგადოებები, საფინანსო ინსტიტუტები და ა.შ.

ხოლო, მესამე სექტორი წარმოადგენს სამოქალაქო ინიციატივებზე და დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაყრდნობით დაფუძნებულ სოციალურ ინსტიტუტთა დამოუკიდებელ სფეროს, რომლის დანიშნულებაა განავითაროს სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოება და ამით შეავსოს სახელმწიფოსა და ბიზნესის ყურადღების მიღმა დარჩენილი სოციალური სივრცე.

***აქ ცნება „კომუნიკაცია“ გაგებულა არა მარტო ინფორმაციის გადაცემის საშუალება, არამედ სხვადასხვა კულტურულ ტრადიციათა სოციალური დიალოგი.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია – ენთუზიასმი და მისი საფუძველი


ასოციაცია ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, იმ არასამთავრობო ორგანიზაციათაგანი, რომლებიც უკვე საკმაოდ განვითარდა საქართველოში.

რა სიახლეს გვპირდება საბიბლიოთეკო ასოციაცია? **საჭიროა კი ასეთი ორგანიზაციის არსებობა?** თუ ბიბლიოთეკები თვითონ გაართმევენ თავს მოქალაქეთა საინფორმაციო მომსახურებას? მართალია, დღეს ჩვენი ბიბლიოთეკები მძიმე მდგომარეობაშია იმყოფება, მაგრამ რა შეუძლია ამ ახალგაზრდა ორგანიზაციას, როდესაც ირგვლივ ამდენი პრობლემა და ქვეყნის ბიუჯეტი ვერ გაითვალისწინებს ბიბლიოთეკებისათვის უფრო მეტი დაფინანსების გამოყოფას? ეს შეკითხვები ბუნებრივია და ჩვენ

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს საბიბლიოთეკო
ასოციაციის პრეზიდენტი

ნც იმით დავიწყებთ, რომ წარმოვადგენთ ჩვენს ხედვას.

მსოფლიოს გამოცდილებით არასამთავრობო ორგანიზაციები დემოკრატიული ქვეყნისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანია. ისინი იქმნებიან იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრობლემები, რომელთა გადალახვა ვერ ხერხდება სამთავრობო ან კომერციული სტრუქტურების მიერ და როდესაც არსებობს პრობლემები, რომელთა თავის გართმევა ერთობლივი ძალისხმევით გაცილებით უფრო მარტივია, ვიდრე დამოუკიდებლად. ასეთ პრობლემად გვესახება ის რთული მდგომარეობა ბიბლიოთეკებში, რომ-




ლის დეტალებით არ შეგაწყენთ; ძირითადი ამრის განსამარგავად გამოვიყენებთ შემდეგ სქემას:

ბიბლიოთეკის, სამოგალოებისა და ხელისუფლების ურთიერთობა

რას გულისხმობს ეს სქემა და რა პრობლემებია ამ მხრივ საქართველოში?

დემოკრატიულ ქვეყანაში აღნიშნულ სამ ობიექტს შორის შემდეგი სახის ურთიერთობები ყალიბდება: ბიბლიოთეკები მომსახურების



სფეროს ორგანიზაციები, ცხადია, ისინი იმისათვის არსებობენ, რომ სამოგალოების გარკვეული ჯგუფის (ქალაქის, რაიონის, უნივერსიტეტის,...) საინფორმაციო მოთხოვნილებები დააკმაყოფილონ. ამიტომ უპირველეს ყოვლისა სამოგალოებამ უნდა იგრძნოს ამ სახის მომსახურების საჭიროება და ჩამოაყალიბოს სამოგალოებრივი ამრი. ამის განხორციელება კი ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივაა. ხელისუფლება აყალიბებს ბიბლიოთეკებისადმი «სამოგალოებრივ დაკვეთას», ბიბლიოთეკების მართვისა და განვითარების სტრატეგიას (ამაში მას თვით საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები ესმარებიან) და ზრუნავს სათანადო საბიუჯეტო სახსრების უზრუნველყოფაზე. ბიბლიოთეკა მიღებული «სამოგალოებრივი დაკვეთის» საფუძველზე აყალიბებს სამუშაო გეგმებს, მიაწვდის ინფორმაციას და სერვისს სამოგალოებსა და მისი მოთხოვნილების რეგულარული ანალიზის საფუძველზე აკეთებს კორექტივებს მიმდინარე მუშაობაში. სწორედ ამ ციკლის ფუნქციონირების გამართვაზე თუ გაუმართაობაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ საინფორმაციო მომსახურებას ღებულობს ყოველი ჩვენთაგანი და რა კულტურულ მემკვიდრეობას მიიღებს ჩვენი მომავალი თაობა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს სქემა განვითარებული დემოკრატიული სამოგალოების მდგ-

ომარეობას გულისხმობს, მაგრამ ასეთი გეგმის სამოგალოების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის მშენებლობაში ყველა უნდა იღებდეს მონაწილეობას, მათ შორის ჩვენც – ასოციაცია, ბიბლიოთეკები, ბიბლიოთეკარები, სპეციალისტები.

რა პრობლემას ვაწყდებით ჩვენ ამ სქემის მიხედვით დღევანდელ საქართველოში? საქმეც იმაშია, რომ ამ სქემის არც ერთი კომპონენტი არ სრულდება (იშვიათი გამონაკლისის გარდა):

- **სამოგალოება, სამწუხაროდ, სულ უფრო ნაკლებად აცნობიერებს მისთვის ინფორმაციის, განათლების და ბიბლიოთეკების საჭიროებას.** სამოგალოებრივი ამრი ამ მხრივ კარგს არაფერს უქადის ბიბლიოთეკებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ იმ ბიბლიოთეკის ადგილზე, რომელიც ჩვენმა განმანათლებლებმა («წერა - კითხვის გამავრცელებელმა სამოგალოებამ») და სხვებმა ჩვენი ახლო სოციალისტური წარსულის მოღვაწეებმა დააარსეს, მაღაზიის ან ოფისის გახსნა ჩვეულებრივ ამბად მიიღება. ეს იმ დროს, როდესაც მთელ მსოფლიოში ფართოდ განიხილება საინფორმაციო სამოგალოების შექმნის პრინციპები და მასში ბიბლიოთეკების როლის გაძლიერება.

- **ხელისუფლება (გულისხმობს სხვადასხვა დონის ხელისუფლებას) ვერც საბიბლიოთეკო სტრატეგიას აყალიბებს (ამასთან, იშვიათად თუ დაეკითხება საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტებს) და ბიუჯეტის პრობლემები ხომ ყველასათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა ვითარებაშია.**

- **თავის მხრივ ბიბლიოთეკებიც (უნდა ითქვას ბიბლიოთეკართა ერთუმიამზმისა და თითქმის უიმედო შრომის მიუხედავად) არ ღვანან იმ სიმბაღებზე, რომელიც ჩვენისთანა დიდი კულტურის ქვეყანას შეუფერება.** ხაზს გაავსვამ იმას, რომ ჩვენი ბიბლიოთეკები, რა თქმა უნდა, მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკებზე უკეთესია ბევრი პარამეტრით, (მაგალითად, არის ქვეყნები, სადაც ბიბლიოთეკებში 500 – 1000 წიგნზე მეტი იშვიათია და მათი ძირითადი დანიშნულებაა წერა - კითხვის ჩვევების განვითარება), მაგრამ საქართველოში, ჩვენი ღრმა რწმენით, შესაძლებელია საკმაოდ მაღალი ხარისხის საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა, მიუხედავად ყველა პრობლემისა.

გარდა ამისა, სიგუაცაიას ართულებს ისიც,




რომ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში ფაქტიურად არ არსებობს ისეთი ცენტრი, რომელიც ერთიან საბიბლიოთეკო-საინფორმაციო პოლიტიკასა და სტრატეგიას ჩამოაყალიბებს და კოორდინირებას გაუწევს ამ მიმართულების საქმიანობას, კოორდინირება და სახსრების დაზოგვა კი აუცილებელია, ამას სხვა ქვეყნების გამოცდილებაც ცხადყოფს. ალბათ სწორედ ამით აიხსნება საბიბლიოთეკო ასოციაციების და კავშირების არსებობა (შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენს მემობელ ქვეყნებშიც არის ასეთი ასოციაციები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე შეიქმნა).

რაში ვხედავთ ჩვენ გამოსავალს? და რა როლს ვანიჭებთ ჩვენს ასოციაციას ზემოთ მოყვანილ სქემაში? ჩვენი ამრით, პრობლემა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, ერთი რომელიმე მიმართულებით მუშაობა შედეგს ვერ მოიგანს. ამიგომ ჩვენ ვმუშაობთ და ვიმუშავებთ სქემაში მოყვანილი სამივე შემადგენელი კომპონენტის წარმომადგენლებთან:

• **ბიბლიოთეკები და ბიბლიოთეკარები.** ჩვენი ამრით, აქ განსახორციელებელია ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები (პროექტები, პროგრამები). ჩვენი დაკვირვებით, ბიბლიოთეკარები ზედმეტად გამარტივებულად და ოპტიმისტურად უყურებენ პრობლემას: იქნება დაფინანსება – კარგად ვიმუშავებთ (როგორც საბჭოთა პერიოდში), არ იქნება – რა გაეწყობა, გავაკეთებთ; რასაც შევძლებთ, ისე როგორც ბოლო 10 წელია ვიქცევით. ეს აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა და ზემოთ ნაჩვენები ურთიერთობებიდან მხოლოდ 2-ის არსებობას გულისხმობს. იგი არ ითვალისწინებს არც იმას, რომ ჩვენს სამოგადობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, არც გარე «საინფორმაციო გარემოს» ცვლილებებს, არც კომპიუტერებისა და ინტერნეტის დამკვიდრებას და არც მსოფლიოს საბიბლიოთეკო-საინფორმაციო სისტემის განვითარების ტენდენციებს. ამიგომ, ჩვენი ამრით, ამ სფეროში საჭიროა პირველ რიგში პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო კურსების ამოქმედება და პროფესიული ინფორმაციით უზრუნველყოფა. ამასთან, პირველ რიგში საჭიროა საბიბლიოთეკო მენეჯმენტის ანუ ბიბლიოთეკების მართვის თანამედროვე გამოცდილების შესწავლა. მენეჯმენტში ჩვენ არა მხოლოდ საფინანსო მენეჯმენტს ვგულისხმობთ

(თუმცა ეს მნიშვნელოვანი საკითხია), არამედ პირველ რიგში მომსახურების ხარისხის ზრდას და ახალი საინფორმაციო საშუალებების უზრუნველყოფას (რა სახის ლიგერაგურა უნდა იქნეს შეძენილი, საიდან, როგორ გამოვიყენოთ ახალი საინფორმაციო და ქსელური ტექნოლოგიები და ინტერნეტი ბიბლიოთეკაში, როგორ დაენერგოთ და დაეიცვათ ინფორმაციის გაცვლის მსოფლიო სტანდარტები, როგორ უზრუნველყოთ სამუშაო პროცესების ოპტიმალობა და ხარჯები, ეკონომია, დაზოგვა, შემცირება, სად და როგორ მოვიძიოთ დამატებითი ფინანსები, ...). ამასთან, ჩვენ არა გვაქვს სურვილი შევასრულოთ ის, რაც ბიბლიოთეკებმა თვითონ უნდა გააკეთონ. ჩვენ ვვგვავეთ მხოლოდ მათ ხელშეწყობას და აგრეთვე ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებშიც მიზანშეწონილია დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობა (მაგალითად, ეროვნული სტატისტიკის შეგროვება და ანალიზი, ტექნოლოგიური სტანდარტების განხილვა და დადგენა, პრობლემატური საკითხების ერთობლივი განხილვა და გადაწყვეტა).

• **ხელისუფლება.** ზემოთ მოყვანილი სქემა მხოლოდ და მხოლოდ საილუსტრაციოა და არ გულისხმობს, რომ რომელიმე ქვეყანაში ყველა პრობლემა მოგვარებულია (მაშინ ჩვენი ლოგიკით ამ ქვეყანაში საბიბლიოთეკო ასოციაციებიც არ იარსებებდა, რაც ფაქტებს არ შეესაბამება), პირიქით, პრობლემები მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში დგას, მთავარია, არსებობს თუ არა ქვეყანაში ამ სქემაში მოცემული პროცესების რეგულირების და ოპტიმიზირების მექანიზმები. როგორც სქემიდან ჩანს, ხელისუფლებას მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული საბიბლიოთეკო და საერთოდ საინფორმაციო დარგის განვითარებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია დანარჩენ ორ კომპონენტთან ურთიერთობების მექანიზმების რეგულირება. ამ შემთხვევაში ყურადღებას ბიბლიოთეკებთან ურთიერთობაზე და ასოციაციის როლზე გავამახვილებთ. ასეთი ურთიერთობების დიდი გამოცდილება აქვთ განვითარებულ ქვეყნებს და, რადგან ჩვენც ასეთი ქვეყნის მოდელისაკენ მივსწრაფით, სასარგებლო იქნებოდა მისი შესწავლა და პრაქტიკული განხორციელება. სწორედ ასეთი სიახლეების დანერგვა «ეხერხება» არასამთავრობო ორგანიზაციებს, რასაც საქართველოს ბოლო წლების მაგალითიც ადასტურებს (რა თქმა უნდა, ვგუ



ლისსმობ «ნამდვილ», «საქმიან» ორგანიზაციებს, რომელთა რიცხვს ჩვენს ასოციაციასაც მივაკუთვნებდი). ამის ლოგიკური ახსნა შემდეგში მდგომარეობს: არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო მობილური და მოქნილია, ვიდრე სამთავრობო (მათ შორის ბიბლიოთეკებსაც ვგულისხმობ), მათ არ ბოჭავს არც «გაუმართლებელი გრადიციები» და არც ახლო წარსულში ჩამოყალიბებული «სუბორდინაციული» სქემები. მაგალითად, ბიბლიოთეკას, გასაგები მიზეზების გამო, შეიძლება უძნელდებოდეს ადგილობრივ ხელისუფლებასთან პრობლემური საკითხის განხილვა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციას (მით უმეტეს დიდს, მთელ საქართველოში მოქმედს) ამ პრობლემების გადაჭრის თავისებური მექანიზმები გააჩნია (ისეთი, როგორცაა მასმედიის გამოყენება, ლობირება, ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება, სამოგადოებრივი ამრის ჩამოყალიბება და სხვა). ცხადია, ყველა ეს მოქმედება კანონის ფარგლებში წარმოებს და მიმართულია ბიბლიოთეკების ინტერესების დაცვისა და განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამას ჩვენი ასოციაცია ახორციელებს და ზოგიერთ საკითხზე საკმაოდ მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიეთ. ვცდილობთ დავიცვათ ბიბლიოთეკების უფლებები და ბიბლიოთეკარებს შევუქმნათ ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობები.

• **სამოგადოება.** დღეს ჩვენი ბიბლიოთეკების უმეტესობა მოქმედებს ისე, თითქოს თავისთავად იგულისხმებოდეს, რომ სამოგადოების ის ჯგუფები, რომლებსაც ისინი ემსახურებიან (რაიონი, უნივერსიტეტი, სკოლა, სოფელი, ქალაქი, ...), მათგან სწორედ ასეთ მომსახურებას მოითხოვენ, კარგად ერკვეოდეს იმაში, თუ რა ლიტერატურის შეძენას აპირებს თუ იძენს ბიბლიოთეკა, რომელ მწერალთან თუ საბავშვო ანსამბლთან შეხვედრა იგეგმება. ან პირიქით, ბიბლიოთეკა აწყობს საინტერესო და მნიშვნელოვან გამოფენას და ამის შესახებ არ აცხადებს არა მარტო ფართო სამოგადოებას, არამედ თავის მკითხველთა კონგინგენცსაც კი. უფრო მეტიც, ბიბლიოთეკარი შეიძლება გაღიზიანებით საუბრობდეს იმაზე, თუ როგორ ნაკლებად ინტერესიანი ახალგაზრდობა გვყავს და რა უცნაურ მოთხოვნებს ვაწყდებით. ამ მოვლენის მიზეზი, ჩემი აზრით, ბიბლიოთეკასა და სამოგადოებას შორის გარკვეული «ბზარია» და ამ ხარვეზის

გამოსწორებაშია სწორედ ჩვენი ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა. პრობლემა საკმაოდ რთულია, რადგან სიჭყვა «სამოგადოება» საკმაოდ ფართოა. ამასთან ქვეყანაში არსებული სიგუაცია აშკარად ხელს არ უწყობს მის მოგვარებას. ისიც უნდა ვთქვა, რომ სამოგადოების საინფორმაციო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა მთელი ჩვენი მსჯელობის და განხილული სქემის არსი. სქემაში იგულისხმება (ეს სწორედ განვითარებული ქვეყნის ნიშანია), რომ სამოგადოებას აქვს გადაუდებელი და მძაფრი მოთხოვნილება ინფორმაციაზე, ცოდნაზე, განათლებაზე და კულტურულ განვითარებაზე (სხვათა შორის დასვენებაზეც) და სწორედ ამიტომ «ირჯებიან» დანარჩენი ობიექტები ანუ ბიბლიოთეკები და ხელისუფლება. ჩვენს სამოგადოებაში კი, სამწუხაროდ, ეს მოთხოვნილებები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში, ამერიკაში ან თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის ან სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში. ეს კარგს არაფერს გვიქადის, არც ბიბლიოთეკებს და არც მთელ ქვეყანას. აქ ამის ანალიზს არ შევუდგები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ამ მძიმე მდგომარეობიდან ერთ-ერთ გამოსავალს სამოგადოების ინფორმაციითა და ცოდნით უზრუნველყოფაში ვხედავ. მძიმე სიგუაციიდან გამოსავალი ყოველთვის და მხოლოდ მაშინ მოინახება, თუ პრობლემას მონდომებითა და ცოდნით მივუდგებით. ამ მხრივ ჩვენ ამოცანას ვხედავთ იმაში, რომ სამოგადოებას ოპერატიულად მივაწოდოთ ყოველი ის სიახლე და წარმატება, რომელიც საბიბლიოთეკოსაინფორმაციო მომსახურების საქმეში იქნება მიღწეული, განვუმარტოთ მისი და საერთოდ ბიბლიოთეკების მნიშვნელობა და ხელი შევუწყოთ იმ სამოგადოებრივი ამრის ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ხელისუფლების მიერ «სამოგადოებრივი დაკვეთა» და რომელიც ბიბლიოთეკებს ამოძრავებს.

ასოციაციის საქმიანობაში განსაკუთრებულად გამოვეყოფ ბიბლიოთეკებში ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს ბიბლიოთეკებისათვის ახალი სფეროა (არა მხოლოდ საქართველოში) და მრავალი საკმაოდ სერიოზული პრობლემის გადაჭრას მოითხოვს: მოუგვარებელია ტექნოლოგიური პრობლემები (ქართული დამწერლობების გამოყენება, ბიბლიოგრაფიული გაცვლის სტანდარტები, სის-



გემატიზაციისა და ძიების მეთოდები, ...), ხელახლა განსახილველია ბიბლიოთეკისათვის შესაძენი მასალების ჩამონათვალი (წიგნები, ჟურნალები, ელექტრონული რესურსები და სერვისები, აუდიო-ვიზუალური მასალები, ...) და შეძენის წყაროები (ადგილობრივი და უცხოური, დისტანციური და ადგილზე დამონტაჟებული), დასაბუთებულია უფლებრივი და ქონებრივი კანონმდებლობა, დასაწერგია მართვისა და განახლების მექანიზმები და სხვა.

ასოციაციის საქმიანობის სფეროების აღწერა ბედმეტად თეორიული რომ არ გამოდგეს, განუმარტავ, ვინ შეადგენს ასოციაციას და რა კონკრეტულ საქმიანობას აწარმოებს იგი.

ასოციაციაში უკვე გაწევრიანდა დაახლოებით 50 ორგანიზაცია და 70 პიროვნება. ასოციაციის წევრებია: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტების სამეცნიერო ბიბლიოთეკები, თბილისის, გორის, სენაკის, ზუგდიდის, ახალციხის, ბათუმის, თელავის, ქუთაისის და მრავალი სხვა ქალაქისა თუ რეგიონის ბიბლიოთეკები, ბიბლიოგრაფიის, საბიბლიოთეკო საქმის, ინფორმაციის, იურიდიული და სხვა დარგების სპეციალისტები. ასოციაციის შტაბ-ბინა მდებარეობს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობაში (გუდიაშვილის ქ. 7, ტელ: 932682), სადაც ყოველთვის მზადა ვართ მოვისმინოთ თქვენი პრობლემები, წინადადებები, გაგიწიოთ სხვადასხვა სახის საკონსულტაციო დახმარება თუ უბრალოდ გაგესაუბროთ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი საქმიანობის სფეროში შედის.

ჩვენი საკმაოდ ფართო საქმიანობის წარმართვისათვის ასოციაციამ შეიმუშავა გარკვეული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც სულ უფრო იხვეწება და 2002 წლისათვის ითვალისწინებს ისეთ საკითხებზე მუშაობას, როგორცაა:

- საჯარო ბიბლიოთეკებისათვის საქმიანობის სტანდარტების და შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბება, სტატისტიკური მონაცემების დამუშავება მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- სასკოლო ბიბლიოთეკების მდგომარეობის შეფასება. მათი განვითარება განათლების რეფორმის ჩარჩოში და საჯარო ბიბლიოთეკებთან თანამშრომლობის ფორმების განხილვა.
- საკანონმდებლო საქმიანობა (კანონი საჯარო

დებულო ეგზემპლარების შესახებ, საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ...).

- სასწავლო კურსების ორგანიზება.
- საბიბლიოთეკო მენეჯმენტი - ახალი მიდგომების განხილვა და დანერგვის ხელშეწყობა.
- ეროვნული საბიბლიოთეკო, ბიბლიოგრაფიული და საგამომცემლო სტანდარტების განხილვისა და მიღების ხელშეწყობა.
- ეროვნული ბიბლიოგრაფიისა და ერთობლივი კატალოგიზაციისათვის გექნიკური პროექტების განხორციელება.
- ელექტრონული ინფორმაციის წყაროების უზრუნველყოფა ბიბლიოთეკებისათვის.
- ბიბლიოთეკების საქმიანობის პოპულარიზაცია (მათ შორის «ბიბლიოთეკების კვირეულის» აღნიშვნა 22-30 აპრილს).

ეს გეგმა ბედმეტად «გაბერილი» და განუხორციელებელი რომ არ მოგეჩვენოთ, მოვიყვანო უკანასკნელ ხანს განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს (2001 წლის განმავლობაში):

- დაფუძნდა ჟურნალი «საქართველოს ბიბლიოთეკა» და გამოიცა მისი 4 ნომერი. ჟურნალი გავრცელდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონსა და დასახლებულ პუნქტში,
- შეგროვდა საქართველოს რეგიონების საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკების სტატისტიკა და გამოქვეყნდა ინტერნეტში ინგლისურ, რუსულ და ქართულ ენებზე,
- შეგროვდა და დამუშავდა თბილისის საბიბლიოთეკო ქსელის დეტალური სტატისტიკა. გამოსაცემად მომზადებულია თბილისის ბიბლიოთეკების წიგნალი ფონდების რაოდენობის, შენობის ფართობის, მკითხელთა წლიური აღრიცხვის, გაცემული მასალების რაოდენობის და სხვა სტატისტიკური ინფორმაციის ამსახველი ცხრილები და გრაფიკები, შედარება საფრანგეთის, გერმანიის და ავსტრიის ბიბლიოთეკებთან,
- მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე «ქართული ბიბლიოგრაფიული მონაცემთა ბაზები ინტერნეტში», რის შედეგად საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატა და ეროვნული ბიბლიოთეკა გამოაქვეყნებენ 2001 წლის ბიბლიოგრაფიულ ბაზებს ინტერნეტში. პროექტი ძალზე მნიშვნელოვანია გარდა თვით ინფორმაციისა, აგრეთვე სტანდარტებისა და გექნოლოგიური პრობლემების გადაჭრის მხრივ, გამოყენებულია მსოფლიოში უახლესი გექნოლოგიები და ფორმატები,



მისი წარმატებით დასრულება საფუძველს ჩაუყრის ამ გზის პროექტების შემდგომ ფართო გავრცელებასა და განვითარებას,

- მომზადდა ინგლისურ-რუსულ-ქართული საბიბლიოთეკო და საინფორმაციო დარგის ინტერაქტიული ლექსიკონი. ეს ლექსიკონი ყველასათვის მისაწვდომია ინტერნეტის მეშვეობით, უფრო მეტიც, ითვალისწინებს გერმინების ფართო განხილვას და დაზუსტებას ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით. პროექტი გაგრძელდება 2002 წლის მარტამდე. ვიწვევთ სპეციალისტებს მონაწილეობის მისაღებად. მარტის ბოლოს ლექსიკონის იმდროინდელი ვერსია გამოიცემა ბეჭდური სახითაც;

- 2001 წლიდან დავიწყეთ მუშაობა პროექტზე «ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის». პროექტის ფარგლებში ყველა მის მონაწილე ბიბლიოთეკას, უნივერსიტეტს, კოლეჯს, საინფორმაციო ცენტრს მიეწოდება 5000-ზე მეტი დასახელების ელექტრონული ჟურნალი და 1200-ზე მეტი ელექტრონული გაზეთი ინგლისურ ენაზე. პროექტი ღიაა ყველა დაინტერესებული ორგანიზაციისათვის. ამ ელექტრონული მონაცემთა ბანკის ჟურნალების თემატიკა ძალზე ფართოა და მოიცავს 1991-2002 წლებს. ვბრუნავთ პროექტის გაფართოებასა და სპონსორების მოზიდვამდე;

- ქ. თბილისის საკრებულოს სამოგადოებრივ და საგარეო ურთიერთობების კომისიასთან ერთად დავიწყეთ სამუშაოები, რომელთა მიზანია ქ. თბილისის საბიბლიოთეკო ქსელსა და საკრებულოსა და მერიის ურთიერთობების ახალი ფორმების გამონახვა: საბიბლიოთეკო საკოორდინაციო საბჭოს შექმნა და თბილისის ბიბლიოთეკებისათვის საქმიანობის პრინციპებისა და მეთოდების გადასინჯვა,

- მოვაწყეთ ასოციაციის გამგეობისა და «ქურნალ საქართველოს ბიბლიოთეკის» რედაქციის შეხვედრები საბიბლიოთეკო სამოგადოებასთან თბილისში, თელავში, ახალციხეში და გორში.

ბუნებრივია ჩნდება შეკითხვა: როგორ ახერხებს ასოციაცია პროექტების განხორციელებას, ამას ხომ **საკმაოდ დიდი თანხები სჭირდება?** ამ შეკითხვაზე პასუხში ნაწილობრივ ჩანს ის გზა, რომელსაც ასოციაცია იყენებს და სთავაზობს ბიბლიოთეკებს (ეს სწორედ მემოთ ხსენებული «ახალი საფინანსო მენეჯმენტის» ნაწილია). ასოციაცია ამ მხრივ ბიბლიოთეკებზე უფრო რთულ

მდგომარეობაშიც კი იმყოფება, რადგან მას არაა აქვს საშუალება (და სურვილი) სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიიღოს დაფინანსება - ეს ხომ არასამთავრობო ორგანიზაციაა. ბიბლიოთეკები მცირე დაფინანსების მიღებას მაინც ახერხებენ, თუნდაც თანამშრომელთა ხელფასებს (მოგიერთი წიგნების და ტექნიკის შესაძენ სახსრებსაც კი). **ჩვენი საქმიანობის დაფინანსების წყაროები** კი შემდეგია:

- საწევრო გადასახადები (წევრები ყოველწლიურად იხდიან განსაზღვრულ მცირე საწევრო გადასახადს. ამ სახსრებით შესაძლებელია გარკვეული ხარჯების დაფარვა, მაგალითად, საოფისე ხარჯების, შეხვედრების ორგანიზების, მცირე პროექტების და სხვ.)

- გრანტები (გრანტები წარმოადგენს ასოციაციის ძირითად საარსებო წყაროს. ძირითადად იგულისხმება უცხოური და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული გრანტები, თუმცა უკვე დაარსდა ქართული ფონდებიც და ვცდილობთ მათთან ურთიერთობის ფორმების ჩამოყალიბებას. ფონდებიდან გრანტების მიღება შესაძლებელია როგორც ასოციაციისათვის, ასევე ცალკეული ბიბლიოთეკებისთვისაც. უცხოური ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი ამგვარი ფინანსური დახმარებით ეფექტურად სარგებლობს),

- შემოწირულობები და ქველმოქმედება (იგულისხმება მცირე და საშუალო ბიზნესის ანდა ჩვეულებრივი მოქალაქეების მიერ დახმარების გაწევა ჩვენი საქმიანობისათვის ნებისმიერი სახით, იქნება ეს ჩვენი ბროშურის გამოცემა, კომპიუტერის გადაცემა, ინტერნეტში ღრობითი ჩართვა, თუ პირდაპირი ფინანსური დახმარება. ეს წყაროც თანაბრად მისაღებია ბიბლიოთეკებისთვისაც, მაგალითად, ფირმა «სანეგმა» გადასცა ეროვნულ ბიბლიოთეკას 5 კომპიუტერი და უბრუნველყო მათი ინტერნეტში ჩართვა),

- საკუთარი ფასიანი პროდუქციისაგან მიღებული შემოსავალი (ეს შეიძლება იყოს ქურნალის გაყიდვა, ფასიანი სასწავლო კურსები, გამოფენები, საბეჭდო სამუშაოები და მრავალი სხვა, ამას ბიბლიოთეკების ნაწილი უკვე იყენებს).

და ბოლოს, კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, მიუხედავად ქვეყნის მძიმე მდგომარეობისა, მოახერხა ჩამოეყალიბებინა საკუთარი მიდგომა საბიბლიოთეკო საქმეში არსებული პრობლემებისადმი, ეს არ ნიშნავს, რომ

პრობლემები უკვე გადაწყვეტილია ან მათი გადაწყვეტა შესაძლებელია უახლოეს 1-2 წელში, ისიც ასოციაციის მხოლოდ 20 - 30 წევრის ძალისხმევით (თუნდაც 120-130). ჩვენი ღრმა რწმენით, ყველა პრობლემის დაძლევა შესაძლებელია, ამასთან ნაკლები ფინანსური დანახარჯებით, ვიდრე ბევრს ჰგონია. ამისათვის საჭიროა სერიოზული და დაძაბული შრომა და არა მხოლოდ გრადიციული «საბიბლიოთეკო» საქმიანობის სფეროებში, არამედ გაცილებით

უფრო ფართოდ, სამოგადოების მრავალი ფენის ჩართვით.

მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ სასურველ მიზანს, ანუ საქართველოს კულტურული ტრადიციების შესაფერის საინფორმაციო მომსახურების სისტემის ჩამოყალიბებას. ჩვენ მზად ვართ ამგვარი მუშაობისათვის და უკვე დავიწყეთ იგი. იმედი გვაქვს, რომ ამ სტატიის მკითხველიც თვითონ გადაწყვეტს, რამდენად საჭიროა ეს მისთვის და როგორ შესძლებს ჩვენთან თანამშრომლობას.

პრის სულიერი წამალი

წერილი მეორე

ბურაბ თაყნაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის
ცენტრის უფროსი

ამჟამინაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამო საგრძნობლად შემცირდა ინფორმაციის წყაროების შემოსვლა ქვეყნის მთავარ ბიბლიოთეკაში. 1992/93 წწ. შეღარებით წიგნებისა და სხვ. სახის დაკუმენტირებული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების მაჩვენებელი თითქმის ათჯერ შემცირდა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის წლების განმავლობაში წიგნების შესაძენად არ გამოიყოფა არც ერთი თეთრი. ბიბლიოთეკა ივსება შემოწირული წიგნებით; სავალდებულო ცალებით. ბიბლიოთეკის ღირეექცია მაღლიერებას გამოხატავს იმ პირების, რედაქციების, გამომცემლობების, ავტორების მიმართ, რომლებიც თავისი ნებით, ეროვნული შეგნებით, უშურველად გადასცემენ ბიბლიოთეკას სავალდებულო ცალებს, საკუთარ გამოცემებს; მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: გამომცემლობა „მერანი“ (ღირეექტორთა საბჭოს თავჯდომარე გურამ გვერდწითელი, რედაქტორ-გამომცემელი გივი ალხაბიშვილი). უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღნიშნულმა გამომცემლობამ თავისი გამოცემები უსასყიდლოდ გადასცა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს, გელათის მეცნიერებათა აკადემიას, თბილისის

მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, ქურნალისგთა კავშირს, გორის, ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკებს, ხულოს გბელ აბუსერიძის სახელობის გიმნაზიას, ახმეგის რაიონის სოფ. თმალის სკოლას და სხვ. ორგანიზაციებს; აღნიშნულ პერიოდში უსასყიდლოდ გადაცემული ლიტერატურის ღირებულება 6000 ლარს აჭარბებს. ეროვნული ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომლები ყოველდღიურად მიდიან ცალკეულ გამომცემლობებსა და რედაქციებში, რათა საკუთარი ხელით წამოიღონ და შეავსონ ბიბლიოთეკის ფონდები. იციან რა ბიბლიოთეკის ფასი და დანიშნულება, ბიბლიოთეკარებს ბევრ შემთხვევაში გულთბილად და ყურადღებით ხედებიან; ეროვნული ბიბლიოთეკის წიგნსაცავს დღითი-დღე ემატება გამომცემლობების, რედაქციების, ცალკეული პირების



მიერ თანაგრძნობითა და მაღლიერებით-გადმოცემული საბიბლიოთეკო ღოკუმენტები. არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის გექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა (მთავარი რედაქტორი ალექსანდრე გრიგოლაშვილი), გამომცემლობა „ჯისიაი“ (მერაბ ალექსიძე); თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა (მთ. რედაქტორი ნიკოლოზ ბერძენიშვილი); მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (ზეინაბ სირაძე), ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა; გამომცემლობები: „ინტელექტი“ (კახა კუდავა), „დიოგენე“ (ოთარ ყარალაშვილი), „ლოგოსი“ (ლაშა ბერაია), „სანი“ (ზაზა ბერიაშვილი), „დედა ენა“ (მანანა უკლება), „ქართული ენა“ (ლევან ვაშაქიძე, ავთანდილ არაბული), „სამშობლო“ (ჯემალ ქარაზანაშვილი), ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (რედაქტორი ირაკლი სესიაშვილი) და სხვ.

ათასობით წიგნი შეწირეს ეროვნულ ბიბლიოთეკას მწერალმა და კრიტიკოსმა რევამ თვარაძემ, კოკა ყანდიაშვილმა, გეოგრაფმა კობა ხარაძემ. მეგადსაინტერესოა მწერალ დემნა შენგელაიას საოჯახო კოლექცია, რომელმაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა. აღნიშნული და სხვა გამომცემლობები, კერძო პირები, საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც საკუთარი წიგნების თუნდაც მცირე ნაწილს გადასცემენ უსასყიდლოდ ბიბლიოთეკებს, ღრმად აცნობიერებენ ასეთი მოქმედების აზრს და დანიშნულებას. ბიბლიოთეკა, როგორც ერის სულიერი სხეულის ორგანული უჯრედთაგანი, დღენიადაგ, წვეთწვეთობით უნდა ივსებოდეს და ახლდებოდეს.

არ შეიძლება გულთბილად არ მოვისხენიოთ ის გამომცემლობები და უწყებები, რომლებმაც წინა წლის პერიოდული გამოცემები უსასყიდლოდ დაუთმეს ეროვნულ ბიბლიოთეკას. მათგან აღსანიშნავია: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (ბიბლიოთეკის გამგე ლიანა კოპალეიშვილი), საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა (გამგე მარინე ქორჩილავა), ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი (სწავლული მდივანი გურამ ჭოხონელიძე), ჟურნალ „ამარგას“ რედაქცია (რედაქტორი ირინა ყაჭეიშვილი), ჟურნალ „ომეგას“ რედაქცია (რედაქტორი როსტომ ჩხეიძე), „საქართველოს ქა-

ლის“ რედაქცია (რედაქტორი ნარგიზა მგელაძე), ჟურნალ „სარკეს“ რედაქცია (რედაქტორი მელა სანაია), „დილის გაზეთის“ რედაქცია (რედაქტორი მანანა კარგომია) და სხვ.

მკითხველის ყურადღებას აღარ გადავლდით იმის შესახებ თხრობით, თუ როგორი განჯვითა და წვალებით, როგორი მცდელობით უხდებათ ბიბლიოთეკის დაკომპლექტების განყოფილების თანამშრომლებს თითოეული გამოცემის შემოგანა ეროვნულ ბიბლიოთეკაში იმ გამომცემლობებიდან და რედაქციებიდან, რომლებიც თვითონ ვერ აგზავნიან სავალდებულო ცალეებს, ზოგ მათგანს არც სურს გადმოცემა და, უბრალოდ, არა აქვს შეგნებული ცალკეული გამოცემების ბიბლიოთეკაში მოხვედრის მნიშვნელობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქ-



ართველოში ჯერჯერობით არ არის შემუშავებული კანონპროექტი სავალდებულო ცალეების შესახებ, რის გამოც ასეა გაძნელებული საქართველოს დიდი წიგნსაცავებისა და სახელმწიფო წიგნის პალატის შევსება სავალდებულო ეგზემპლარებით.

ბიბლიოთეკებში ახალი გამოცემების შემოსვლელობა მათი ფონდების გადარიბებას იწვევს, ხოლო ეს კი მკითხველთა მასობრივ განთესვას. ბიბლიოთეკების ფონდების განახლების პრობლემებზე როდესაც ვსაუბრობთ, ძალაუნებურად გვახსენდება ათი საუკუნის წინათ იოანე ათონელის მიერ სინანულით თქმული: „ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულოვან არის წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“.

ბიბლიოთეკებში უარების აბსოლუტურად დიდი ნაწილი ისეთ საკითხებზე მოდის, როგორიცაა: სამართალმცოდნეობა, ბიზნესი და მარკეტინგი, საბაზრო ეკონომიკა, მენეჯმენტი და სხვ.

თანამედროვე ქართული საბიბლიოთეკო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებათაგანი უნდა გახდეს საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნება, ბიბლიოთეკების გადარჩენა; ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა, რომელთა გამგებლობაშიც ბიბლიოთეკები იმყოფება, მაქსიმალურ-

ად უნდა შეინარჩუნონ კულტურის ეს დაწესებულებები, რათა ფაქტიურად არ დაირღვეს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები საბიბლიოთეკო მომსახურებაზე.

ქართული წიგნი ბეჭდური პროდუქციის გამოცემის საერთაშორისო სტანდარტების გაუთვალისწინებლად იბეჭდება. ქართული წიგნის საგამომცემლო პოლიტიკა ნაკლებად შეესაბამება მასობრივი მკითხველის ინტერესს. ამ ბოლო ხანებში, შეიძლება ითქვას, წიგნსაგამომცემლო პოლიტიკით და წიგნის ბაზრის ბედით დაინტერესდნენ მწერლები, გამომცემელი. წიგნისა და ბიბლიოთეკის ყოფა აწუხებს საზოგადოებრიობას: „ერი მოწყდა წიგნს, ერი უნდა დავუბრუნოთ წიგნს“, – წერდა ამ რამდენიმე წლის წინათ გამომცემლობა „საქართველოს“ დირექტორი, მწერალი ჯ. ღვინჯილია („საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, 9 აპრილი); „წიგნს შავი დღე დაუდგა, კვდება წიგნი და მასთან ერთად კვდება მკითხველიც“, – წერდა ცოცხა მოგვიანებით იგივე ჯ. ღვინჯილია დანაწიებითა და გულისტკივილით („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 1 თებერვალი);

წიგნთან და წიგნიერებისაკენ ერის დაბრუნება ერთობ გაძნელებდა კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკის გარეშე; თუ კვდება წიგნი, კვდება ბიბლიოთეკაც.


ქართული საბავშვო წიგნის ნაკლებობის სიმწვავეს ყველაზე მეტად პატივად მკითხველი განიცდის, ხოლო ამ მდგომარეობით შეწუხებული ბავშვებთან მომუშავე ბიბლიოთეკარები სათუთად ინახავენ, უვლიან და უფროსილდებიან საბავშვო წიგნების შემორჩენილ ეგზემპლარებს. მათ კარგად იციან, რომ პატივად მკითხველის მზითა და მხიარული ფერებით აღსავსე სულიერ სამყაროს წიგნი გაამდიდრებს და გაახალისებს, მაღალი გემოვნებით დაწერილი და ასევე მაღალი ოსტატობით შერჩეული საბავშვო წიგნი. აქ უადგილო არ იქნება გავისხენოთ ბავშვ მკითხველთა გულების მესაიდუმლის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნინო ნაკაშიძის სიტყვები, ნათქვამი სრულიად საქართველოს მასწავლებელთა პირველ ყრილობაზე 1920 წელს: „საბავშვო წიგნი იხსნის ბავშვებს ქუჩისა და უვიცობის გამხრწნელი კლანჭებისაგან“ (ქურნ. „განათლება“-1920.-N2.-გვ.54).

დღეისათვის არსებული ბიბლიოთეკები ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დარჩნენ პირის-

პირ: პირველი და მთავარი – შეინარჩუნონ სტატუსი, ბაზა, და, მაშასადამე, გააგრძელონ არსებობა, საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ ისინი არა თუ სასარგებლო, აუცილებელი სოციალური ინსტიტუტებია, რომლებიც თავიანთი საგანმანათლებლო, საინფორმაციო თუ აღმზრდელობითი ფუნქციებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყნის ინტელექტუალურ თუ კულტურულ ცხოვრებაში; და მეორე – ბიბლიოთეკებმა ისე უნდა იმუშაონ, რომ უპასუხონ 21-ე საუკუნის მკითხველის სოციალურ, კულტურულ, სამეცნიერო, საგანმანათლებლო თუ პროფესიულ მოთხოვნილებებს.


კომპიუტერიზაცია ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც შემოდის ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში; ამ მხრივ თვალშისაცემია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პროგრესი უკანასკნელი ორი-სამი წლის მანძილზე. დღეისათვის აქ შიდასაბიბლიოთეკო კომპიუტერული ქსელი ოთხმოცამდე კომპიუტერს აერთიანებს. საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან არსებული კონსორციუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა და საქართველოს კულტურის სამინისტრო თბილისში მოქმედი საერთაშორისო ფონდების დახმარებით ახორციელებენ საქართველოს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო ქსელის გეგმაზომიერ კომპიუტერიზაციას. თბილისის დიდი ბიბლიოთეკების გარდა, დღეისათვის კომპიუტერები გააჩნიათ ქუთაისის საჯარო, ბათუმის რესპუბლიკურ, ფოთის, თელავის, ზუგდიდის, ახალციხის, გურჯაანის, ამბროლაურის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკებს. კომპიუტერიზაციის სიკეთესა და აუცილებლობას დიდი ხანია გრძნობს ქართველი მკითხველი. სახელმწიფოს უთუოდ უნდა გააჩნდეს ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის პერსპექტიული პროგრამა, რომელიც ერთი აუცილებელი ნაწილთაგანი იქნება ბიბლიოთეკების განვითარების სახელმწიფო პროგრამისა. ასეთი პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზე მიუთითებს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში დაგროვილი პრობლემები და მიმდინარე კრიზისის დაძლევის ამოცანები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავე ბიბლიოთეკები შეძლებისდაგვარად გვიჩვენებენ თავიანთ ცხოველმყოფელობას. მათი შენარჩუნებისა და განვითარების იმედს იძლევა საქართველოს საბიბლიოთეკო პრაქტიკაში და ქა-



რთულ ბიბლიოთეკათმცოდნეობაში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები და ფაქტები: ბეფრი რაიონის გამგეობა გულისყურით ეკიდება ბიბლიოთეკებს (ზუგდიდი, გორი, ქუთაისი, რუსთავი, ბოლნისი, საგარეჯო, თელავი, ამბროლაური, გურჯაანი, სენაკი, წყალგუბო და სხვ.). ბოლო დროს მთავრობის სპეციალური სხდომა მიეძღვნა ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს; იმედის მომცემია საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ბოლოდროინდელი აქტიური მუშაობა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკასთან არსე-

ული საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციონირება, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ პოპულარობა და წარმატებული პირველი ნაბიჯები; ეს დადებითი რეალობა იმის საფუძველია, რომ ბიბლიოთეკები შეინარჩუნებენ სოციალურ სტატუსს; თანამედროვე ეტაპზე სწორედ ბიბლიოთეკები გვევლინებიან საზოგადოების ინფორმაციული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად; საზოგადოებრივი ამრის შემობრუნება ბიბლიოთეკებისაკენ ამ დარგში ენთუზიაზმით მომუშავე ბიბლიოთეკარებს დაუბრუნებს პროფესიულ ოპტიმიზმს.



ტერმინოლოგიური კიბანნი



პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი ტერმინები ქართულში: კალამი, ჩალა, ჩალამკალამი, კალამირი, ყალამი, ფრთა, ლერწამი



(ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი)

ბადრი ცხადაძე

თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის ასპირანტურისა და მაგისტრატურის, სამეცნიერო განყოფილებათა გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

წერილი გიორგი



ნ. ჩუბინაშვილს თავის ლექსიკონში ტერმინად დასალექსიკონო ერთეულად სამხატვრო კალამი და ბეწვის კალამიც შეუტანია: ორივე ტერმინი თითქმის ერთნაირადაა განმარტებული: სამხატვრო გამოსაწერი სახეთა кист живописная [23, 151., 242].

ბეწვის კალამი ან სამხატვრო კალამი სხვა არაფერია, თუ არა ფუნჯი. ამრიგად, ფუნჯი, ბეწვის

კალამი, სამხატვრო კალამი სინონიმებია, რომლებსაც ქართულ ენაში მოეპოვება მეოთხე სინონიმური ცალი, მკვლევართა ამრით, სპარსული ლექსემა ყალამი. აქედან: მხატვრის ყალამი = მხატვრის ფუნჯი. შდრ. ყალამო „ბოხოხის-ქუდის ძრო [31, 58]. შდრ. ყალამქარი-თეთრი ან დაჩითული ბამბის ქსოვილი. შინაური წარმოებისაა [33, 111]. ეს უკანასკნელი არაბული სიტყვაა: ყალამქარი || ყალამქარი წ არაბ.-სპარს. kalamkār [34, 212]. სგ. მენთეშაშვილის განმარტებით, „ყალამქარ-ყალამქარი სპარსული ქსოვილია, დაჩითული მღაპრული სცენებით. ამ ბოლო დროს მიგკალსაც ამ სახელს ეძახიან“ [8].



იმავე კახურ-ქიმიურში ყალბამ-ის რამდენიმე მნიშვნელობაა დადასტურებული; 1) ყალბამი-ოქრომჭედლის იარაღი, ოქროსა და ვერცხლის სათლელი, 2) ყალბამი - იგივე მჭედლის იარაღი. თოხისა და ცულის გასახვრეგი და დასაყალიბებელი. აქედან - ა სუფიქსის დართვით ნაწარმოებია ახალი სიგყვა ყალბამა ქუდის ყალბამა, ყალბამა = ნაბდის ქუდის შემოკეცილი ნაწილი [8].

ამრიგად, ყალბამ-ისგან წარმომდგარი ლექსემები ყალბამა, ყალბამო... არაქართულია და გვიან, შუასაუკუნეებში დამკვიდრებულა ქართულ ენაში.

საწერ-კალამთან დაკავშირებით ღირსსაცნობ, ძვირფას ფაქტს წარმოადგენს ქართველ არქეოლოგთა აღმოჩენები. საქართველოში დადასტურებულია საწერი მოწყობილობის კომპლექტის რამდენიმე შემთხვევა: პირველი აღმოჩენა ეკუთვნის ფრ. ბაიერნს, რომელმაც ბრინჯაოს ცილინდრული სამელნე დადასტურა მცხეთაში, სამთავროს ერთ-ერთ სამარხში. მასზე შესრულებული ლათინური წარწერა იუწყებოდა, რომ იგი კალპურნიის სახელოსნოს ნაწარმი იყო. მეორე სამელნე მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ა. აფაქიძე) აღმოაჩინა მცხეთაშივე. იგი ვერცხლისაა. აღმოჩენა 1958 წელს მოხდა მცხეთის ქალაქის გრიგორიაზე ერთ-ერთ სამარხში (არაგვისა და ლენინის ქუჩების შესაყარში, უნივერსიტეტის მშენებლობის ადგილას). მესამე შემთხვევა საწერი მოწყობილობის კომპლექტისა, 1975 წელს მოხდა მცხეთაში. არქეოლოგთა აღწერით, იგი ცილინდრული მოყვანილობისაა, ოდნავ წელში გამოყვანილი თხელფირფიტოვანი ბრინჯაოს სამელნეა, რომელსაც თან ახლავს სახურავი. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს მასალისაგან დამზადებული ოთხი ცალი წკირი (სიგრძე 4-5-5,2 სმ) და ძვლის მრავალღეროვანი სტილოსი (სიგრძე - 16,5 სმ) [49,72].¹

ცხადია, აღმოჩენილი ოთხი წკირი იგივე კალამია, რომლითაც იმ დროს წერდნენ. საყურადღებოა, რომ იგი ბრინჯაოსგან დაუმზადებიათ. ღირსსაცნობია აგრეთვე ძვლისაგან დამზადებული მრგვალღეროვანი სტილოსი ანუ სპეციალური ჯოხი, რომლითაც ნაწერს (ასოს ან სიგყვას) საჭირო შემთხვევაში შლიდნენ. სტილოსის აღმოჩენა მცხეთის სამარხეულ ძეგლებში პირველი არაა. არქეოლოგებს დღეისათვის ასეთი

ნივთის ხუთზე მეტი შემთხვევა აქვთ დაფიქსირებული. მათივე ფიქრით, ზოგიერთი მინის ცილინდრული ჭურჭელი, ჩვეულებრივ, ანგიკური ხანის სამარხებიდან მომდინარე სამელნედ უნდა გამოეყენებინათ. საწერ მოწყობილობათა აღმოჩენის შემთხვევების მომრავლებს ამკარად მიუთითებს წიგნიერების გავრცელებას ძველ მცხეთაში. ამ გარემოებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ანგიკური იბერიის კულტურული პროფილის წარმოჩენისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რა ენაზე წერდნენ და კითხულობდნენ საზოგადოების რჩეულნი. ამრიგად, სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და მაღალი სოციალური მდგომარეობის ადამიანთა ურთიერთობაში, როგორც ირკვევა, წერა-კითხვას დიდი საზოგადოებრივი როლი სჭერია, ან სხვა სიგყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის კულტურის ეს ძვირფასი შენაძენი მარგოდენ გამველ-გამომველთა კომუნიკაციის საშუალება არ ყოფილა.

მეორე არქეოლოგიური აღმოჩენა ჩვ. წ. აღ. I - III საუკუნეებით თარიღდება. არქეოლოგთა დასკვნით, 1975 წელს აღმოჩენილი საწერი ხელსაწყოები პირველ რიგში გამოიყენებოდა სამეფოს ოფიციალური დოკუმენტების შესადგენად. საწერი მოწყობილობის აღმოჩენის არაერთი შემთხვევა სამარხებში და არა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ნაგებობათა კულტურულ ფენებში, ქალაქური კულტურის, კერძოდ, მწიგნობრობის დაწინაურების შთაბეჭდლობაზე მეტყველებს, რაც თავისებურ მინიშნებას იძლევა იმის თაობაზე, რომ გვიან-ანგიკური ხანის ქართული ქალაქური კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა დამწერლობა, უფრო სწორად - მწიგნობრობა, რომლის შემოღება ქართლოსის ნათესავთაგან პირველ მეფეს ფარნავაზს მიეწერება, რაც უცუარი უნდა იყოს.


ისმის კითხვა: რა ენაზე წერდნენ მაშინ? არქეოლოგთა ვარაუდით ამ აღმოჩენის მიხედვით არაფრის თქმა შეიძლება იმის შესახებ, თუ რომელ ენაზე იწერებოდა აღმოჩენილი სამელნე მოწყობილობით, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მცხეთის მოქალაქეთა წრეში, განურჩევლად მათი ეთნიკური წარმომავლობისა, საწერ მოწყობილობაზე არსებული მოთხოვნილება უფრო მეტიც, იგი გავრცელებულიც კია, რაც დავას არ უნდა იწვევდეს. მათივე თქმით, ეს ნივთიერი საბუთი სამთავროსა და არმაზისხევის შესართავთან ადრე აღმოჩენილ ბერძნულ, ებრაულ და არ

¹ ცნობის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ ცნობილ არქეოლოგებს ვაჟა საღრაძესა და მერაბ ძნელაძეს.

მაბულ-არამეული დამწერლობის ძეგლებთან ერთად კიდევ ერთხელ გვახსენებს გვიანანტიკური ხანის ქართლის სამეფურო ქალაქის მცხოვრებთა სიჭრელეს, რასაც ცხადყოფს მეფე ფარნავაზის დროინდელი ისტორიული ცნობა: „იმრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და ღებათა“.

გემორე ცნობას ადასტურებს არქეოლოგიური აღმოჩენებიც. მიუხედავად იმისა, რომ მოგი საწერი იარაღი წარმოშობით არაქართულია (ბერძნულ-რომაული), ძველ საქართველოში ფარნავაზის დროსა და მის შემდგომ დამწერლობა-მწიგნობრობა საკმაოდ ყოფილა განვითარებული. არაა გამორიცხული, მცხეთის სამარხებში, (სადაც საწერი მოწყობილობათა კომპლექტი აღმოჩნდა), დაკრძალულნი მწიგნობარ-მწერლები ყოფილიყვნენ, რომელთაც, ანდერძისამებრ, ჭირისუფალთ ჩააგანეს საწერი პროფესიული ინვენტარი.

აქვე წარმოვადგენთ არქეოლოგთა მიერ 1975 წელს მცხეთაში მოპოვებულ საწერ კომპლექტს: წკირ-კალმებს, სამელნესა და სტილოსს (ნაწერის წასაშლელ ჯოხს).



კალმად ძველ საქართველოში ბაგის ფრთაც გამოიყენებოდა. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, კალამი საწერი ლერწამია, გინა ფრთა, писчие перо из тростника или гусинного пера, тростник [23]. რუსულ перო-ს და ჩუბინაშვილი ასე განმარტავს: ფთა, ფრთა, ფრთის კალამი, ბურგყლი, გერმა, ბულმბული, ნაკრგენი [36,478]. ნ. ჩუბინაშვილის „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“ перо განმარტებულია როგორც ფრთა, ფრთენი (მფრინველთა ანუ თევზთანი) // კალამი ფრთისა; კალამი, ე.ი. ნიჭი მთხმელობისა// ნავბედ სასმელის ნიჩბის თავბედ მიკრუ-

ლი ფიცარი || ჯილა [37,172]. თვით რუსულ ლექსიკონგრაფიულ ნაშრომებში перо ბაგის ფრთად კალმადაა განმარტებული [38,601]. როგორც სპეციალურ ლიგერატურაშია ცნობილი, перо, რომელიც უკრაინულ, ძველრუსულ, საერთო სლავურ, ბულგარულ, სერბულ-ხორვატულ, ჩეხურ, პოლონურ, სლოვენურ, სლოვაკურ ენებშია წარმოდგენილი, მომდინარეობს ძველი ინდოევროპული parta m криво, перо, сень ავესტ. parta „перо,,-დან. მას უკავშირებენ переть, парить-ს (ა. მეიე, კრენმერი), უფრო დამაჯერებელიაო, წერს ფასმერი, მისი შედარება ბერძნულ πηξο'á „перо криво,, πτ' τομαί „перо криво,, πτ' τομαί „лечу,, ძვ. ინდური pátram, patram „криво, перо,, [39,243].

ეს ვრცელი ამონარიდი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სლავური ჯგუფის და ბერძნული ენების перо-ს ანალოგიური ფუძე ქართულ - ქართველურშიც მოეპოვება. ქართ. ფრთა- ფრთე, ფრენა, ფარ-ფაგი, ფრიგინი, ფრიგინა, ფრიალი, ფრრ. . . პეპელა, სვან. ლიპერ. . . პროფ. გიორგი როგავას მოსაზრებით, ქართული ფრთა|ფრთე||ფრენა ბერძნული „პტეირონ“ -იდან მომდინარეობს [40,119] ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ ფუძის საკუთრივ ქართველურ წარმომავლობას. ჩვენი ამრით, ქართ. მფრინველი “ფრუტუნე, ფრიალი ხმაბაძვითი სიგყები უნდა იყოს წარმომავლობით, როგორც ინდოევროპულ, ისე ქართველურ ენებში. შდრ. ქართ. გუგუ, გუგული (აქედან ადამიანის საკუთარი სახელი გუგულა, გუგულიკა, გუგუშა) გერმანული „Кискиск“, „გუგული“, რუსული кукушка და მისთ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე არსებული შესაბამისი სამეცყველო ბაზისით-ფონაციით და ფონემებითაა წარმოდგენილი.²

ამრიგად, პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობით გერმინად ფრთა ქართველურში დამოუკიდებლად გვქონია. უნდა აღინიშნოს, რომ ფრთამ, როგორც საწერმა იარაღმა, საქართველოში ევროპიდან შემოაღწია. იგი შედარებით ახალი მოვლენაა, ძველ საქართველოში ლერწმით (resp. ჩალებით) წერდნენ. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ «ვეფხისტყაოსნის «ავტორის, შოთა რუსთველის პორტრეტს მხატვრები დღემდე ბაგის ფრთით გამოსახავდნენ, რაც მე-17 საუკუნის დროინდელი «შეხედულება-

¹ ფრ წ ფარ ძირის მსგავსებას სხვა ენებთან ხმაბაძვით ხსნის ი. ქავთარაძე [48,127], თუმცა მის ბერძნულიდან წარმომავლობას ჩვენ გამოვრიცხავდით ერთ-ერთ აღრეულ ხელნაწერ ნაშრომში [49,90].

წარმოდგენის» შედეგია. მხატვრებმა აღორძინების ხანის თვალთახედვით შექმნეს გენიალური პოეტის პორტრეტი.

ლერწამიც წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული გერმინია. იგი ძველ ქართველ მწიგნობართ წიგნთმცოდნეობით-პალეოგრაფიულ გერმინად უხმარიათ, რადგან ლერწამი, მისი წაწვეტებული ბოლო კალმად გამოუყენებიათ, ეს გრაფიკა, ცხადია, ძველთაძველია.

თვით ლერწამი ფონეტიკურად სახეცვლილი ლელწამია, რაც საბას განმარტებით „ყანის ნაწველარი, გინა ჩალა-ა“, „მცენარის ღრუიანი ღეროა“ [18,826]. აღნაგობით რთული სიგყვა ლერწამი || ლელწამი გვხვდება ძველ ქართულში. მეგრულსა და ლაზურში ამ ფორმათა უდავო ეკვივალენტები გამოვლენილი არაა, წერენ ა. ფენრიხი და მ. სარჯველაძე [28,458-459], გ. კლიმოვი საერთო-ქართველურის ერთიანობის ხანისათვის აღადგენს *წ-ემ არქეტიპს [29]. კომპოზიტი ლერწამი ორი სიგყვისაგან შედგება. ლელ-ი, წამ-ი, წამ იგივეა, რაც სვან. გოლფარდი ჭემ, (თივას ნიშნავს). ჩვენის ამრით, მეგრულში მისი შესაგყვისი უნდა იყოს ჭა, რომელიც ჩალის მნიშვნელობით ახლაც იხმარება. ამრიგად, ქართული წამ, სვანური ჭემ, მეგრული ჭა, აღსანიშნავია, რომ მეგრულშივე ახლაც ცოცხალია ჭიმ ძირი, რომელიც სვანური ჭემ-ის რედუცირებულ ფორმად შეიძლება დავსახოთ: მეგრული ჭიმ-ი ღერი, წვრილი, ძაფისოდენა თმა, „ფანჩრის ღერი“. ძველი ქართულის ჭიმავეს ჭიმ ბერძნულიდან მომდინარე κχιος („აღვირი“)-ს არაფერი აქვს საერთო ჩვენულ ჭემ//ჭიმ ძირთან. შდრ. [47,170-171].

ლერწამ-ის ლელ კი იგივეა, რაც ლელიანის ლელ, ჭაობის ბალახი, ლელქაშიან ადგილში, ნაჭაობარში ამოსული მაღალი, ჩალისღერიანი, ჭაობის მცენარე. ლელწამ//ლერწამ-ის მუსტი შესაგყვისი დღემდე დაცულია მეგრულში ლარჭემის სახით. ლარჭემი//ლარჭამი, ლერწამი//ლელწამი. ღირსსაცნობია ისიც, რომ სამეგრელოში ლარჭემ საკრავს ეწოდება, ქართული სალამურის მსგავსად.

ლერწამ-ის შემოკლებული ფორმა უნდა იყოს ძირითადად დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სიგყვა ვამის ნაყარი რქა ლერწი.

ლერწი რაჭა-ლეჩხუმში ვამის მნიშვნელობითაც გვხვდება. თუმცა უფრორე ლერწი ვამს კი არ ნიშნავს, არამედ იგი ვამის ნაწილია

განს ზემოთ წვრილად ამონაყარი [27,10]. ამრიგად, ლერწი ვამის, ვენახის „ლერწამია“. ლერწის სინონიმად რქა'ს გამოყენება დასავლეთ საქართველოში იშვიათადაა.

ლერწამი, ისე როგორც კალამი, ძველ საქართველოში სამედიცინო დანიშნულებითაც უხმარიათ, თუმცა ამის შესახებ მკვლევარები არას წერენ. მაგ. ს. სალუქვაძე ქირურგიულ ნემსებს ქალამნის საკერავ მახათებს უწოდებს ბრინჯაოს სამედიცინო ხელსაწყოთა ერთ ნაწილს [ძვ.წ. II ათასწლეული] [41,29]. შეიძლება არქეოლოგებმა ლერწამი ქირურგის ინსტრუმენტის ფუნქციით ვერ აღმოაჩინეს, მაგრამ ძველი სამედიცინო წიგნები ლერწმის სამედიცინო შინაარსის გამოყენებაზე საყურადღებო ცნობებს იძლევა.

ძველად ვამის წალამს, ვენახის ნახსლევს წარმატებით იყენებდნენ ცხვირიდან სისხლდენის, მუცლის ჭვალების დროს, აგრეთვე, როგორც სიცხის დამწვევ და ოფლმდენ საშუალებას. მათგან მიღებული წვენი ამზადებდნენ მეჭვიჭვის მალამოს [42,129-130], [43].

ამრიგად, ვამის წილამი//ვამის წალამი ანუ ლერწამი სამკურნალოდაც გამოიყენებოდა.

ზოგჯერ ლერწმის ნაცვლად, ძველად, ხალხურ მედიცინაში შეშა-საც ხმარობდნენ. მაგ: „თუ პირს არ აღებდეს, შეშა ჩაუგდონ, აგრე პირშიგან ჩაასხან, და კელს ნუ მიახლებ, შორიდაღმე შემით ჩაასხით [44,235].

თვალში სითხის ჩასაწვეთებლად მილიც ყოფილა გამოყენებული: „...ისი წყალი დაიჭირე და მილითა თუალშიგა ამოავლებდი“ [44,307]. ეს მილი კი, როგორც ჩანს, ყანის კურწისგან ანუ ჩალის ღერისგან კეთდებოდა: შდრ. თუ ამან არა უშუელოს და კიდევ გამოუვიდეს, მერმე ასრე დადაღონ, რომე ისი თმა ჩქიფითა გამოგლიჯონ და მერმე ნემსი გააკურვონ და ყანისა კურწისა მილი შექნან და იმა მოგლეჯილბედა დასდვან, და მერმე გაკურვებული ნემსი შიგან ჩაყონ ასრე, რომე სხუასა ადგილსა არა მიხუდეს... [44,306].

ამრიგად, ძველ საქართველოში, ექიმის, ქირურგის სამედიცინო იარაღი მილი, თვალში (და მისთ.) ჩასაწვეთებლად განკუთვნილი, ჩალის ანუ ყანის კურწის, იმავე ჩალის ღეროსგან მზადდებოდა.

ზემო თქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

1. კალამი ძველისძველი ქართული სიგყვაა, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე შესულა ბერძნულ, ლათინურ

ენებში. მისი დამზადება ძველ საქართველოში რკინისაგან და ლერწმისაგან შეიძლებოდა. კალამი, როგორც რკინისაგან დამზადებული ქვის სათლელი და ქვაზე ასოების ამომკვეთი იარაღი, დღემდე შემოუნახავს ქართული ენის აღმოსავლურ კილოებს (ქართლური, ქიზიყური). კალამის თავდაპირველი მნიშვნელობა კლდეზე, ქვაზე, თიხაზე და მისთ. წერა-ჭრა, ჭრამკვეთელობა უნდა ყოფილიყო. შემდგომ ეპოქაში კალამი მცენარისგანაც მზადდებოდა, როცა საწერ მასალად გამოყენებულ იქნა ჭილ-ეგრახი || პაპირუსი, მოგვიანებით ქალაღი. ამრიგად, კალამი და საწერი ჩალა, დასაწერი ლერწამია (საბა).

2. კალამ ლექსემა ძირეულად უკავშირდება: ა) კალოს, მკას, მკალ || კალიას, აგრეთვე ჩალას. სწორედ ამ ორი სიტყვის შერწყმა-შეერთებით წარმომდგარა ქართული ენის იმერულ დიალექტში (ასევე ერთ-ერთ ქართველურ ენაში - მეგრულში) ჩალამკალამი || ჩელამკალამი; ბ) კალამ'ის (როგორც მცენარის) დიალექტური ვარიანტიული ფორმა-ლექსემებია აგრეთვე წალამი, წალარი, წილამი ვამის განასხლევი, ვენახის ლერწი, ვამის რქა ვამის გასხვლის შემდგომ; გ) კალმის-უშუალო მონაწილეობით ქართულ ენაში შექმნილია ცული მწერლის შინაარსის გამომხატველი რთული აღნაგობის სიტყვა კალამგირი (წკალამგირი).

3. ყალამი, ყალამა, ყალამო ქართული ენის აღმოსავლური კილოების (კახური, ქიზიყური, ქართლური) კუთვნილებაა, რომლებიც სპარსთა ბატონობის ხანაში დამკვიდრებულა აღმოსავლეთ საქართველოში (ე.წ. აღორძინების ხანა). ყალამ (ყალამა, ყალამო)'ს არაფერი საერთო აქვს საერთო ქართულ კალამთან. ყალამ (და მისგან ნაწარმოები სიტყვები (ყალამა, ყალამო, ყალამ-ქარი) წარმოშობით არაბულ-სპარსულია.

4. ფრთა||ფთა||ფრთე-ც პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინია. იგი კალმის სინონიმად ქართულში გვიან (აღორძინების ხანა) ჩნდება. იგი ევროპიდან და ევროპული ენების მეშვეობით დამკვიდრდა. ძველად საქართველოში ლერლედის (ბაგის) ფრთით არ წერდნენ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა დროს მხატვართა მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი აღორძინების ხანის წარმოდგენითაა შექმნილი (ვგულისხმობთ პოეტის თავსარქმელზე გამოსახულ ფრინველის ფრთას).

5. პალეოგრაფიულ-წიგნთმცოდნეობითი გერმინია ლერწამიც, რომლის არქაული სახეა ლელ-

წამი. ლერწამიც ერთგვარი ჩალაა, რომელზეც ძველად საწერ კალმად უხმარიათ.

6. ლირსსაცნობია, რომ ჩალა, ლერწამი, წალამი ძველ ქართულ მედიცინაში აქიმ-ქირურგის ინსტრუმენტის ნომენად ქცეულა.

7. ქართულ მუსიკალურ გერმინოლოგიაშიც ჩალასა და ლერწამს თვალსაჩინო ადგილი უკავია. სწორედ მათგანაა ნაწარმოები მუსიკალური საკრავიერი ინსტრუმენტის სახელწოდებები სალამური (წმალამური || ჩალამური) და ანალოგიური საკრავი ლარჭემი. ეს უკანასკნელი ქართული ლერწამის ბუსტი შესაგყვისია.

ყოველივე მემოთ წარმოდგენილი გაანალიზებული ლექსემები იმაზე მეტყველებს, რომ ჩვ.წ. აღ-მდე ქართულ-ქართველურ ტომებს პალეოგრაფია-წიგნთმცოდნეობა, სამედიცინო და მუსიკალური კულტურა თვალსაჩინოდ განვითარებული ჰქონიათ.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. ჭუმბურიძე მ. ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ. აკად. ელ. მეტრეველის რედაქციით; პირველი - მეორე გამოცემა. თბ., 1983.
2. ჯავახიშვილი ი. ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია: მეორე გამოცემა. თბ., 1949.
3. ქართული ენის განმარგებითი ლექსიკონი: რვატომეული. პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით; ტ. I-VIII. თბ., 1955-1964.
4. ყიფშიძე ი. Мингрельско-русский словарь, დაბეჭდ. ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კ. დახელიამ. თბ., 1994.
5. W[örter]buch Benseker, Griechisch-Deutsch. Bearbeitet von Adolf Kaegi. Leipzig, 1985.
6. Дворецкий И.Х. Латинско-русский словарь: Издание 3-е, исправленное. М., 1986.
7. ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალეები). შეადგინეს თ. ბერომაშვილმა, მ. მესხიშვილმა, ლ. ნოზაძემ. თბ., 1981.
8. მენტეშაშვილი სგ. ქიზიყური ლექსიკონი. ვ. თოფურიას რედაქციით. თბ., 1943.
9. ცხადაძე ბ. წერ (ჭერ, ჭარ...) ფუძეთაგან ნაწარმოები პალეოგრაფიულ წიგნთმცოდნეობითი გერმინები ქართულში// საქართველოს ბიბლიოთეკა, N1, 2001.
10. სახოკია თ. ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი. თბ., 1979.

11. გაჩეჩილაძე პ. იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა. ა. კიბირიასა და მ. ქალღანის რედაქციით. თბ., 1976.
12. მაყაშვილი ა. ბოგანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი; მესამე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო გ. ნახუცრიშვილმა. თბ., 1991.
13. ძოწენიძე ქ. ზემოიმერული ლექსიკონი, არნ. ჩიქობავასა და მ. ალავედის რედაქციით. თბ., 1974.
14. აბულაძე ი. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები). თბ., 1973.
15. ჭარაია პ. მეგრულ-ქართული ენის ლექსიკონი, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა დ. თვალთვაძემ, მ. სარჯველაძის რედაქციით. თბ., 1997.
16. ელიავა გ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები). პროფ. კ. დანელიას რედაქციით. თბ., 1997.
17. ქლენგი ს. გურული კილო. გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი. გ. ახვლედიანის რედაქციით. თბ., 1936.
18. ორბელიანი ს.ს. ქართული ლექსიკონი: თხზულებანი; ტ. IV. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ. თბ., 1965.
19. ქავთარაძე ი. მასალები იმერული ლექსიკონისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები; III. ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით. თბ., 1963.
20. კოტეგიშვილი ლ. «წიგნი სააქიმო»: მედიცინა ძველ საქართველოში; XIII ს. თბ., 1936.
21. გიორგი მერჩულე, შრომა და მოლუაწებად ღირსად ცხოვრებისა და წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი, არქიმანდრიტისა, ხანციისა და შაგბერდისა აღმაშენებელისა, და მის თანა ქსენებად მრავალთა მამათა ნეტართა. ძველი ქართული ლიტერატურის ავტოგრაფიული ძეგლები; წიგნი I. თბ., 1963.
22. ჩუბინაშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი: მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ. თბ., 1984.
23. ჩუბინაშვილი ნ. ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ აღ. ლლონგის რედაქციითა და გამოკვლევით. თბ., 1961.
24. საქართველოს საეკლესიო ისტორია, შედგენილი მოსე ჯანაშვილის მიერ. თბ., 1986.
25. ჩიქობავა არნ. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. პროფ. ს.ჯანაშიას რედაქციით. თბ., 1938.
26. ქავთარაძე ი. ქართული ენის მოხეური დიალექტი: გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი: ი.გიგინეიშვილისა და არ. მარტიროსოვის რედაქციით. თბ., 1984.
27. ასათიანი ლ. ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში: მასალები. თბ., 1977.
28. ფენრიხი ჰ., სარჯველაძე მ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. პროფ. კ. დანელიას რედაქციით. თბ., 1990.
29. Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.
30. შარაშიძე გ. გურული ლექსიკონი. პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით. თბ., 1938.
31. ჭყონია ი. სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები. С-ობ., 1910.
32. ცხადაძე ბ. აორისგისა და მოგი ნაზმნარი სახელის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში. სმამ, 124, 1, 1986.
33. გვათუა ნ. ჩაცმულობის ისტორიიდან: (ქალის ჩაცმულობა მე-19ს. და მე-20ს. დასაწყისი) თბ., 1967.
34. ქავთარაძე ი. ქართული ენის ისტორიისათვის: (მე-12_მე-18სს.) .თბ., 1964.
35. ფლავიოსი ი. მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი: 2. ქართული თარგმანის გეტსგი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნინო მელიქიშვილმა, პროფ. მშ. შანიძის რედაქციით. თბ., 1988.
36. Русско-Грузинский словарь вновь составленный по новейшим русским словарям Д. Чубиновым. С – Пб., 1886.
37. ჩუბინაშვილი ნ. რუსულ-ქართული ლექსიკონი: II. აღ. ლლონგის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბ., 1973.
38. Польный русско-французский словарь. Издание десятое составленный Н.П. Макровым. С – Пб., 1904.
39. Фасмер М. Этимологический словарь русского языка: В четырех томах. Перевод с немецкого и дополнения О.Н.Трубачова; Издание второе, стереотипное, том III. М., 1987.
40. როგავა გ. ბერძნული და რომანული ლექსიკა ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენების წელიწდეული, V. თბ., 1978.

41. სალუქვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბ., 1987.
42. სურმანიძე რ. მცირე კარაბადინი: II ნაწილი. ბათუმი, 1991.
43. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი: II. ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიამ. თბ., 1988.
44. ქართული სამედიცინო საუნჯე: უსწორო კარაბადინი I. ლადო კოტეგიშვილისეული გამოცემა; ტექსტი გამოსაცემად მოამზადა დარეჯან კუხიანიძემ. თბ., 1997.
45. Полный русско-армянский словарь составленный доктором философии А.С. Дадбашяном. Тб., 1906.
46. Миллер В.Ф. Осетинско-русско-немецкий словарь: II. Под редакцией и с дополнениями А.А. Фреймана. Л., 1929.
47. როგავა გ. ბერძნობები ქართველურ ენებში, სმამ, ტ. 118, ¹, 1985.
48. ქავთარაძე ი. ზმნის ძირითადი კატეგორიე-

ბის ისტორიისათვის ქართულში. თბ., 1954.

49. მცხეთა (არქეოლოგიური კვლევა—ძიების შედეგები). ტ. 2. დიდი მცხეთის ადრერკინის, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ანდრია აფაქიძის რედაქციით, თბ., 1978.

¹ თუ შემოთ წარმოდგენილ ყალბს, კალამ, ჩალა და მისთ. მსგავს ლექსებებთან გავათანაბრებთ და ერთი წარმომავლობისად მივიჩნევთ, საინტერესო სურათს მივიღებთ: კალამი, ყალამი, ჩალა/ჩალამი, სალამური (ჩალამური). ყ/ჩ მონაცვლეობა ქართულში სხვა შემთხვევების გვსგავს: მაგ: ყაბალახი/ჩაბალახი. ეს უკანასკნელი ძველ ქართულში ჩაფხუგს, მეომრის თავსაბურავს ნიშნავს: „ჯაჭუ ემოსა... და ჩაბალახი და საწვივენი საბარკულნი სპილენძისანი” 6,91 [35]. სპარსული წარმომავლობის ამ სიტყვაშიც ყ/ჩ მონაცვლეობა გვქონია: ყაბალახი/ჩაბალახი, კალამი („ყალამი”) ჩალამი (ჩალა). ეს საკითხი სპეციალურ კვლევას მოითხოვს.

² ფრ წ ფარ ძირის მსგავსებას სხვა ენებთან ხმაბაძვით სსნის ი. ქავთარაძეც [48,127], თუმცა მის ბერძნულიდან წარმომავლობას ჩვენ გამოვირცხავდით ერთ-ერთ ადრეულ ხელნაწერ ნაშრომში [49,90].

ისტორიის ფურცლებიდან

ნიკო ცხვედაძე – სასკოლო ბიბლიოთეკის დიდი მოამბე

საზოგადოებისათვის კარგადაა ცნობილი ნიკო ცხვედაძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე. იგი დაულაღვად მოღვაწეობდა ქართული კულტურის წინსვლა – განვითარებისათვის. იგი ხომ უნივერსიტეტის კორპუსის მშენებლობის კომისიის თავმჯდომარე იყო. გარდა ამისა, მრავალი საქველმოქმედო საზოგადოების სულის ჩამდგმელი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობის წევრი. წლების განმავლობაში აქტიურად იღვწოდა ამ საზოგადოების ჩამოყალიბებისა და მისი საქმიანობის შემდგომი განვითარებისათვის.

საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი მისი შეხედულებები საბიბლიოთეკო საქმის, განსაკუთრებით სასკოლო ბიბლიოთეკების შესახებ. დიდი აღამიანი და საზოგადო მოღვაწე განსაკუ-

თრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობას კითხვის კულტურისა და წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვისათვის.

საზოგადოების არქივში სათანადო მასალეზე მუშაობის დროს მნიშვნელოვან მასალეებს მივაკვლიეთ ამ პიროვნების შესახებ, გავეცანით მის შეხედულებებს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის თაობაზე.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების” გამგეობამ თავისი მოღვაწეობა

თენგიზ ჩხიტიანი

ეკონომიკურ ურთიერთობათა თბილისის სახ. ინსტიტუტის ბიბლიოთეკის დირექტორი, პედაგოგის მეცნ. კანდიდატი

სკოლების გახსნით დაიწყო. სამოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სკოლებში ბიბლიოთეკების მოწყობას და მათ ლიგერაგურით შევსებას. სამოგადოების გამგეობის 1882 წლის 22 ივნისის სხდომაზე ნ. ცხვედაძეს გამოაქვს საკითხი „წესი სახალხო სკოლების ბიბლიოთეკებზე“. მოგვყავს მთლიანად წესდების ტექსტი, რომელიც მან გამგეობას წარუდგინა:

„1. სახალხო სკოლებთან ბიბლიოთეკების დაფუძნებას აქვს მიზანი მისცეს ღონისძიება, როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეებს და სოფლის წერა-კითხვის ყველა მცოდნეს ისარგებლონ ამ ბიბლიოთეკებით და საჭირო მათთვის გამოსადეგი წიგნები ადვილად იშოვნონ სოფლად და ამ სახით ავარჯიშონ თავიანთი ჭკუა-გონება და ახალ-ახალი ცოდნა შეიძინონ.

2. თანახმად სახალხო სკოლების ბიბლიოთეკების მიზნისა აქ მოიპოვებიან ისეთი წიგნები, რომლებიც გამოსადეგი არიან მეურნეობის გამყოლებსათვის. ამასთანავე ბიბლიოთეკაში იქმნება ყველა საჭირო და შესანიშნავი წიგნი: ლიგერაგურული, ისტორიული, გეოგრაფიული და სხვა-ნი.


3. ბიბლიოთეკები შეადგენენ სოფლის სკოლების კუთვნილებას: ამისათვის ცხადია მასწავლებლებსა და სოფლისგან არჩეულ მმრუნველს უნდა ეჭიროთ ყურადღება და ისინი არიან პასუხისმგებელნი ბიბლიოთეკების შესახებ, ბიბლიოთეკების მართვა კი ეკუთვნით მასწავლებლებს. ესენი ვალდებული არიან: ა) წიგნები იქონიონ რიგზე; ბ) ჩაწერონ ნომრებით წიგნები სკოლის კატალოგში; გ) მსურველს ბარათით მისცენ წიგნები და ეცადონ რამდენადაც შესაძლებელია საბედნიერო დღეებში სკოლის რომელიმე ოთახი საკითხავ ოთახად მომართონ და მოიწვიონ ყველა მსურველები წიგნებისა და გაზეთების წასაკითხად.

4. როდესაც მასწავლებელი გადადის სხვა ადგილზე. ის ვალდებულია სრულად ჩააბაროს ბიბლიოთეკა თავის მოადგილეს მმრუნველის თანდასწრებით და შემოწმებით. თუ ვინცობა ბიბლიოთეკაში წიგნები აკლია, ეს წიგნები უნდა აღინიშნოს კატალოგში და ახალმა მასწავლებელმა მმრუნველს ხელმოწერილი ბარათით აცნობოს

წერა-კითხვის მმართველობას განკარგულების განსახილველად.

ითიუელი სკოლის ბიბლიოთეკას ექნება ორნაირი მონარით შეკრული და წერა-კითხვის მმართველობისაგან შემოწმებული წიგნი, ერთი კატალოგისათვის, მეორე ჩასაწერად, რომლებიც ბიბლიოთეკებიდან გამოიგანენ წასაკითხად წიგნებს. აგრეთვე იმ პირებს ანუ მოწაფეებს, რომლებსაც უფასოდ დაურიგებდა წერა-კითხვის მმართველობისაგან გაგზავნილი სასწავლო წიგნები და ნივთები. კატალოგს უნდა ჰქონდეს სამი განყოფილება: ა) სალიგერაგურო; ბ) სამეურნეო და გ) სხვა სამეცნიერო განყოფილება. ამასთანავე საკუთარი განყოფილება უნდა ჰქონდეს უფასო დასარიგებელ სასწავლო ნივთებს. თვითიუელი წიგნი უნდა ჩაიწეროს კატალოგში ვრცელი სათაურით. აგრეთვე ნაჩვენები უნდა იყოს თუ ვისგან ან რომელი სამოგადოებისაგან არის წიგნი შემოწირული.

5. თქმა არ უნდა, რომ სოფლის ბიბლიოთეკების ბედი დამოკიდებულია მასწავლებელზე და სკოლის მმრუნველზე, რომ თუ ესენი ბეჯითად და კეთილსინდისიერად მოჰკიდებენ ხელს ბიბლიოთეკების საქმეს მაშინ სახალხო სკოლების ბიბლიოთეკები ძლიერ დაეხმარებიან ხალხის გონებით განათლებას და წარმატებას. მხოლოდ და მხოლოდ საჭიროა, რომ ბიბლიო-



ნ. ცხვედაძე

თეკებისათვის ყოველმა სკოლამ იქონიოს შესაფერი შკაფი, ანუ ყუთი, რომლის მოპოვება რომელიმე სახით მასწავლებლისა და მმრუნველის საქმეა.”

წესდება თან ერთვოდა იმ წიგნების სია, რომლებიც ნიკო ცხვედაძის ამრით, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა ახლად დაარსებული ბიბლიოთეკის შევსებისათვის. სიაში 55 დასახელების წიგნია ჩამოთვლილი, რომლებიც მეცნიერებათა მრავალ დარგს მოიცავს. ქართველი მწერლების: შ.რუსთაველის, დ. გურამიშვილის, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ყაზბეგის ნაწარმოებებთან ერთად, რუსი და უცხოელი კლასიკოსების ნაწარმოებებიცაა ჩამოთვლილი.

გამგეობის 28 იანვრის სხდომაზე ეს წესები ნაწილობრივი ცვლილებების შემდეგ მოიწონა და დასამტკიცებლად საერთო კრებას წარუდგო-

ნა. წესდების მიხედვით, სამოგადოება სკოლებთან ორგვარ ბიბლიოთეკას აარსებდა: სტაციონარულს და მოძრავს. ბიბლიოთეკების პაგრონობა და პასუხისმგებლობა მასწავლებელს ევალებოდა. სამოგადოების გამგეობა ვალდებული იყო სკოლა მოემარაგებინა სახელმძღვანელოებითა და სასკოლო-საკანცელარიო ნივთებით. სამოგადოების მიერ გაგზავნილი წიგნები სკოლის კუთვნილება იყო 10 წლის განმავლობაში. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სკოლის მზრუნველს შეეძლო მოეთხოვა განმეორებითი ეგზემპლარები. ინსტრუქციის თანახმად, ბიბლიოთეკის მზრუნველი ვალდებული იყო ყოვე-

ლი წლის 1 აპრილისათვის სამოგადოების მთავარ გამგეობაში წარედგინა ანგარიში ბიბლიოთეკის მუშაობის შესახებ.

იმავე წლის 6 ივნისის სხდომაზე სამოგადოების გამგეობამ ეს წესები მთლიანად მოიწონა და სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოაცხადა სამოგადოების სკოლების შემდგომი მუშაობის წარმართვისათვის.

ამგვარად, ნათლად ჩანს დიდი პედაგოგისა და სამოგადო მოღვაწის ნ. ცხევედაძის ბრუნვა ბიბლიოთეკებზე, ისიც, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ის სასკოლო ბიბლიოთეკებს მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

გვესაუბრებიან პროფესორნალები

წიგნი სკოლამდელი და უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის

გულნარა ზირცხალავა

ლადო ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე



„კითხვა საუკეთესო სწავლაა“ - ნათქვამი აქვს პუშკინს. ანბანის შესწავლის შემდეგ წიგნი თანდათანობით ამდიდრებს ბავშვის გონებას, ხსნის მის წინაშე ახალ სამყაროს, ეხმარება ცოდნის დაუფლებაში.

დიდია წიგნის როლი ბავშვთა აღზრდის საქმეში, მაგრამ დღესაც ბოლომდე დაუდგენელია ბავშვთა კითხვის მიზანსწრაფულად მართვის პრინციპები. ერთსა და იმავე ასაკში ბავშვთა ბუნებრივი მონაცემების განსხვავებულობა მათ მიმართ პერსონალურ მიდგომას მოითხოვს აღმზრდელებისაგან. ის, რაც ერთისთვის საუკეთესო არჩევანია ამა თუ იმ ასაკში, მეორისათვის უინტერესო, მიუწვდომელი, ან შეიძლება ზედმეტად იოლიც აღმოჩნდეს.

უმცროსი ასაკის მკითხველები, სავარაუდოდ, ორად შეიძლება დავყოთ. სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკისა. სწორედ ასაკობრი-

ვი პრინციპების გათვალისწინებით ხდება მათთვის საინტერესო ლიგერაგურის შერჩევა.

დღეს უამრავი ახალი მხატვრული ნაწარმოები გამოიცემა, როგორც უმცროსი, ისე საშუალო და უფროსი ასაკის ბავშვთათვის. ამ ლიგერაგურას მკაცრად განსაზღვრა და თავთავისი ადგილის მიჩენა სჭირდება, რომ წიგნის მიწოდების პროცესს სისტემატურობა და გონივრულობა ახლდეს, რათა არ გადავგვიროთ ბავშვის გონება მისთვის შეუფერებელი ნაწარმოების კითხვით. ერთი შეხედვით, ეს თითქოს არ არის ძნელი, მაგრამ სინამდვილეში ძალიან ცოცხალი ისეთი ბავშვი, რომლის კითხვით პრაქტიკაში ეს სრულყოფილად იყოს მოწესრიგებული. ხშირად ბავშვი ცდილობს გაუსწოროს თავის ასაკს და ისეთ ნაწარმოებებს ეტანება, რომლიდანაც მას მხოლოდ საინტერესო ამბის შეცნობა შეუძლია, ნაწარმოების სულსა და გულს კი ვერ გრძნობს. არის შემთხვევები, როდესაც კ. გამსახურდიას „დიდოსტაგის მარჯვენას“, ბოკაჩიოს „დეკამერონს“, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებსა“ და ისეთი მას-



შტაბის ქმნილებებს ბავშვები მე-4-5 კლასებში ეტანებიან. ზოგს მიაჩნია, რომ არაფერია საგანგაშო, მაგრამ ეს არ არის სწორი. აღნიშნული ნაწარმოებების კითხვა ამ ასაკში ჩვენ მხოლოდ იმიტომ კი არ მიგვაჩნია დაუშვებლად, რომ ისინი ბავშვში ნაადრევად აღვიძებენ გრძნობებს, არამედ უფრო იმიტომ. რომ ნაწარმოების იდეას, მიზანდასახულებას ბავშვი მცირედაც ვერ აღიქვამს. ავილოთ, მაგალითად, „დიდოსტაგის მარჯვენა“. ამ ნაწარმოებიდან ბავშვის მეხსიერებას მხოლოდ ჭიანჭერის სიკვდილი, შორენას და კონსტანტინე არსაკიძის გაქცევა, გიორგი პირველის ფარიკაობა და მსგავსი სიუჟეტური ეპიზოდები შერჩება. რაც შეეხება ხელოვანის ბედს, როგორც ნაწარმოების მთავარ პრობლემას, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარების ჩვენებას, გიორგი პირველის ხასიათის გახსნას და სხვა ძირითად პრობლემებს, მათზე ბავშვს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ შეექმნება. ამიტომაც ამგვარად წაკითხული ლიტერატურა ხელმეორედ წასაკითხი ხდება შემდეგ წლებში, მაგრამ უარყოფითი შედეგი მხოლოდ ამით როდი ამოიწურება. ასეთი კითხვა ღლის ბავშვის გონებას, აბნევს, მოგჯერ უარყოფითადაც კი განაწყობს ნაწარმოების მიმართ. შეიძლება შეუფერებელი გემოვნებაც ჩამოუყალიბოს. ასეთი კითხვის დროს მისი ასაკისათვის შესაფერისი ლიტერატურა თავისთავად გვერდზე რჩება და ბავშვის გონება კარგავს თავისთვის შესაფერის საზრდოს. როცა ბავშვი სისტემატურ, გონივრულ კითხვას ეწევა აღმზრდელებისა და საბავშვო ბიბლიოთეკის დახმარებით, სურათი აბსოლუტურად იცვლება. ამ დროს შენარჩუნებულია ბუნებრივობა, ყველაფერი მიმდინარეობს ზომიერების ფარგლებში და მაქსიმალურ შედეგს ვაღწევთ. ბავშვის გონება ჯანსაღი რჩება, უამრავი წიგნის წაკითხვის შემდეგაც იგი არ ილღება. იმას ვაკითხებდით, რასაც ერეოდა და ძლევდა. წიგნის სრულყოფილად დაძლევა არის პირველი საზომი, რომლითაც უნდა განისაზღვროს ბავშვთან მუშაობის ხარისხი. ამ შემთხვევაში არა მარტო ასაკია გათვალისწინებული, არამედ ამა თუ იმ ბავშვის ბუნებრივი თავისებურებანი.

წიგნი, როგორც ინფორმაციის საშუალება, ყოველ ბავშვს აძლევს გარკვეულ ცოდნას, მით უმეტეს, თუ წიგნი გონივრულად არის შერჩეული; ჩვენს ბავშვებს თავისი გონებრივი განვითარების პირველ წლებში მდიდარი ლიტერატურა

რული მასალა ხვდება ქართული ზღაპრებისა და მათთვის შექმნილი ნაწარმოებების სახით. საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანაა, მკითხველს როგორმე ყველა სახის საინფორმაციო საშუალებები მიაწოდოს. კარგად გაფორმებული წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, აუდიოვიზუალური მასალა.


სკოლამდელ ასაკში პირველ რიგში ბავშვებს ვაცნობთ ბიბლიოთეკას, შემდეგ მისთვის შესაფერის ლიტერატურას, ვათვალიერებინებთ წიგნებს, რომლებიც ლამაზად არის გაფორმებული და დასურათებული. ბიბლიოთეკარი ხშირად უნდა ესტუმროს საბავშვო ბაღის ბავშვებს ასეთი დევიზით: „ლამაზი წიგნით სტუმრობა“. ასეთი წიგნი კი ბევრია. სკოლამდელი



ასაკის ბავშვებთან ძირითადად ლამაზად დასურათებული წიგნებით ვმუშაობთ. ვათვალიერებინებთ და ვუკითხავთ მათ. ეს წიგნებია: „ზღაპრების გულა“, სულ ახლახანს გამოცემლობა „მარის“ მიერ გამოცემული ზღაპრები

„ჩექმებიანი კაგა“, „თოვლის პაპა“, „კონკია“, „სიმმარა“, „სათაგური“, „ცეროდენა“ და სხვ.

ბავშვებს ანბანის შესწავლის შემდეგ საშუალება ეძლევათ არაჩვეულებრივად მდიდარი სიუჟეტისა და შინაარსის შემცველი ზღაპრები იკითხონ. ამ მხრივ არსებობს „ნაკადულის“ მიერ გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრები, სამღვარგარეთის ხალხთა ზღაპრები და სხვ. ჩვენ აქ ვერ დავიწყებთ ყოველი წიგნის ზემოქმედების მასშტაბზე საუბარს, მაგრამ მინდა რამდენიმე მათგანის განხილვის შუქზე წარმოვადგინო ის სავარაუდო პროცესი, რომელიც შესაფერისი ლიტერატურის კითხვით მიმდინარეობს მოზარდის ცნობიერებაში. „წიქარა“ ძალზე პოპულარული ზღაპარია. მას ყველა ბავშვი სიამოვნებით კითხულობს და შეგვიძლია აღვადგინოთ ის ზემოქმედების ძალა, რაც განგვიცდია თავის დროს ამ ნაწარმოების კითხვისას. „წიქარაში“, ისევე როგორც ზღაპრების უდიდეს ნაწილში, ერთმანეთსა და პირისპირებული ბოროტი და კეთილი ძალები. ამჯერად მნიშვნელობა არა აქვს იმ ამ-



ბავს, რაც ნაწარმოებშია მოთხრობილი. საინტერესოა თვით ნაწარმოების სული, რომელიც ბავშვის ხასიათს წარმართავს სიკეთის მხარდასაჭერად. დედინაცვლის მიერ ობოლი ბიჭის დევნა, მისი გაქცევა, წიქარას თავგანწირული ბრძოლა და სამშვიდობოს გასვლა. მის მიერ ცხრაკლიგულის დამსხვრევა და სხვ. ძალზე ლამაზი სიუჟეტია, მაგრამ ამ სიუჟეტში ამავდროს ჩაქსოვილია უღრმესი თანაგრძნობა დაჩაგრულისადმი და სიკეთის გამარჯვების სურვილი. მკითხველი ბავშვი მთელი სულითა და გულით დგება წიქარასა და მისი მხედრის მხარეზე, ოცნებობს ბოროტი დედინაცვლისა და კუდიანი დედაბრის დაღუპვაზე და წიქარას გადარჩენაზე. ბავშვის სულში ნამდვილი ბეიბია, წიქარას გაცოცხლების მომენტს რომ კითხულობს. აქ უღვეს სათავე კეთილშობილების იმ ნაკადს, რომელიც სულში აღიძვრება და ისაღგურებს. აქვე პარალელურად ფრთებს შლის ესთეტიკური აღზრდის პროცესი, რადგან მღაპარი „წიქარა“ სწორედ თავისი მშვენიერი ფორმით აჯადოებს ნორჩებს. ძნელია მისი წაკითხვის შემდეგ ბავშვს შეაყვარო და მოაწონო უგემოვნებო მღაპარი. გემოვნებასაც ასე ეყრება საფუძველი.

ბავშვებში იუმორის გრძნობას დიდად აწვითარებს მეორე ქართული ხალხური მღაპარი „ნაცარქექია“. ნაცარქექიას პიროვნებაში თითქოს არაფერია მისასალმებელი და მისაბაძი. იგი მუქთახორა კაცია, ერთთავად სულ ნაცარს ქექავს, არაფერს აკეთებს და ამიგომაც დაითხოვეს ძმებმა. გასაჭირმა ნაცარქექიას გონიერება გამოავლინა. მისი გამჭრიახობა ჯერ ჯანსაღ ღიმილს გვრის მკითხველს, ხოლო შემდეგ მისდამი თანაგრძნობით იმსჭვალება. ნაცარქექია ნაცარქექიად რჩება, მაგრამ მისი გონებაამხვილობა მოწონებას და მხარდაჭერას იმსახურებს.

უკვე დიდი ხანია ქართველი ბავშვები სულიერ საზრდოს არა მარტო თავისი ქვეყნის ლიტერატურით იღებენ, არამედ უცხოური ნაწარმოებითაც. შარლ პეროს „წითელქუდა“ უცხოურ საბავშვო ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთი პირველი წიგნია ინტერესის სიმძაფრითა და პოპულარობით. აქაც სიკეთის ძალაა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ავტორს იმდენად ის კი არ აინტერესებს, აჩვენოს სიკეთის უძლეველობა, რამდენადაც დიდი სურვილი აქვს ბავშვის გრძნობები სიკეთით აღავსოს. ყოველ საბავშვო ნაწარმოებში უნდა იყოს ისეთი ამბავი, რომელიც „გა-

იგყუებს“ ბავშვის ცნობისმოყვარეობას. მაგრამ „წითელქუდაში“, ისე როგორც „წიქარაში“, ცნობისმოყვარეობაზე მაღლა დგას თვით ნაწარმოების იდეა, რომ წითელქუდამ უსათუოდ უნდა იზიემოს, რომ მგელი ბოროტებისათვის უნდა დაისაჯოს. ამ ლამაზი, მშვენიერი იდეისათვის მოიარა მსოფლიო „წითელქუდამ“. იგი იქცა ყოველი ბავშვის სულიერი ცხოვრების ნაწილად.

ერთ თავის ბრწყინვალე მოთხრობაში „განონ“, რინანიშვილს გადმოცემული აქვს ის ტკივილი, რომელიც ბავშვებს აწუხებს დღეს. მანქანებმა, ავტობუსებმა ქალაქის ბავშვებს ბუნების დაწესებული სიმშვენიერის გრძნობა ჩაუკლეს. ნაწარმოების გმირი ამბობს, რომ მანქანებიდან შეუძლებელია დაინახო თვალებდაკუბსული კალია, კუდბომბორა მელა, ფრინველები და ნაირნაირი ცხოველები, რომლითაც მდიდარია ბუნება. მართლაც, დიდად საჭიროა, რომ საბავშვო წიგნებში თანდათან კლებულობს ჩვენი ქვეყნის ფაუნისა და ფლორისადმი გრძნობის გამოხატვა. მცირდება მელიებზე და მგლებზე, დათვებზე და ირმებზე, კაკაბზე და არწივზე საუბარი. ამიგომ ფასდაუდებელია ვაჟა-ფშაველას საბავშვო მოთხრობები. მარტო „ჩხიკვთა ქორწილი“, „შელის ნუკრის ნაამბობი“, „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზე“ – კმარა იმის დასადასტურებლად, რომ ვაჟა-ფშაველას, როგორც საბავშვო მწერლის როლი განუსაზღვრელია. მაგრამ ეს არ არის მთავარი. „შელის ნუკრის ნაამბობი“ წმინდა საბავშვო ნაწარმოები არ არის. მასში ვაჟა-ფშაველას ბავშვებისათვის ძნელად მისაწვდომი იდეა აქვს გაგარებული ბუნების მოვლენების შესახებ, უსამართლობისა და განუკითხაობის შესახებ, მაგრამ ბავშვებს რჩებათ ამ მოთხრობიდან განუსაზღვრელი სიმდიდრის მადანი. ეს არის ჰუმანიზმის გრძნობა, რომელსაც „შელის ნუკრის ნაამბობი“ ავლენს. არ შეიძლება ბავშვის ბუნება არ დადგეს სიკეთის მხარეზე, როდესაც შელის ნუკრის ჩივილს წაიკითხავს, როდესაც იგრძნობს დედის შემყურე შელის ნუკრის გულისცემას. ამიგომ ცხოველებსა და ფრინველებზე, მცენარეებზე დაწერილი კარგი ნაწარმოებები აუცილებელია დღეს, რათა ის, რასაც თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ვერ განიცდის ბავშვი, სულიერ წყაროში მაინც იყოს უხვად. ამით ბავშვებს ინტერესი უღვივდებათ და მაფხულის თევებში მეტი დაუოკებელი წყურვილით მისწრაფვიან სოფლებისაკენ, მღვებისა და ტბებისაკენ, მდინარე-



ებისა და ნაკადულებისაკენ.

ბავშვი ბუნებრივად ერთვის ახალი ცხოვრების ნაკადს და შესაფერისი ლიგურაგურული პროდუქციის მოთხოვნილებაც უჩნდება. გექნიკის პროგრესს იგი ყოველდღე ხედავს. რა თქმა უნდა, ნაკლებად გაიაზრებს მას, მაგრამ ამას ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. ამ შემთხვევაში მის დასახმარებლად უკვე თავისებური – თანამედროვე მლაპარი სჭირდება. ამგვარი მლაპარია, მაგალითად, მ.მრეველიშვილის „ჭანჭიკელა“. ასე რომ, ერთმანეთის გვერდით ბავშვის გონებას აწვითარებენ „წიქარა“, „ასფურცელა“, „ნახევარქათამა“, „წითელქუდა“, ქართული თუ უცხოური მლაპარები, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, მ.მრეველიშვილის, გივი ჭიჭინაძის და სხვათა ნაწარმოებები და თანამედროვე გექნიკური პროგრესის ამსახველი ლიგურაგურა. საშუალო ასაკის მოსწავლეებისათვის შედეგში მკვეთრად იმრდება ლიგურაგურის თემატიკა,

მათთვის სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნებიც გამოიცემა, მაგრამ ჯერ, როცა ბავშვი სკოლამდელი ასაკისაა ან მხოლოდ დაწყებითი კლასების მოსწავლეა, მისთვის შედარებით მსუბუქი ფორმის ნაწარმოებია გათვალისწინებული, რომლებშიც სიუჟეტიცა და იდეაც ნათლადაა გამოხატული და ბავშვის გონებას შეეფერება. ამიტომაც განსაკუთრებით ხელმისაწვდომია და შესაფერისიც მლაპრის სამყარო. არ შეიძლება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვნად არ მივიჩნიოთ „ნაკადულის“ მიერ ერთ დროს გამოცემული სერია – მსოფლიო ხალხთა მლაპრები. ამ სერიის გაცნობის შემდეგ ბავშვები რწმუნდებიან, რაოდენ მშვენიერი მლაპრები შეუქმნიათ არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ სხვა ხალხებსაც.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რჩება ერთი დიდი სურვილი: ახალ-ახალი გამოცემებით ივსებოდეს საბავშვო წიგნის თარო.

საბავშვო ბიბლიოთეკის ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში

ნატო მჭედლიშვილი


საქ.მეცნ. აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი

საბავშვო ბიბლიოთეკის დანიშნულება მრავალმხრივია და ამის გამო მისი მუშაობაც საკმაოდ რთული და ძნელად სამართავია. მრავალგვარია მისი ფუნქციებიც, მაგრამ ძირითადი მაინც მისი საგანმანათლებლო დანიშნულებაა, რასაც არ უნდა აკეთებდეს ის, ყველაფერი მაინც საგანმანათლებლო ამოცანებს უკავშირდება. ამიტომაც ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებას უდიდესი სამოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. დღეს საჭიროა საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების სრული გარდაქმნა, ახლებური მიდგომა და ახალი კონცეფციების ჩამოყალიბება. საქართველოს ბიბლიოთეკები ვერ აღმოჩნდნენ მზად 90-იანი წლების დასაწყისში (ნაწილობრივ ამჟამადაც) მხარი აეხატ თანადროული მოთხოვნილებებისათვის, რაც „საგანმანათლებლო ბუმმა“ გამოიწვია. ამ მოვლენის წყალობით შეიცვალა საგნები, სახელმძღვანელოები. მომრავლდა სხვადასხვა ტიპის სკოლები. ყოველივე ეს საბიბლიოთეკო საქმის გარდაქმნასაც ითხოვს. არსებული მდგომარეობა საავალალოა და გადაამჭრე-

ლი ზომები თუ არ იქნა მიღებული, ძნელი სათქმელია, რა დონეზე დავა ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება. არადა, სადავო არაა, რომ ამით საგანმანათლებლო საქმე მთლიანობაში დიდად დამარაღდება.

საჭიროა ვიცოდეთ, რას უნდა წარმოადგენდეს დღეს საბავშვო ბიბლიოთეკა, რა არის ის და რა უნდა იყოს, რა პრობლემები აფერხებს მის განვითარებას, განვჭვრიგოთ, როგორია მისი პერსპექტივები. მთავარია განისაზღვროს, რა როლს თამაშობს საბავშვო ბიბლიოთეკა საგანმანათლებლო სისტემაში. ყველაფერი ეს ერთ ძირითად პრობლემაში იყრის თავს – „ბიბლიოთეკა და განათლება“.

ჩვენში ინტენსიურად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ორიენტიაციის პროცესი. ჯერ ბევრი რამ ურთიერთსაწინააღმდეგოა და ცხოვრე-



ბისაგან გამოუცდელი, შეუსწავლელი, რაც მძიმე ფონს უქმნის საბიბლიოთეკო საქმეს, როგორც განათლების ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს.

განათლების საქმეში საბავშვო ბიბლიოთეკების აქტიური მონაწილეობის მიღება დღეს მთელი სისტემის პოლიტიკის ძირეული საკითხია. აუცილებელია, ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურება გამოვიდეს გრადიციული გაგებიდან და მეტი ენერგიულობით შეუდგეს ინფორმაციულ საქმიანობას. ყველა სპეციალისტი აღიარებს, რომ აუცილებელია მოსწავლეთა ინფორმაციკასა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში საბავშვო მომზადების მკვეთრი გაუმჯობესება. იმ დაწესებულებათა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ამ საქმეს, მნიშვნელოვანი ადგილი ბიბლიოთეკებს უჭირავს.

კავშირი – „ბიბლიოთეკა და განათლება“ ორ უკიდურესად განსხვავებულ გაგებამდე დადის. პირველი საკმაოდ გაფართოებულად იხილავს ბიბლიოთეკის ფუნქციებს, მიაჩნია, რომ პრაქტიკულად ბიბლიოთეკის მთელი საქმიანობა საგანმანათლებლო საქმიანობაში ორგანულ ჩართვას წარმოადგენს. მეორე მიმართულება შედარებით ვიწროდ წარმოაჩენს ბიბლიოთეკის როლს – მისი ფუნქციები სასწავლო პროგრამების რეალიზაციაში დახმარებამდე დაჰყავს. არც პირველი, არც მეორე მუსიკა არ არის. საჭიროა გამოინახოს რაღაც შუალედური. ჩვენი ამრით, საბავშვო ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო საქმიანობა ძირითადად კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათისაა და არა წმინდა საგანმანათლებლო. ეს საქმიანობა სავსებით გეგმიურადაა გათვალისწინებული ბავშვთა საერთო განათლების საქმეში.

ბიბლიოთეკა განათლების ინსტრუმენტს წარმოადგენს როგორც „ფორმალური“ განათლების მიღების შემთხვევაში, ისე „არაფორმალური“ განათლების შემთხვევაშიც – დამატებითი განათლების მიღების დროს, რაც ძირითადად უკავშირდება „უწყვეტი განათლების“, „მუდმივი სწავლების“, „თვითგანათლებისა“ და სხვა ამგვარი პროცესების გაგებას. ზოგი სპეციალისტის საწინააღმდეგოდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობისას მოსწავლე არა მარტო „ფორმალურ“, არამედ „არაფორმალურ“ მხარდაჭერასაც ღებულობს. საბავშვო ბიბლიოთეკა არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მხოლოდ სკოლაში მიღებული ცოდნის გამამყარებელი

ლი საშუალება, იგი სკოლის დანამატი კი არ არის, მისი გვერდში მდგომი დაწესებულებაა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უწყვეტ განათლებას სულ მცირე ასაკიდანვე.

აქედან გამომდინარე, „ბიბლიოთეკა და განათლება“ სამ ძირითად პრობლემას შეიცავს (ო.ოსიპოვა):

1. ძირითადი (ფორმალური) და დამატებითი (კვალიფიკაციის ასამაღლებელი) განათლება;
2. დამატებითი განათლების დამოუკიდებელი (საკუთარი) პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია;
3. შუამავლობა საგანმანათლებლო მომსახურების ბაზასთან.

ამ იდეის ავტორები თვლიან, რომ ყველა მათგანს თავისი პრიორიტეტი აქვს.

ჩვენ არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო ამგვარ სქემასთან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ის რუსეთის სინამდვილესთან არის შეფარდებული და ჩვენთვის ეს ჯერ კიდევ შესასწავლია. ჩვენში პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა უპირველესი ამოცანაა, გაცილებით მეტია. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ მე-4 ბლოკი პრობლემებისა – მეთოდიკური უზრუნველყოფის სრულყოფა.

ერთ-ერთ საყურადღებო პრობლემად მიგვაჩნია სკოლის სასწავლო გეგმებში საინფორმაციო – საბიბლიოთეკო საქმის საფუძვლების შესწავლის საქმის მოგვარება.

„ბიბლიოთეკა – საგანმანათლებლო დაწესებულება“ – დღეისათვის ამგვარი კონცეფსიითიქმის აღარ არსებობს. ბიბლიოთეკა ღებულობს დაკვეთებს პედაგოგიურ სფეროდან მათთვის დახმარების გასაწევად ცოდნის შემდგომი გაღრმავებისათვის. შეიძლება შემოღებულ იქნეს ერთობლივი გაერთიანება – „ბიბლიოთეკური – პედაგოგი“.

ბიბლიოთეკის საქმიანობა განათლების სფეროში კომპლექსური ხასიათისაა – ის მოქმედებს როგორც დამხმარე, ისე დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დაწესებულება. უცხოეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ბიბლიოთეკის ინფორმაციული და საგანმანათლებლო ფუნქციების დაცალკეება არ შეიძლება.

სხვადასხვა ქვეყანაში ბიბლიოთეკების საგანმანათლებლო მოღვაწეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა და გაფართოვდა ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად. საჭიროა ვიცოდეთ, რა მიმართებით განვითარდება ის. ამერი-

კელ საუციალისტებს მიაჩნიათ, რომ ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებას სულ ცოგა 4 გარემოება უშლის ხელს:

1. ბიბლიოთეკების არამოსურნეობა, ხელი აიღონ გრადიციულ მეთოდებზე;
2. საზოგადოების მიერ ბიბლიოთეკების მნიშვნელობისა და შესაძლებლობების შეუფასებლობა;
3. სახსრების უკმარისობა;
4. მწყობრი გეგმიურობის კონცეპტუალური საფუძვლების უქონლობა*.

საბავშვო ბიბლიოთეკა სასკოლო ბიბლიოთეკებთან ერთად წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ინდივიდს მკითხველად ამზადებს. ამიგომაც მისი მნიშვნელობა პიროვნების ცხოვრებაში ძალიან დიდია, სრულყოფილ მკითხველად აღამიანი ბავშვობაში უნდა ჩამოყალიბდეს. საბავშვო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ მთავარ მნიშვნელობას უნდა ვხედავდეთ ფართო სოციალურ-კულტურულ საქმიანობაში, რომელიც ობ-

იექტურად თუ არ ექვემდებარება, მხარდამხარ მაინც საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად განხილება. იგი ხელს უწყობს სკოლაში წიგნიერი გარემოს შექმნას და სწავლების ხარისხის ამალელებას, მაგრამ მისი მთავარი ამოცანა მაინც ე.წ. „გაფართოებული კითხვაა“.



მნიშვნელოვანი მომენგია საბავშვო და სასკოლო ბიბლიოთეკების ურთიერთობა. ზოგს მიაჩნია, რომ ამ ორი ტიპის ბიბლიოთეკები იდენტურნი არიან. მათ, მართალია, ბევრი აქვთ საერთო, მაგრამ თავიანთი დანიშნულებითა და ფუნქციებით მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შეიცვალა ვითარება – იცვლება პირობები, მოთხოვნილებები. საჭიროა დამოკიდებულება შეიცვალოს ბავშვთა საბიბლიოთეკო მომსახურებისა და საგანმანათლებლო სფეროს ურთიერთობაში.

*** Обслуживание взрослых публичными библиотеками США // Библиотечное дело: Информац. материалы 1995; вып. 1-6. – с. 27**

პროფესია და პროფესიონალები

ბიბლიოთეკარობა საზვარალი პროფესიაა – როგორი უნდა იყოს იგი



იმდენად დიდი იყო ჩემში წიგნის სიყვარული, როცა კი დავინახავდი წიგნებთან მომუშავე ბიბლიოთეკარს, იგი ყველაზე ბედნიერ აღამიანად მიმაჩნდა. ჩემი ოცნება იყო ბიბლიოთეკარი გაემხდარიყავი. ამიგომაც უყოყმანოდ ავირჩიე ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი და დავამთავრე თუ არა, ბიბლიოთეკაში დავიწყე მუშაობა. უკვე საკმაო გამოცდილება მივიღე და ბევრი რამ შევისწავლე. ამიგომაც ახლა შემიძლია ზოგი რამ ვთქვა და ჩემი დაკვირვების შედეგებზე ვილაპარაკო.

მინდა ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ ბიბლიოთეკარის პროფესიაზე. ბიბლიოთეკარის პრო-

ბავშული ჯინჯარაჰმ

ლ.ასათიანის სახელობის სახელმწიფო საბავშვო ბიბლიოთეკის მეთოდური განყოფილების ვამბე

ფესია მეგად საინტერესოა და მომხიბლავი, წყნარი სამუშაოა, ეცნობი ახალს, იხსენებ ძველ წაკითხულ წიგნებს, მუშაობ ყოველდღიურად და ყოველთვის იძენ ახალს, იქმნება სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციები. ვეხმარები მკითხველს ცოდნის მიღებაში და ვიზრდები მეც.

ჩემი მუშაობის ყოველდღიური კონკრეტული სიტუაციიდან მინდა მოვიგონო ერთი მაგალითი ჩემი და მკითხველის ურთიერთობიდან:

ერთხელ მკითხველი მომიყვა ნაწარმოების შინაარსს, რომელიც ადრე წაეკითხა და ახლა შეხსენების მიზნით ისევ სურდა გასცნობოდა მას, მაგრამ ნაწარმოების სათაური და ავტორი არ ახსოვდა. მისი ნაამბობიდან დავადგინე ნაწარმოების სათაური და ავტორიც, და მკითხველს წიგნი მივაწოდე. ამან ის დიდად გაახარა. აღაფრთოვანა კიდეც. ამის შემდეგ გადავწყვიტე, ყოველთვის, როცა ნაწარმოებს წავიკითხავდი, სათაური და ავტორი დამემახსოვრებინა, რომ ანალოგიური მოთხოვნებისას მკითხველის სწრაფად დაკმაყოფილება შემძლებოდა.

ბიბლიოთეკარი, შეიძლება ითქვას, სწავლულია, ის მუშაობს არა ერთი, არამედ სხვადასხვა თემაზე. ბიბლიოთეკარის პროფესია ცხოვრებასთან აქტიურ პოზიციაში ყოფნას მოითხოვს. ბიბლიოთეკარს უნდა ჰქონდეს პედაგოგიური ალლო და ოსტაგობა, უყვარდეს ადამიანები, შეეძლოს დიფერენცირებულად მიუდგეს ყველა მომხმარებელს, გაითვალისწინოს მათი მოთხოვნა და ინტერესები, გაარკვიოს მკითხველები საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის აგებულებაში, ბავშვ მკითხველებთან მომსახურებისას გაითვალისწინოს ასაკობრივი თავისებურება. ცხადია, უნდა ჰქონდეს ტექნიკური, ახასიათებლური გულისხმიერება, თავაზიანობა. ბიბლიოთეკარის უპირველესი პრინციპია: „ყველაფერი მკითხველისათვის“. თუ ბიბლიოთეკარი მოკლებულია ყოველივე ამას, ის შეცდომით არის ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკარისათვის მკითხველი ის ადამიანია, რომლისთვისაც ის იღვწის და მუშაობს, რომელიც აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოს. ის ვალდებულია ყოველთვის მუშაობდეს თავის თავზე. მან კარგად უნდა იცოდეს, თუ როგორი ეთიკური თვისებები უნდა

ახასიათებდეს აბონემენტის მუშაკს. პირველ რიგში, იმრუნოს სწრაფად მიაწოდოს მკითხველს მისთვის ყველაზე საჭირო და შესაფერისი ლიტერატურა, კარგად იცნობდეს ფონდებს, კატალოგებს, შეეძლოს წარმართოს ინფორმაციული მუშაობა, ჩაატაროს ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ინფორმაციის დღეები, სხვადასხვა მასობრივი ღონისძიებები.

მკითხველთან ურთიერთობისას განსაკუთრებით ძნელია წიგნის შერჩევა, რაც მკითხველის კარგად შესწავლას, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების ცოდნას საჭიროებს. ამ ურთიერთობის დროს დიდ როლს თამაშობს ბიბლიოთეკარის გონი, მისი კომუნიკაბელურობის უნარი, თავაზიანობა და გულისხმიერება. ბიბლიოთეკარს უნდა შეეძლოს გულდასმით მოუსმინოს მკითხველს, ღრმად ჩასწვდეს მის სურვილებს, გაითავისოს მომხმარებლის აზრი, მოახერხოს მასთან ურთიერთობის დამყარება. იგი უნდა იცნობდეს მკითხველურ ფსიქოლოგიას, პედაგოგიურ საფუძვლებს. აუცილებლად ერკვეოდეს თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, შეეძლოს მათი გამოყენება და მართვა, იყოს კარგი ორგანიზატორი.

ყოველივე ეს ჩვენგან დაუცხრომელ და სიცმატურ მუშაობას მოითხოვს. ძნელია სრულყოფილად დაეუფლო ერთხელ და სამუდამოდ შენს პროფესიას, თუ გამუდმებით არ სრულყოფ შენს ცოდნას, თუ არ იძენ გამოცდილებას. პროფესიული ცოდნა დინამიური პროცესია. ამიტომაც საჭიროა დაუცხრომლად ვიღვაწოთ იმისათვის, რომ განვაავითაროთ ჩვენი პროფესიული ოსტაგობა. უპირველეს ყოვლისა, მივმართოთ სპეციალურ ლიტერატურას, გავეცნოთ და შევისწავლოთ ის, რაც ჩვენი წარმატების საფუძველია.





**გავეცნოთ ზაარლანდის უნივერ-
სიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკას**

ზაარლანდის უნივერსიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკა დაარსდა 1950 წელს. ის ჰომბურგის სამედიცინო დარგობრივ ბიბლიოთეკასთან ერთად ზაარლანდის უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკასაც წარმოადგენს. 1996 წლიდან ის ოფიციალურად სამხარეო ბიბლიოთეკის მოვალეობებს ასრულებს. 2000 წელს მკითხველს შეეძლო გამოეყენებინა 1.719.000 მედიისა და 7461 ჟურნალი. კლასიკური მედიის – „წიგნის“ გვერდით, ელექტრონული ინფორმაცია უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს. ამ დროისათვის შესაძლებელია CD-ROM-ებზე 117 მონაცემთა ბაზის გაცნობა. გარდა ზაარლანდის უნივერსიტეტის და სამხარეო ბიბლიოთეკისა, ჰომბურგის სამედიცინო დარგობრივ ბიბლიოთეკასთან ერთად, კიდევ არსებობს უნივერსიტეტში 58 სხვა ბიბლიოთეკა, რომლებსაც ძირითადად სამკითხველო ბიბლიოთეკების ფუნქცია აქვთ. ზაარლანდის უნივერსიტეტსა და სამხარეო ბიბლიოთეკას დაახლოებით 29.000 აქტიური აბონენტი ჰყავს (2001 წ.). 2000 წელს გაცემულ წიგნთა საერთო რაოდენობა 246.000-ს აღემატებოდა.

ჰომბურგის სამედიცინო დარგობრივ ბიბლიოთეკასთან ერთად ზაარლანდის უნივერსიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკაში დასაქმებულია 104 თანამშრომელი.

1. ზაარლანდის უნივერსიტეტის და სამხარეო ბიბლიოთეკის საინფორმაციო ცენტრი

დაარსებიდან თექვსმეტი წლის შემდეგ ზაარლანდის უნივერსიტეტის და სამხარეო ბიბლიოთეკის წიგნთა მარაგი შეუძლია გამოიყენოს ზაარლანდის ნებისმიერმა მოქალაქემ. ყველას შეუძლია ამ ბიბლიოთეკებიდან ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტის დახმარებით წიგნებისა და ინფორმაციების მოპოვება, საერთო წიგნადი ფონდის თვალის გადავლება ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:

<http://opac.sulb.uni-saarland.de/>

აქ თქვენ შეგიძლიათ სამეცნიერო ბიბლიოთეკ-

ებისა და ზაარლანდის უნივერსიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკის საერთო ფონდებს გავეცნოთ.

2. მედიები ზაარლანდის უნივერსიტეტიდან

როგორც სამხარეო ბიბლიოთეკა, ზაარლანდის უნივერსიტეტისა და სამხარეო ბიბლიოთეკა აგროვებს წიგნებს მთელ ზაარლანდში. შესაძლებელია ბიბლიოგრაფიული კატალოგების კომპიუტერში დათვალიერება გამოცემის ადგილების, წიგნების ავტორებისა თუ ცალკეული საკვანძო სიტყვების გათვალისწინებით:

(<http://opac.sulb.uni-saarland.de/sbol.html>)

ამასთანავე თქვენ აქ შეხვედებით ზაარლანდის კორპორაციებისა და გამომცემლობების მიერ გამოქვეყნებულ სხვადასხვა პუბლიკაციებს. ამასთან ერთად, თქვენ შეგიძლიათ ბიბლიოთეკიდან გამოიგანოთ CD-ები. მაგალითად, თუ თქვენ გნებავთ ფაუსტის მოსმენა ზაარლანდურად, აქ შეგიძლიათ დაუბრკოლებლად აისრულოთ ეს სურვილი.

ზაარლანდის ბიბლიოგრაფიასთან საკონტაქტო პირი არის დოქტორი რაინჰოლდ ვებერი (Tel: 0681 30 22 077; e-mail: [r. Weber@sulb.Uni-saarland.de](mailto:r.Weber@sulb.Uni-saarland.de)).

3. SOVA – ზაარბრუკენის სრულ ტექსტთა კომპიუტერული არქივი

აქ აგროვებენ სხვადასხვა დოკუმენტებს, რომლებიც შეიძლება სამეცნიერო კვლევებისა და სწავლებისათვის გამოსადეგი იყოს. აქ ხელმისაწვდომია მთლიანი ტექსტებიც, რომლებიც ზაარლანდურად ითვლება.

სრულ ტექსტთა კომპიუტერული არქივი შეიძლება იპოვოთ შემდეგ მისამართზე:

<http://sova.sulb.uni-saarland.de/>

საკონტაქტო პირი არის მაგიას მიულერი (Tel: 0681 30 22 074; e-mail:

m.Mueller@sulb.uni-saarland.de

4. ლიგერატურული არქივი Saar-Lor-Lux-Elsass

ლიგერატურული არქივი Saar-Lor-Lux-Elsass წარმოიშვა გუსტავ რეგლერის კვლევით



სამუშაოზე დაყრდნობით (1978). იგი ორგანიზებულია უერთდება გაარლანდის უნივერსიტეტსა და სამხარეო ბიბლიოთეკას. ის მკვლევარებს თავაზობს მომსახურებას დაახლოებით 2500 წიგნით, აგრეთვე ვიდეოჩანაწერებს, კომპაქტდისკებს, მოსასმენ მასალებს.

საკონტაქტო პირი არის დოქტორი გუნთერ შოლდტი (Tel: 0681 3327; e-mail: g.scholdt@sulb.uni-saarland.de)

5. განსაკუთრებული კოლექცია ფსიქოლოგიურ მეცნიერებებში

უკვე 35 წელია, რაც ბიბლიოთეკა ფსიქოლოგიურ ლიგერატურაზე მრუნავს. აქედან შესაძლებელია წიგნების გაგანა საზღვარგარეთაც კი. აქ აგროვებენ აგრეთვე პოპულარულ სამეცნიერო ლიგერატურას და გესტებს. 1998 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ვირტუალურ სპეციალურ ბიბლიოთეკას. ესაა ინტერნეტ წინამძღოლი ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში, სადაც შესაძლებელია საინტერესო მასალის მოძიება.

საკონტაქტო პირი არის ნაგაშა მაგუარი (Tel: 0681 3022069; e-mail: n. maguar@sulb.uni-saarland.de)

ბიბლიოთეკა ევროპული გაერთიანებიდან იღებს აქტუალურ ლიგერატურას, რომლის გამოგანაც ან დარბაზში წაკითხვა შეიძლება.

6. დოკუმენტების მიწოდება, მომსახურება – საერთაშორისო აბონემენტით

თუ თქვენ გჭირდებათ რაიმე ლიგერატურა და არ გსურთ სამუშაო ადგილიდან გასვლა, მაშინ თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ ბიბლიოთეკათმორისი აბონემენტით.

<http://www.subito-doc.de>

მას შემდეგ, რაც რეგისტრაციას გაივლით, შეგიძლიათ სხვადასხვა მონაცემთა ბაზები დაათვალიეროთ და მასალა გარკვეული თანხის საფასურად მოიპოვოთ.

საკონტაქტო პირი დოკუმენტების მიწოდების დარგში არის გეროლდ ჰოფმანი.

e-mail: g.Hoffmann@sulb.uni-saarland.de , fernleiche@sulb.uni-saarland.de
TEL: 0681 3023074
FAX: 0681 3023096

ინტერნეტის მონაცემთა დაყრდნობით მასალა მოაგზავნა და თარგმნა თორნიკე ბურუღაძე

ცვლილებები აკადემიურ ბიბლიოთეკაში: გაგება, მართვა და თავის გართმევა

ცვლილებები: განმარტება

კათრინ ელვარდსი, ბრემ ვოლტონი

„30 წლის წინ მრავალი ადამიანი ფიქრობდა, რომ ცვლილებების შედეგი იქნებოდა თითქმის იგივე, ოღონდ მეტი რაოდენობით, ცოტა უკეთესი. ეს იქნებოდა მზარდი და ყველასათვის მისაღები ცვლილებები. დღეს ჩვენ ვიცით, რომ ცხოვრების მრავალ საკითხზე ვერაფერს მოგვცემს „თითქმის იმავეს“ გარანტიას, ჩვენ იმასაც კი ვერ ვიწინასწარმეგყველებთ, თუ რა მოხდება ჩვენს პირად ცხოვრებაში“ (ჰენდი, 1991).

განასხვავებენ „მზარდ“ და „წყვეტილ“ ცვლილებებს და თვლიან, რომ ეკონომიკისა და ტექნოლოგიის კომბინაცია ცვლილებების მძლავრ პროტენციას ქმნის. თვალნათელია, რომ უმაღლესი განათლება და საბიბლიოთეკო მომსახურება ისეთი გარემოს ნაწილია, რომელიც განიცდის მზარდ და წყვეტილ ცვლილებებს:

• პოლიტიკურ – გაძლიერებული კონტროლი ცენ-

- გრალური მართვის მხრიდან;
- სოციოლოგიურ – საინფორმაციო ეპოქა;
- საგანმანათლებლო – მრავალმხრივი უმაღლესი განათლების სისტემა;
- ტექნოლოგიურ – ქსელები, კომპიუტერები და ტელეკომუნიკაცია;
- საორგანიზაციო – ახალი სტრუქტურები;
- ეკონომიკურ – მზარდი მოთხოვნილებები ფულად სახსრებზე;
- კულტურულ – შეცვლილი ნორმები და ღირებულებები.

საბიბლიოთეკო საქმეში ხდება გრანსფორმირება საინფორმაციო მასალების ადგილებზე დაცვიდან დისტანციური ელექტრონული რესურსების მიწოდებისაკენ, ამავე დროს ნაკლები ადამიანური და ფინანსური სახსრების გამოყენებით. ამას მივყავართ შემდეგი სახის ცვლილე-

ბებამდე:

- ახალი სტრუქტურები, როგორცაა ჯგუფური მუშაობა;
- სხვადასხვა ჯგუფებთან და პიროვნებებთან თანამშრომლობა;
- ახალი უნარ-ჩვევები მომსახურე პერსონალისა და მომხმარებლებისათვის;
- მენეჯმენტისა და გადაწყვეტილების მიღების მზარდი მნიშვნელობა;
- მეტი დაგვირგითი მუშაობა.

საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმის მენეჯერებმა და მათმა მომსახურე პერსონალმა უნდა შეიმუშაონ პოზიტიური სტრატეგია, რომ თავი გაართვან ამ ცვლილებებს:

„ბიბლიოთეკების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს ამ ცვლილებებს. მათ უნდა შეისწავლონ, თუ როგორ იცვლება მსოფლიო და როგორ უნდა შეიცვალოს ბიბლიოთეკა. მათ აგრეთვე უნდა შეისწავლონ მოხიბლვის ოსტატობა, რადგან ყოველგვარ ცვლილებას თან ახლავს წინააღმდეგობა.” მური. 1995)

ცვლილებებს რომ თავი გავართვათ, აუცილებელია ორი რამ: ცვლილების გააზრება და მისი მართვა.

ცვლილების თავის გართმევა: არსი

ცოდნისა და ცვლილებების გააზრების გაღრმავებისათვის შესაძლებელია შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა:

- ძლიერი, სუსტი, შესაძლებელი მხარეების და საშიშროების ანალიზი (SWOT);
- საყოველთაო ხარისხის მენეჯმენტის პრაქტიკა;
- ჯგუფური დაგეგმვის პრაქტიკა;
- მოწვეული მომხსენებლების პროგრამები;
- სწავლების მოთხოვნილების ანალიზი;
- გარემოს შესწავლა;
- ელექტრონული სადისკუსიო დაფები;
- მომხმარებელთა მოთხოვნების შესწავლა;
- მომსახურე პერსონალის მოთხოვნების შესწავლა;
- გამოსასვლელი ღლეები;
- ღია სემინარები, კონფერენციები და დისკუსიები;
- შეხვედრები გამოცდილების გასაზიარებლად.

განუსაზღვრელობის არსი

„საინფორმაციო ტექნოლოგიები მმართველი სტრუქტურების დესტაბილიზაციას იწვევს. ეჭვი ჩემს პროფესიონალიზმში არასოდეს გამჩენია იმ დონეზე, როგორც ახალ ტექნოლოგიებთან შეხების დროს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ ჩე-

მი ორგანიზაციის მომავალი”. (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გამგე)

უკეთესი და ღრმა გაგება გვეხმარება იმ ეჭვის დაძლევაში, რომელიც აუცილებლად თანსდევს ცვლილებას. საბიბლიოთეკო – საინფორმაციო საქმეში ამ ეჭვის დაძლევის მიზნით ყურადღება ეთმობა შემდეგს:

- უმაღლესი განათლების სტრატეგიული მიმართულებები და ის, თუ რაოდენ უნდა ან შეიძლება იყოს იგი დამოკიდებული ტექნოლოგიებზე;
- ფუნქციები იცვლება, განსაკუთრებით მომხმარებელთა მხარდაჭერის თვალსაზრისით;
- ორგანიზაციული რესტრუქტურისა და სამუშაო მოდელის ცვლილება;
- თვით ტექნოლოგიები – შეუსაბამობისა და არაქმედითუნარიანობის განცდა.

„თანამედროვე ამროვნება, ქაოსის თეორიაზე დაყრდნობით, უპირატესობას ანიჭებს რადიკალურ – დინამიურ შეხედულებას, რომელიც ეწინააღმდეგება ადრე არსებულ მექანიკურ მოდელს. ეს ინტერპრეტაცია უარყოფს ამ ცვლილებების მართვის ცნებას, როგორც მზარდი, ევოლუციური, სწორხაზოვანი და მუსკად განსაზღვრული პროცესისა და განიხილავს მას როგორც მუდამ ცვალებად, განახლებულ, რევოლუციურ, ბრუნვად, სპირალურ და არსებითად ქაოსურ, მაგრამ საბოლოოდ ნაყოფიერ და სასარგებლო წყაროს”. (კორალი. 1995).

ეს მიდგომა აგრეთვე გვეხმარება, თავი გავართვათ კონტროლის დაკარგვის შეგრძნებას, რაც გამოწვეულია ელექტრონული სისტემების სირთულით და მათი ცვლილებების საოცარი ტემპით და იმის გაცნობიერებით, რომ ახალი ელექტრონული გარემოს ზოგიერთი ასპექტი პარადოქსულია:

- ინფორმაციის შეუზღუდავი, ხელმისაწვდომობის პერსპექტივა და ამავე დროს უცყუარობასთან, საავტორო უფლებასა და სირთულესთან დაკავშირებული პრობლემები;
- სწავლების ახალი გზების პერსპექტივა და პერსონალის და მომხმარებლის განათლების არაადექვატურობა;
- ახალი თანამშრომლობის ფორმების პერსპექტივა, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩაკეტილ კულტურას;
- საინფორმაციო მუშაკთათვის მეტი შესაძლებლობები და ამავე დროს შეზღუდული ფინანსური სახსრები;

ზედმეტი ცენტრალიზება საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, რომლებიც გავლენას განიცდიან დრომოჭმული საორგანიზაციო სტრუქტურების მხრიდან.

გაამრებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ინტუიციური მიდგომისათვის, რომელიც სწრაფი ცვლილებების დროს დიდად უწყობს ხელს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. (აგორი, 1991). ინტუიციური ანალიზი ვერ მუშაობს გადაწყვეტის მიღების პროცესში, როცა პიროვნულია წამოწეული პირველ პლანზე. კარგი ინტუიცია დაფუძნებულია ფაქტებსა და გამოცდილებაზე, რომლებიც წლების განმავლობაშია შეძენილი.

როცა გავაანალიზებთ ცვლილების გამომწვევ მიზეზებსა და მის შედეგებს, შევძლებთ მის მართვას და მისგან სარგებლობის მიღებას.

ცვლილების მართვა

აქ მთელი რიგია საკითხებისა. „ცვლილებების მართვა“ ძალიან ფართო ცნებაა. თქვენ სხვადასხვა გიპის ცვლილებებთან გაქვთ შეხება. ცვლილება იმისათვის საჭიროებს მართვას, რომ ახალი შესაძლებლობების მაქსიმუმი მივიღოთ და თავიდან ავიცილოთ წინააღმდეგობრივი სიტუაციები. რაც უფრო სწრაფი გემპით ჯდება ცვლილება, მით უფრო მეტ სირთულეებთან და დაძაბულობასთან არის დაკავშირებული მისი მართვა. მმართველის ცოდნა და სტილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება:

„მმართველისათვის ეს არის გამოწვევა, გაანალიზოს ცვლილებების გემპი და შეძლოს გააწონასწოროს გრადიცია და ცვლილებები. ცვლილებების დროს ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ სწავლის პროცესში ჩვენ, მენეჯერებს უფრო მეტი გვევალება და ჩვენ კი კონსულტანტობა არ გვისწავლია“.

გულახდილობის აგმოსფერო, კარგი კომუნიკაციები, ნათელი მიზნები, ხელმძღვანელობა და წვრთნა წარმოშობს ცვლილებების კარგ მენეჯმენტს და ეს ქმნის მენეჯმენტის სტილს. კონსულტაციები, კომუნიკაციები, გამჭვირვალობა და არაფორმალურობა ამცირებს შიშსა და ეჭვს.

მომსახურე პერსონალი გაღმიანებულია, უკმაყოფილოა, რადგან მათ ჰგონიათ, რომ ისინი უძლურები არიან. საჭიროა, ისინიც ჩართული იყვნენ საქმეში, რომ გაიაზრონ მიღებული გადაწყვეტილებების მიზანშეწონილობა, მაშინაც კი, როცა ისინი არ ეთანხმებიან ამას.

„ეს იყო დირექტორთა ჯგუფის გადაწყ-

ვეტილება და ისინი აპირებენ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, განახორციელონ ეს. ისინი რაღაც კონკრეტული სახელმძღვანელოებით აპირებდნენ ხელმძღვანელობას, ადგილობრივი გარემოს გთვალისწინების გარეშე. მათ ეს გააკეთეს, მაგრამ ამან არ გაამართლა“.

ავტორიტარული მართვის პრინციპები უფრო დიდი კონტროლის მოსაპოვებლად ნაკლებ შედეგიანია.

„მეტი უფლებებით აღჭურვილი მენეჯმენტი გაცილებით უფრო ქმედითია, ვიდრე მკაცრი მუდამხედველობისა და კონტროლის დროს“ (მორგანი, 1991).

ხელმძღვანელები უნდა იყვნენ მკაცრი და ამასთანავე მოქნილი. ისინი უნდა უსმენდნენ თავიანთ კოლეგებს და იყვნენ თანამიმდევრუნი. ისინი მომსახურე პერსონალისაგან მუდმივ მხარდაჭერას უნდა გრძნობდნენ.

შემოქმედებითობა, ინტუიცია და ინოვაცია

უფლებებით აღჭურვილ პერსონალს კარგი შესაძლებლობა ეძლევა განავითაროს შემოქმედებითობა, ინტუიცია და ინოვაცია, რაც საუკეთესო საშუალებაა ცვლილებებზე რეაგირებისათვის (ვოლგონი და ედვარდსი, 1997). დაწესებულებებს, რომლებიც ავლენენ ამ თვისებებს, შეუძლიათ ცვლილებებზე დიდი სიმტკიცით და მოქნილობით რეაგირება. მეჯარო (1988) ასახელებს შემოქმედებითი ორგანიზაციის სამ დამახასიათებელ თვისებას:

- შემოქმედებითი ამროვნების ხელისშემწყობი გარემო;
- იდეების გაცვლის ეფექტური სისტემა;
- ინოვაცია მართვის პროცედურები.

თავისუფალი ორგანიზაციული სტრუქტურები ინოვაციაზე გაცილებით უფრო მეტად უწყობს ხელს, ვიდრე მკაცრი იერარქია. აღამიანთა ჯგუფები, რომლებიც ერთად მუშაობენ გუნდებად ან პროექტებზე, აყალიბებენ იდეებს და სისრულეში მოყავთ ისინი. საბილიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების მიერ არჩეულმა სტრუქტურებმა და სტრატეგიებმა უნდა შექმნან ისეთი გარემო, რომელშიც შესაძლებელი იქნება პიროვნების განვითარება. ხელი უნდა შეუწყონ პერსპექტიული იდეების განხორციელებას.

სტრუქტურები, სტრატეგიები და სწავლება არის არსებითი პირობები, რომლებიც განაპირობებენ თავდაჯერებულობას, რაც აუცილებელია ცვლილების თავის გართმევის პროცესში. გაბე-



დულ ადამიანებს უნარი აქვთ თვითონ შეიმუშაონ სტრატეგია, გამოიჩინონ ინიციატივა და მართონ ცვლილებები, რომლებიც მათ ირგვლივ მიმდინარეობს:

„სწავლება ერთ-ერთი მიდგომაა... ხოლო მეორეა თვითმენეჯმენტი. ვფიქრობ ადამიანებმა უნდა გამოიმუშაონ თავდაჯერებულობისა და სიმტკიცის მაღალი დონე და ზოგადად თვით უნდა შეძლონ მენეჯმენტი” (სამსახურის უფროსი).

სისტემატური სასწავლო პროგრამები, რომლებიც მოითხოვს პიროვნებების ცვლილებას, აუცილებლად მოგვიტანს შედეგს. მძლავრი მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, ეფექტური საკომუნიკაციო ხაზები და კარგი შიდა თანამშრომლობა უნდა წარმოადგენდეს ინფრასტრუქტურის შემადგენელ ნაწილს. ძირითადი შესრულების გექნიკა, როგორც არის: საკონტროლო ჩამონათვლები, მუსტი დაგეგმვა და სისტემური პროცედურები ახალი რესურსების დასანერგად, მართვის საკითხების ბირთვის წარმოადგენს. ეს აძლიერებს პროფესიონალიზმის შეგრძნებას პერსონალისა, რომელსაც აქვს მომხმარებლის მხრივ არაადექვატური შეფასების განცდა.

სამეცნიერო ორგანიზაცია

ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებში თავის გართმევის პროცესში გარკვეულ როლს თამაშობს „სამეცნიერო ორგანიზაციის” ცნება. გარვინი (1994) „სამეცნიერო ორგანიზაციის” 5 მთავარ საქმიანობას გამოყოფს:

- პრობლემების სისტემატური გადაჭრა;
- ახალი მიდგომების ექსპერიმენტული მოსინჯვა;

- ცოდნის შექმნა საკუთარ გამოცდილებასა და წარსულზე დაყრდნობით;
- ცოდნის შექმნა სხვისი საუკეთესო პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე;
- ცოდნის სწრაფად და ეფექტურად გავრცელება ორგანიზაციაში.

ასეთი მიდგომების პოტენციური საბიბლიოთეკო და საინფორმაციო საქმეში თვალნათელია, როგორც ამას სხვებიც აღნიშნავენ.

საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებას, როგორც უფრო დიდი ორგანიზმის მცირე კომპონენტს, შეუძლია უფრო მარტივად განახორციელოს ასეთი გარდაქმნა. ცვლილების გააზრება, მართვა და თავის გართმევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ადგილებზე მცირე პროცედურულ დამუსტგებებს არ გულისხმობს. მას საქმე აქვს ისეთ საკითხებთან, როგორიცაა სტრუქტურა, სტრატეგია, პიროვნება და განსაკუთრებით – საორგანიზაციო კულტურა.

ინგლისურიდან თარგმნეს: თ.წიკლაურმა (სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ.ალიბეგაშვილმა) (საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომელი)

The authors basically refer to the principle pecoliarities of changes. They clarify the essence of these changes; recommend how to deal with these in order to manage and to scientifically organize them. Katherine Edwards, Graham Walt's Article





გორან გელერსტაჰი

ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (შვედეთი)

დღეს ბიბლიოთეკის საქმიანობაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების გავლენა აშკარაა. თითქმის არ არის დარჩენილი ბიბლიოთეკის არც ერთი სფერო, რომელზეც გავლენა არ მოეხდინოს საინფორმაციო ტექნოლოგიას. მე მინდა შევეხო განვითარების ორ მნიშვნელოვან ეტაპს.

პირველი ნაბიჯები ჩემს ქვეყანაში დაახლოებით 10 წლის წინ გადაიდგა. შეიქმნა ლოკალური ინტერაქტიული ბიბლიოგრაფიული სისტემები, რომელთა საშუალებით ხდებოდა კატალოგიზაცია, ცირკულაცია, დაკომპლექტება და გამოხშირვა. ელექტრონული მართვა აგრეთვე შეეხო ადგილობრივ სპეციალურ ფონდებს და იშვიათ წიგნებს. ადგილობრივ ბიბლიოთეკებს ახალი მასალა გაუჩნდათ: კომპაქტდისკები და მულტიმედიის სადგურები, მაგრამ ჯერ კიდევ დღის წესრიგში დგას ლოკალური ბიბლიოთეკების მომსახურების ეფექტიანობის გაზრდის და ფონდის ხელმისაწვდომობის გაადვილების საკითხი. ყოველივე ეს ძალიან დიდ გავლენას ახდენს ბიბლიოთეკარებზე, ბიბლიოთეკაზე და მომხმარებელზე, მაგრამ მოგადად ბიბლიოთეკის ორგანიზაციისა და მართვის საკითხი ჯერ კიდევ დასახვეწი და გასაავითარებელია, რადგან ელექტრონული მომსახურება მეტ ყურადღებას ადგილობრივ რესურსებს უთმობს.

შემდეგი ნაბიჯები დაახლოებით 3 წლის წინ გადაიდგა, რომელმაც ძალიან შეცვალა ძველი გრადიციული ბიბლიოთეკების სტრუქტურა. ბოლო წლებში ვირტუალური ბიბლიოთეკის იდეამ მყარად მოიკიდა ფეხი. რასაკვირველია, ეს რეოლუციაა. ჯერ კიდევ ამოუწურავია ქსელური სისტემების შესაძლებლობები. ის ძირეულად შეცვლის ბიბლიოთეკის როლს და თანამედროვე გაგებას. ძველი კარგად ნაცნობი ფიზიკური ბიბლიოთეკა იქნება ინფორმაციული ორგანიზაციის ერთ-ერთი სახე. ახალი ვირტუალური ბიბლიოთეკა გარდაიქმნება რაღაც ახლად, რაღაც ძალიან ძლიერად. ჩვენი ძველი გაგებით, ვეღარ ვიქნებით ინფორმაციის მეპატრონეები. ჩვენ გვევალება ინფორმაციის დამუშავება, მედიაგორობა და მართვა. ეს არც თუ ისე ცუდია, განა ეს ახალი და მიმზიდველი არ არის ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარებისათვის?

ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი. ყველა პროფესიონალურ ჟურნალში იწერება ამის შესახებ. ისინი მოგვიწოდებენ ბიბლიოთეკის მმართველებს, რომ ვიმოქმედოთ სწრაფად. ჩვენ დასაკარგი დრო არ გვაქვს. რადგანაც ეს სარიცხოა, ვილაც სხვა კომერციული ინტერესებით შეიძლება დაეპატრონოს ინფორმაციულ ბაზარს.

ამ ვითარებაში რა შეიძლება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებმა გააკეთონ?

- მოიპოვეთ საუკეთესო ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა;
- აღჭურვეთ თქვენი მომსახურე პერსონალი საუკეთესო ტექნოლოგიებით;
- მეტი ყურადღება მიაქციეთ ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას;
- მოიზიდეთ საუკეთესო სპეციალისტები საინფორმაციო ტექნოლოგიებზე;
- გადაიყვანეთ ყველაფერი ელექტრონულ ფორმაში და მოათავსეთ ინტერნეტში;
- შეუერთდით სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიების სააგენტოებს;
- უკეთესად გათვალეთ თქვენი მომსახურების ფასი;
- შესთავაზეთ ხარისხიანი მომსახურება. უნდა უყვარდეთ თქვენ მომხმარებლებს, დამფინანსებლებს და ხელმძღვანელებს;
- იყავით საუკეთესო.

მე არ ვაპირებ გესაუბროთ საინფორმაციო ტექნოლოგიების დადებით მხარეებზე, პირიქით, მსურს გესაუბროთ საინფორმაციო ტექნოლოგიის მენეჯმენტის პრობლემებზე, რომლებიც გვხვდება ბიბლიოთეკის სფეროს ყველა ასპექტში.

ჩემთვის საინტერესოა ის, თუ რამდენად სწრაფად შეიცვალა სცენარი. 10-20 წლის წინ ბიბლიოთეკების საქმიანობა შუასაუკუნეების დონეზე ხდებოდა. ახლა ჩვენ სრულიად განსხვავებულ საბიბლიოთეკო სამყაროში ვცხოვრობთ, რადგან საქმე ეხება საინფორმაციო ტექნოლოგიას, რომელიც ჩვენზე არსებით ფიზიკურ და გონებრივ გავლენას ახდენს.

სშირად ამბობენ, რომ ტექნოლოგიას არ უნდა მივცეთ ჩვენი მართვის საშუალება. მენე-



ჯმენგის თეორიები არც კი უშვებენ ამის შესაძლებლობას. მათ მიაჩნიათ, რომ სამყარო შეიძლება იმართებოდეს გონივრულად გააზრებული შეხედულებებით. ამ ლექციის სათაურად მე ავირჩიე „ელექტრონული მომსახურების გავლენა ბიბლიოთეკის ორგანიზაციასა და მენეჯმენტზე“, რადგან მე საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ხშირად ვერ ვაანალიზებთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ჩვენზე ორგანიზაციული ინფრასტრუქტურა, კულტურა, ამროვნება, წარსული გამოცდილება. საინფორმაციო ტექნოლოგია კი სრულიად ახალ კულტურას ქმნის.

მე შევეცდები გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება და საკუთარი ბიბლიოთეკის (ლუნდის უნივერსიტეტი) მაგალითები ბოლო ათწლეულის შევლეთის სინამდვილეზე დაყრდნობით.

ჩემი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა 1671 წლიდან არსებობს, ბიბლიოთეკის საკუთრებაშია ყველა შევლური ბუჭდური პროდუქცია 1698 წლიდან და რასაც ჩვენ კანონი გვავალდებულებს, რომ დავიცვათ მომავლისათვის, როგორც შევლეთის ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდი. ჩვენ ვემსახურებით 8 ფაკულტეტს და უნივერსიტეტის პროფესიულ სკოლებს, სადაც დაახლოებით 4 000 სტუდენტი და 600 – იანი პედაგოგთა კოლექტივი და მომსახურე პერსონალი არის. ჩვენ გვყავს 170 მომსახურე პერსონალი, გვაქვს 4,5 მლნ გამოცემა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გარდა არსებობს 160 დარგობრივი ბიბლიოთეკა. თუ თქვენ მათ ერთად გააერთიანებთ, მათი ფონდი თითქმის იმხელა იქნება, რამხელაც ჩვენია. ჩვენს ბიბლიოთეკაში ავტომატიზებული სისტემა 1989 წელს დაინერგა და დღეს თითქმის ერთ მლნ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს და 10 000 პერიოდიკის ჩანაწერს მოიცავს, რომლებიც ერთად წარმოადგენს მთელი ფონდის დაახლოებით 50%-ს. მიმდინარეობს ქსელის მთელი სიმძლავრით ამოქმედების სამუშაოები. მოხდა დეცენტრალიზაცია, რათა უნივერსიტეტის ყველა ბიბლიოთეკა ჩაერთოს უნივერსიტეტის საერთო ქსელში. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა პასუხისმგებელია პროექტის ტექნიკური მხარის უზრუნველყოფაზე.

მინდა შევეხებ ბიბლიოთეკის ავტომატიზაციის კრიტიკულ საკითხებს მენეჯმენტის მართვის თვალსაზრისით.

• ვცდებით, როცა ვფიქრობთ, რომ ბიბლიოთეკა იქნება იგივე, ოღონდ ცოტა უკეთესი;

- ვფიქრობთ, რომ პროექტს დავასრულებთ შემოდგომისათვის. ალბათ ასეც იქნება;
- დასაწყისში ნათქვამი იყო, რომ ავტომატიზაცია ან სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ნებისმიერი პროექტი დაზოგავს ფულს (სახსრებს) და მომსახურე პერსონალის რაოდენობას შეამცირებს, მაგრამ ეს გაცილებით უფრო მეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე ოდესმე.
- ათწლეულების განმავლობაში მოგიწევთ თავი გაართვათ „ორმაგ“ და „სამმაგ“ სისტემებს; რაც მონაცემთა ბაზაში არ არის, ის მოხმარებისათვის დაკარგულია;
- ცოცხანში აღმოაჩენთ, რომ ბიბლიოთეკის სისტემა ვერ გაძლებს იმას, რასაც ელოდით;
- დამუნიანსებელი ძალიან კმაყოფილი დარჩება მომხმარებელთა რიცხვის გაზრდით, მაგრამ თქვენ არ გამოგიყოფთ ბედმეტ თანხას მომსახურე პერსონალისათვის. მეტი თანხები დაიხარჯება საინფორმაციო ტექნოლოგიებზე;
- ავტომატიზაციის შედეგად ხშირად ითვალისწინებენ შტაგების შემცირებას, მაგრამ, როგორც წესი, ეს ასე არ ხდება;
- არის საშიშროება, ძველ სტრუქტურაში არსებული ნაკლოვანებები პირდაპირ გადმოვიტანოთ ახალ ავტომატიზირებულ სისტემაში;
- სწრაფად იმრდება მომსახურე პერსონალისა და მკითხველთა აქტიურობა (ნაყოფიერება) – ზოგჯერ წარმოუდგენლადაც კი;
- საინფორმაციო ტექნოლოგიის სპეციალისტები ცდილობენ დაეუფლონ ყველაფერს. მათი მოთხოვნები ამოუწურავია;
- სისტემის განყოფილებების როლი ბიბლიოთეკის ორგანიზაციაში პრობლემატურია;
- მომსახურე პერსონალი დაიყოფა ორ ჯგუფად: არაკვალიფიციურ ჯგუფად, რომელსაც დაევალება რუტინული სამუშაოს წარმოება და საინფორმაციო – მომსახურეობის სპეციალისტთა ჯგუფად;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მოთხოვნებით, დაკმაყოფილება გულისხმობს არა მხოლოდ კომპიუტერულ ტექნიკას. ახალი ბიბლიოთეკების დაგეგმვა უნდა ხდებოდეს როგორც კომპიუტერების, ისე მომსახურე პერსონალის გათვალისწინებით;
- მომხმარებლები ყოველთვის იტყვიან, რომ აღჭურვილობა ან პროგრამული უზრუნველყოფა არის ან ძალიან რთული, ან ძალიან მოძველებული;

ბული;
 • და ბოლოს, როდესაც ყველაფერი ავტომატიზებულია, თქვენ შესაძლოა გქონდეთ ისეთი სისტემა, ხმარებას და მართვას სრულიად არავის არ შეეძლოს;

• უკან დასაბრუნებელი გზა არ არის!
 შემდეგი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, არის ის, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები დროთა განმავლობაში ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება.

ცოგა ხანში თქვენ, როგორც მენეჯერი, აღმოჩნდებით უფრო რთულ სიტუაციაში. ძირითადი საკითხები, რისთვისაც ბიბლიოთეკა არსებობს, ყველა სტრატეგიული საკითხი კვლავ ძალაშია და, რა თქმა უნდა, განიცდის საინფორმაციო ტექნოლოგიის გავლენას. თქვენ კვლავ დადგებით იმავე გრადიციული პრობლემების წინაშე, რომლებიც დაკავშირებულია ბიბლიოთეკასა, მომსახურე პერსონალს, დამფინანსებლებსა და დამქირავებლებთან.

შევეცდები ნაწილობრივ ვისაუბრო ამ საკითხზე. მე მარტივად გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებს:

„დიდი ბიბლიოთეკა“	„ახალი ბიბლიოთეკა“
ცენტრალიზებული	დეცენტრალიზებული
დადგენილი წესებით და ნორმებით მართვა	გარკვეული მიზნების შესაბამისი მართვა
მართვა ექსპერტების მიერ	მართვა მენეჯერების მიერ, ექსპერტთა რჩევების საფუძველზე
საჯარო აღმინისტირება	მომსახურების ორგანიზაცია
მეტი ყურადღება ფონდებზე	მეტი ყურადღება მომსახურებელთა საჭიროებებზე
პასიური პერსონალი	მომსახურე პერსონალის განვითარება
გეილორისტული შრომის განაწილება	სამუშაოს განაწილება პროცესზე ორიენტირებით
ბუნდოვანი მიზნები და ამოცანები	პასუხისმგებლობებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლების მუსტი განსაზღვრა
იმოლაცია მმართველ ორგანიზაციისა და მომხმარებლისაგან	სათავო ორგანიზაციაში ინტეგრირება

ჩემი ლექციის მთავარი აზრი არის ის, რომ სანამ წინ წახვალ, ყოველთვის უკან გავიხედოთ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცვლილებები სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, საჭირო და

ჭკვიანურია, რომ შევჩერდეთ და ყველაფერი კარგად გავიანბროთ. აშკარაა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები ბიბლიოთეკის ყველა მოთხოვნას შეიძლება პასუხობდეს, მაგრამ ბიბლიოთეკების ძირითადი პრობლემა არ არის საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება და განვითარება. ბიბლიოთეკის მთავარი ფუნქციაა ინფორმაციის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება, საიმედოობა და ამ ინფორმაციის დროული მიწოდება ცალკეულ პირთათვის, ჯგუფებისა და ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც ისინი ემსახურებიან; აგრეთვე მთელი სამოგადოებისათვისაც.

მსურს დავასრულო ციტატით ვილნიუსის უნივერსიტეტის გამოცემაზე „საინფორმაციო მეცნიერებანი“ (1994:1,) წამძღვარებულ რენა-ლდას გუდაუსკასის სარედაქციო წინასიტყვაობიდან:

„ლიგვა ინფორმაციის ბაზარი ხდება. ახლად შექმნილი საინფორმაციო სამოგადოება სრულიად განსხვავებული იქნება ინდუსტრიული სამოგადოებისაგან. ახალ ეპოქაში წარმატების მისაღწევად საჭიროა ინფორმაციის უკეთესი მენეჯმენტი. დღემდე ლიგვაში ძირითადად მეტი ყურადღება საინფორმაციო ტექნოლოგიების მენეჯმენტს ეთმობოდა. ორგანიზაციებმა უნდა გაიგონ, რომ თვით ინფორმაცია ძლიერი იარაღია და უნდა მართონ იგი, როგორც რესურსი, რომელიც სტრატეგიულად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შრომა და კაპიტალი“.

ეს მოგადი ჭეშმარიტებაა და ლიგვა შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი სხვა ქვეყნის სახელწოდებით.

„საერთაშორისო სემინარი ბიბლიოთეკების მენეჯმენტისდარგში. 1996 წ. ვილნიუსი (ლიტვა)“ ინგლისურიდან თარგმნეს: თ.წიკლაურმა (სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი) ნალიბეგაშვილმა (საქართველოს სახელმწიფო წიგნის პალატის თანამშრომელი)

The author on his own experience and reveals those problems that exist or may exist in the transition process of a library. Goran Gelerstam's Article

დაუსწრებელი მოგზაურობა თემაზე: „ტივით მდინარე მტკვარზე“

ნათელა ლობჯანიძე
ქ.რუსთავის ი.გოგებაშვილის სახ. N1 საბავ-
შვო ბიბლიოთეკის გამგე



ლ.ასათიანის სახელო-
ბის რესპუბლიკურმა ბიბ-
ლიოთეკამ დაუსწრებელი
მოგზაურობა შემოგვთა-
ვაზა თემაზე: „ტივით მდ-
ინარე მტკვარზე“. ქ.რუს-
თავის ი.გოგებაშვილის
სახელობის N 1 საბავშვო
ბიბლიოთეკასთან ერთად
ამ ღონისძიების მონაწი-

ლე იყო ქალაქის 16 საშუალო სკოლაც.

მოგზაურობის მიზანი იყო საფუძვლიანი
ცოდნა მიელო ნორჩ მკითხველებს ამიერკავკა-
სიის უდიდესი მდინარის შესახებ, გაეცნოთ მას-
თან დაკავშირებული ისტორიული ფაქტები, სიგ-
რძე-სიგანე, შესართავი, შენაკდები და მისი დი-
ნების მიმართულებები, თუ საიდან მოედინება
და სად ჩაედინება, რა სასიცოცხლო თვისებები
გააჩნია და სხვ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ სკო-
ლის პროგრამაში შეტანილია და მეოთხე კლას-
ებში ისწავლება საგანი „დედა-ბუნება“; ბავშვ-
ები ეცნობიან გარემოს: მთებს, ბორცვებს, მდი-
ნარეებს და მათ შორის დედა მდინარეს – მტკ-
ვარს.

რუსთავის ი.გოგებაშვილის სახ. N 1 საბავ-
შვო ბიბლიოთეკაში მოეწყო ლიტერატურის
მდიდარი გამოფენა: „ტივით მდინარე მტკვარზე“,
„რუსთავი და მტკვარი“, „ჩვენი დედა მდინარე“.
გამოფენილი მასალა ეხება ქალაქის ისტორიას,
რუსთავისა და მტკვრის ურთიერთობის პრო-
ბლემებს, ხალხის ცხოვრებას, მტკვრის მარცხენა
და მარჯვენა სანაპიროთა თავისებურებებს, მდი-
ნარის სასიცოცხლო მნიშვნელობას.

ჩატარდა ღია გაკვეთილი ბუნებაში და ლი-
ტერატურული საღამო „ტივით მდინარე მტკვარ-
ზე“, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს
16 სკოლის მე-4 კლასების ხელმძღვანელებმა
მარინა ქურდაძემ და რაისა მურჯიკნელმა, ი.გო-
გებაშვილის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკის

თანამშრომლებმა, მშობლებმა, მკითხველებმა.
საღამომე სიგყვით გამოვიდნენ მოსწავლეები:
ს.კეშელავა, ლ.დემეტრაშვილი, შ.ჩუბინიძე და სხ-
ვები. გაიმართა მონტაჟი: „ფიქრები მტკვარზე“,
სადაც წაიკითხეს ქართული პოეტიკის ლექსები:
ნ.ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, მუხ-
რან მაჭავარიანის „ვითარცა მტკვარი“, ანა კა-
ლანდაძის „არ იფიქროთ უცყვია მტკვარი“, სა-
იათნოვას „მტკვარო ამღვრეული“ და სხვ.

დასასრულს ბიბლიოთეკის გამგემ ნათელა
ლობჯანიძემ სიგყვით მიმართა ბავშვებს: –სკო-
ლაში, სადაც თქვენ სწავლობთ, მე-4 კლასიდან
ისწავლება „დედა-ბუნება“. ამიგომ ჩვენი მიზანი



იყო თქვენთვის
საფუძვლიანად
გაგვეცნო დედა
მდინარე მტკვა-
რი. ბევრის მომს-
წრება ეს მდინა-
რე: როცა საქარ-
თველოს მტერი
ეხსმობა, ბევრ-

ჯერ შეღებოდა იგი ქართველთა სისხლით. აკი
ამბობს ნიკოლოზ ბარათაშვილი: „ვინ იცის, მტკ-
ვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იგყვი, მრავ-
ალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უცყვი...“
მაგინავე ვვამცნობს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელ-
თაღრიცხვამდე, რუსთავ ქალაქში ცხოვრობდა
ხალხი, რომელსაც გაშენებული ჰქონდა ბაღ-ბოს-
ტნები. ცდილობდნენ როგორმე მტკვრის სიახ-
ლოვეს დასახლებულიყვნენ, რათა იგი სარწყა-
ვად გამოეყენებინათ; მათი ძირითადი სასიცო-
ცხლო წყარო მტკვარი იყო...(აკი აღრე რუსთავ
ქალაქს ბოსტან-ქალაქს უწოდებდნენ).

ამ თემასთან დაკავშირებით მოეწყო ვ.გუ-
ხაიას წიგნის „მტკვარი – საქართველოს დედა-
მდინარეს“ განხილვა. ჩატარდა საუბრები, გაკე-
თდა სარეკომენდაციო სია, თემატური კარგო-
თეკა და სხვ. მოგზაურობა გრძელდება!

თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების 41-ე ბიბლიოთეკაში მისულთ წიგნსაცავიდან ხის ჭედვის ხმა შემოგვესმა. დაფინგერესდით, რა ხდებოდა. ბიბლიოთეკის გამგემ ქალბატონმა ვენერა ქვანიამ ღიმილით გადმოგვხედა და წიგნსაცავში შეგვიძღვა. დაფინახეთ, იქ ხელოსანი ამოცვივრულ პარკეტს აგებდა და მონდომებით საქმიანობდა. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგეთ, რომ ეს ხელოსანი არის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველი ალექსი ჯამაგაშვილი – ელმავლის მემანქანე, რომელსაც გარდა თავისი პროფესიული საქმიანობისა, მშეენივრად ეხერხება დურგლობა, ბეინკლობა, შედუღება, შუშების ჩასმა. ერთი სიტყვით, უნივერსალური ხელმარჯვე ოსტაგია, და რაც მთავარია, სავსებით უანგაროდ ეხმარება ბიბლიოთეკას და ძალღონეს არ იშურებს, შეაკეთოს ყველაფერი, რაც ამას მოითხოვს. ბიბლიოთეკის გამგემ ყველაფერი დაგვათვალეერებინა, რასაც ბატონი ალექსის ხელი შეხებია.

ალექსი ჯამაგაშვილი 41-ე ბიბლიოთეკის მკითხველია 1973 წლიდან, როცა გაიხსნა ეს ბიბლიოთეკა. მას შემდეგ აქაურობის ხშირი სტუმარია, სარგებლობს ბიბლიოთეკის მდიდარი ფონდით, მონაწილეობას იღებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. იგი სასიამოვნო მოსაუბრე და საკმაოდ ერუდირებული პიროვნებაა. აქვს თავისი სულიერი სამყარო, მისწრაფებები, ინგერესები. გავიგეთ, რომ ლექსებსაც წერს. ჩვენი თხოვნით რამდენიმე წაგვიკითხა და მოგვხიბლა მისმა უშუალობამ და გულწრფელობამ, ადამიანურმა სიკეთემ, ჰუმანურობამ და

კეთილშობილებამ. სწორედ ამის ნიმუშია მისი ლექსი „აფხაზ ძმებს“.

„...საქართველოს ცაჴმ
ჩვენ ერთი ჴჴმ გვენთო,
მარბამ სხვა ხანმარი
გულჴმ შამოგვენთო.

– კითხულობს მითრთოლვარე ხმით და გრძობ, რამდენად მართალია მისი ყოველი სიტყვა. ასეთივე ექსტაზით განაგრძობს შედეგ:

„... ააოოჴრღა ცაცელი
სისხლისა და ცრემლის,
გაჴრღოი შამოგვიღვანე
შჴჴაჴჴი კრჴჴლის.
ოჴჴა შიჴირა
ჴაჴჴაჴჴი ჩჴჴნი,
და შიჴილეთ შისგან
მჴცერი განაჩჴნი.

საჴიროა მჴჴო,
შჴრიგჴჴა ვცალოთ,
ჴიროი ერთმანეთი
ჴიღჴჴ გჴოვცალოთ
მჴჴარა გჴიმარჴჴჴჴს
მჴჴილოგა და მჴოგა
და იჴჴჴაა მჴჴარი
ჩჴჴნი მჴჴოგოგოგა.”

ჩვენც ვუერთდებით ამ მოწოდებას. გვჯერა მომავლის. გვჯერა ამ უშუალო, გულწრფელი კაცის, რომელსაც საზოგადო საქმე თავისად აქვს ქცეული. მადლობის მეტი რა ეთქმის ასეთ ადამიანებს, რომლებიც ჩვენ, ბიბლიოთეკარებს ძალას გვმაგებენ და ჩვენი ენთუზიამშიც სწორედ ამ ძალაბეა დაფუძნებული.

ბატონი ალექსი ხშირად შემოივლის ხოლმე ბიბლიოთეკაში, ყოველთვის იმის ცდაშია, რაღაცით ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკას. „ხომ არაფერი გიჴირთ? რაში დაგეხმაროთ?“ – ხშირად იკითხავს და მუდამ მზადაა, ბიბლიოთეკას გვერდში ამოუდგეს. აქაურობა მას მეორე ოჯახად მიიჩნია. მადლობა მას!





ბიბლიოგრაფიის ადგილი ივანე ჯავახიშვილის მცნეარულ მემკვიდრეობაში
(მისი დაბადებიდან 125 წლისთავის ბაშო)

გურამ თაყნიაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის
ცენტრის უფროსი

ივანე ჯავახიშვილმა თავისი მეცნიერული მემკვიდრეობის შექმნის პროცესში შეისწავლა, დაამუშავა და დაიმოწმა უამრავი ისტორიული დოკუმენტი, ხელნაწერი და საარქივო მასალა; ქართული და უცხოური გამოკვლევები. ამ სამუშაოს დიდი მეცნიერი ასრულებდა იშვიათი ბიბლიოგრაფიული კულტურით, მაღალი მწეობრივი პრინციპებითა და უცყუარი მეცნიერული ალლოთი.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის აუცილებლობასა და დანიშნულებაზე ბატონი ივანე მიუთითებდა ადრევე, პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში სწავლის პერიოდში. სწორედ ამ დროს, 1897 წელს, მან შეადგინა გაზეთ „ივერიის“ 1888-1896 წწ. ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლების შედგენა მიიჩნდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიაში მოსწავლე ქართველ სტუდენტთა მიერ ჩამოყალიბებულ სამეცნიერო წრის საპატიო ამოცანად. სტუდენტთა სამეცნიერო წრემ ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციით ხელი მოჰკიდა ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შედგენას. ბიბლიოგრაფიული მუშაობა მიმდინარეობდა 1908-1912 წწ. 1915 წლისათვის დასაბეჭდად მზად იყო საქართველოში 1852-1910 წწ. გამოცემული პერიოდული და გრძელვადი გამოცემების ანალიტიკურად დამუშავებული მასალა. ეს ნაშრომი პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიამ შეისყიდა და გამოაქვეყნა 1916 წელს სახელწოდებით: „ქართული ბიბლიოგრაფია: ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი“.

აღნიშნული ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობდნენ: ი.ჯავახიშვილი, ი.ყიფშიძე, შ.დადიანი, კ.დონდუა, ვ.ბერიძე, ა.ლორთქიფანიძე, კ.ბუაჩიძე, გ.ჩიგაია, მ.ჭუბაბრია, ა.შანიძე და სხვები.

ბიბლიოგრაფიაში წარმოდგენილი მასალა სისტემატიზებულია დარგობრივი წესით. სულ აღწერილია 2460-ზე მეტი სტატია, საინფორმაციო მასალა, მხატვრული ნაწარმოები, კორეს-

პონდენცია და სხვ. ბიბლიოგრაფიას დაერთვის რუსულ ენაზე შედგენილი წინასიგყვაობა, რომელიც შეუდგენია იოსებ ყიფშიძეს. მასვე ეკუთვნის ბიბლიოგრაფიის თანმხლები ორი საძიებელი: ავგორთა და საგანთა. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერი მოიცავს აღწერილი მასალის ძირითად ელემენტებს: ავგორი, სათაური, სათაურთან დაკავშირებული ცნობა; წყარო ნაჩვენებია აბზაციით, მითითებულია წელი და ნომერი.

როგორც ი. ყიფშიძე წინასიგყვაობაში აღნიშნავს, ეს ბიბლიოგრაფიული ნაშრომი, როგორც პირველი ცდა ასეთი ხასიათის ბიბლიოგრაფიისა, დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან. მისივე თქმით, ზოგიერთი მასალა ისე მოკლედაა აღწერილი, რომ ძნელი ყოფილა განესაზღვრათ, რომელი განყოფილებისათვის მიეკუთვნებინათ იგი.

თანამედროვე თვალთახედვით თუ შევაფასებთ ამ ნაშრომს, დავრწმუნდებით, რომ სტუდენტებს უაღრესად დიდი და საჭირო საქმე გაუკეთებიათ; თავისთავად „ქართული ბიბლიოგრაფია“ ნათელი ფურცელთაგანია სამამულო ბიბლიოგრაფიის ისტორიაში.

1913 წელს შემოაღნიშნულმა სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამგეობამ მიმართვა გაუგზავნა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და წიგნის გამომცემლებს, სადაც ისინი ასაბუთებდნენ ბიბლიოგრაფიის შედგენის აუცილებლობას და შემწეობას სთხოვდნენ დაწყებულ საქმეში. აღნიშნული მიმართვა იმავე წელს დაიბეჭდა „სახალხო გაზეთში“ ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერით.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა ივანე ჯავახიშვილმა 1915 წელს გამოცემულ „კრებულში“. ამ წიგნში დაიბეჭდა პეტერბურგის საიმპერატორო აკადემიის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომები, რომელთა ავგორები იყვნენ ახალგაზრდა მკვლევარები: ი.ანთაძე, შ.დადიანი,

დ.კაკაბაძე, მ.თარხნიშვილი, გ.ჭუმბურიძე, ა.შანიძე და სხვ. კრებულს წინ უძღოდა ი.ჯავახიშვილის მიერ დაწერილი ვრცელი წინასიტყვაობა, სადაც ავტორი მიმოიხილავს კრებულში შესულ ნაშრომებს. ეხება რა ბიბლიოგრაფიის საკითხებს, ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ეს საქმე ერთ-ერთი მნიშვნელოვანია წრის მეცნიერულ მუშაობაში: „ასეთ ბიბლიოგრაფიაში, - წერს ავტორი, - მოთავსებული უნდა იყოს ყველა ცნობები ქართულად და უცხო ენებზე დაწერილ თხზულებათა შესახებ, რომელნიც ქართველთა წინანდელსა და აწინდელის მიწაწყლის, ბუნებისა თუ ყოფაცხოვრების, ენისა, დამწერლობის, სამართლისა თუ ხელოვნების და მრავალ სხვის აღწერილობას, გამოცემას, ან შესწავლას შეიცავენ და შესწავლისათვის მასალად გამოდგებიან“ („კრებული“, გვ.1). ივანე ჯავახიშვილი კარგად აფასებდა იმდროინდელი ქართველი მეცნიერებისათვის იმ მასალების მნიშვნელობას, რომლებიც დაბეჭდილი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართულ პერიოდულ გამოცემებში. ამ მასალათა გამოძიებურებასა და მის სისტემატიზაციას ხელი უნდა შეეწყოს იმ მეცნიერული კვლევებისათვის, რისთვისაც ესოდენ დიდ ენერგიას ხარჯავდნენ იქ მოსწავლე ქართველი სტუდენტები.

ქართული ჟურნალ-გაზეთების ანალიტიკური დამუშავების მნიშვნელობის შესახებ საგანგებოდ მიუთითებდა დიდი მეცნიერი: „განსაკუთრებით საჭირო იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეულ მრავალსაყურადღებო მასალების, აღწერილობათა და გამოკვლევების ნუსხა, რომ ქართველს, თანამედროვე მეცნიერებს მუშაობა გაადვილებოდა და ხელმეორედ არ მოხდომოდა იმის გაკეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო (ამგვარი საქმე ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო ჩვენში არა ერთსა და ორს მკვლევარს დაჰმართენია)“.

ბიბლიოგრაფიული მუშაობის ადგილისა და დანიშნულების საკითხებს არა ერთხელ მიუბრუნდა მკვლევარი; მის მიერ დამოწმებული წყაროების სიზუსტე და მეცნიერული კეთილსინდისიერება ნათლად მეტყველებს ი.ჯავახიშვილის დამოკიდებულებაზე სხვა ავტორთა ნაშრომებისადმი.

ქართული წიგნის ისტორიის, საწერი მასალების, წიგნთან და ბიბლიოგრაფიასთან დაკავშირებული გერმინების პრობლემები ღრმად მეცნიერული დონითაა გამოკვლეული ი.ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“, რომლის პირველი გამოცემიდან (1926) გავიდა 75 წელი. ნაშრომში უამრავი ქართული და უცხოური წყაროა დამოწმებული და ციტირებული. წიგნი აღჭურვილია სათანადო საძიებო აპარატით, რაც მისი ავტორის ბიბლიოგრაფიულ განსწავლულობაზე მეტყველებს.

როდესაც ივანე ჯავახიშვილის ბიბლიოგრაფიის საკითხებისადმი დამოკიდებულებაზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მან, ერთ-ერთმა პირველმა ქართველმა მკვლევართაგანმა ასე ნათლად და აშკარად მიუთითა ბიბლიოგრაფიის დანიშნულებაზე, და არა მარტო მიუთითა, თვითონ შექმნა ანალიტიკური ბიბლიოგრაფია ქართული გაზეთისა და კონსულტაცია გაუწია ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის დიდგანიანი ნაშრომის შედგენას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი.

წინამდებარე წერილს არა აქვს ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემვიდრეობაში ბიბლიოგრაფიის ადგილის შესახებ სრულყოფილი ნაშრომის პრეტენზია. ეს პრობლემა მეგ სიღრმისეულ გამოკვლევას საჭიროებს.



ალექსანდრა ლორია

ასი წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნისა და ბიბლიოგრაფის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ გიორგის ძე ლორთქიფანიძის დაბადებიდან.

მან ერთობ მძიმე, მაგრამ საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლო. დაიბადა 1901 წლის 29 ივნისს ქუთაისში, აქ გაატარა ბავშვობა, აქ დაამთავრა გიმნაზია, აქ დავაუკაცდა, აქ გახდა მოწმე იმ მღვდვარებისა, მშფოთვარე დღეებისა, რომლებიც დიდ რევოლუციურ მოძრაობებს თან ახლდა. ნიჭიერ ახალ-



გამრდას საკმაოდ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში მოუხდა სწავლა და პროფესიული დაოსტატება. მამით აღრე დაობლებულ სამქმას დედა მრდიდა თავისი პედაგოგის მცირე ხელფასით და ნიკოც, როგორც უფროსი, ცდილობდა როგორმე შეემსუბუქებინა მშობლისათვის მძიმე გვირთი.

სვედანარევე გკბილ მოგონებად დარჩა მას ქუთაისში გატარებული წლები. ერთხელ, როცა დიდი ხნის შემდეგ, უკვე ჭარმაგს მოუხდა ჩასვლა მშობლიურ ქალაქში, სველი თვალებით ათვალეიერებდა ყველაფერს. დიდხანს შეჩერდა თავიანთ ნასახლართან, ქალაქის პარკში, თეთრ ხიღმე, მაგრამ განსაკუთრებული გულისძგერით შეჰყურებდა ძველ გიმნაზიას, რომელთანაც მას ყმაწვილობის მრავალი მოგონება აკავშირებდა. ეს იყო მისი ბოლო ჩასვლა ქუთაისში, მასთან უჩინარი გამოთხოვება.

1921 წელს ნიკო ლორთქიფანიძე თბილისში უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გატაცებულია პედაგოგიკით. გამუდმებულმა დამქანცველმა შრომამ, მძიმე მაგერიალურმა პირობებმა შეარყია მისი ჯანმრთელობა, მაგრამ არასოდეს არ უთქვამს უარი აქტიურ შემოქმედებით თუ პრაქტიკულ მო-

ღვაწეობაზე. სტუდენტობის პერიოდშივე შეუდგა საქმიანობას. 1921 წელსვე დაიწყო მუშაობა წითელი არმიის ქართული დივიზიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

20-იან წლებში კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობის პირობები ძალიან მძიმე იყო. დრო მოითხოვდა, საბიბლიოთეკო სფეროში რადიკალური ცვლილებები მომხდარიყო, რაც მაღალკვალიფიციური კადრების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამიგომაც ჩვენმა კორიფეებმა ივანე ჯავახიშვილის თავკაცობით თავიანთი მოღვაწეობის დაწყებისთანავე გადამჭრელი მომები მიიღეს დიდი ბიბლიოთეკების განვითარებისა და ქართული ბიბლიოგრაფიის სრულყოფისათვის. თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი პირველ ხანებში ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობდა. ზოგი მათგანი უშუალოდ მსახურობდა კიდეც ბიბლიოთეკაში.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ნ. ლორთქიფანიძე უარს ამბობს თავისი სპეციალ-



ნიკო ლორთქიფანიძე (მარჯვნიდან პირველი) საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ერთად (1950 წ.)

ბით განაგრძოს მუშაობა და მგკიცედ გადაწყვეტს, საბიბლიოთეკო საქმეს დაეუფლოს. მალე მას სკოლისგარეშე მუშაობის სახლთან არსებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის საბჭოს წევრად ირჩევენ. ჯერ კიდეც სტუდენტს, 1924 წლიდან საქართველოს პირველ სა-

ბიბლიოთეკო კურსებზე ბიბლიოთეკათმცოდნეობაში ლექციების კითხვას ანდობენ.

1925 წელს იწყება მისი ნამდვილი პროფესიული საქმიანობა. იგი მუშაობას იწყებს წიგნის პალატაში რედაქტორ-ინსტრუქტორად. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გმის სათავე. პალატის მიერ მისი რედაქციით გამოდის პირველი ქართული

„წიგნის მაგნიანი“, რომელშიც 1917-1925 წლების ქართული წიგნის რეპერტუარი აისახა. 1930 წელს მისი თაოსნობით წიგნის პალატამ გამოსცა „გეორგიკის ბიბლიოგრაფია“, რომელიც უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო ქართველოლოგიური ლიგერაგურის ბიბლიოგრაფირების საქმეში.

1929 წელს ნიკო ლორთქიფანიძეს, უკვე გამოცდილ სპეციალისტსა და ენერგიულ ორგანიზატორს საქართველოს რევოლუციურ მუშეუმთან შექმნილ ბიბლიოთეკის გამგედ ნიშნავენ. სულ ორი წელი დაჰყო მან აქ, მაგრამ წარუშლელი კვალი დატოვა. გარდა იმისა, რომ აქ მან საუკეთესო სამუშაო აგმოსფერო შექმნა, ენერგიული მოღვაწეობის შედეგად ბიბლიოთეკა გაამდიდრა პროფილური ლიგერაგურით. თავი მოუყარა მთელ ქვეყანაში მიმოფანტულ რევოლუციამდელ პერიოდიკას, შეადგინა არალეგალური ფურცლების ანოტირებული კარგოთეკა.

1931 წლიდან უკვე სავსებით დახელოვებული და გამოცდილი მუშაკი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით გამდიდრებული სპეციალისტი – ნიკო ლორთქიფანიძე მოღვაწეობას იწყებს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის კაბინეტის გამგედ და თანაც სწავლული მდივნის მოვალეობასაც ასრულებს. აქ ნათლად გამოჩნდა მისი ცოდნა და უნარი – მეცნიერულად მიუდგეს საბიბლიოთეკო პრაქტიკის განვითარების საქმეს. საბჭოთა კავშირში პირველად მან მოაწყო წიგნის დამუშავების პროცესების ქრონომეტრაჟული გამოკვლევა, რის საფუძველზედაც ახალი ნორმატივები შეიმუშავა. ის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სათავე დაუდო საბიბლიოთეკო პროცესების ნორმირებას და ამ ნორმათა გამოყენებას გეგმების გეგნიკური გაანგარიშების დროს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მან რესპუბლიკური ბიბლიოთეკის რეორგანიზაციისა და შრომითი პროცესების მოწესრიგების საქმეში. მისი რეკომენდაციით შეიქმნა ახალი სტრუქტურა, შედგა პირველი სრულყოფილი დებულება, დამუსგდა საშტაგო განრიგი, ჩატარდა კატალოგების რედაქცია, გაძლიერდა საძიებო სამსახური, ამაღლდა შრომის დისციპლინა. უდავოდ დიდი წვლილი შეიტანა მან იმაში, რომ 30-იან წლებში რესპუბლიკური ბიბლიოთეკა მძლავრ მეცნიერულ ცენტრად იქცა. ნამდვილად მთელი კოლექტივისათვის საამაყო იყო

ის, რომ ნ.ლორთქიფანიძის მიერ სამუშაოთა პროცესების დაგეგმვის მეთოდოლოგიას უაღრესად მაღალი შეფასება მისცა ბიბლიოთეკათმცოდნეობის საკავშირო კვლევითმა ინსტიტუტმა. 1933 წელს ნ.ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა კავშირის მასშტაბით განზოგადდა და ბევრმა ბიბლიოთეკამ გადაიღო იგი.

1938 წელს ა.ს.პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საქართველოში პირველად გაიხსნა ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტი. ნ.ლორთქიფანიძე გ.ბაქრაძესა და გ.გიორგიძესთან ერთად წარმოადგენდა



ამ ფაკულტეტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ორგანიზატორს. აქედან მოყოლებული ღრმა მოხუ-

ცებულობამდე მას თავი არ გაუნებებია უმაღლესი საბიბლიოთეკო კადრების მომზადების საქმისათვის. 1942 წელს ის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ ინიშნება. ამ პოსტზე კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, მისი უნარი თანამშრომლებთან საქმიანი ურთიერთობისა. ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყება მას ძალიან მძიმე პირობებში მოუწია; ბიბლიოთეკის ძველი მუშაკები ახლაც იხსენებენ, რა რთულ ვითარებაში უხდებოდათ მუშაობა – ელექტროენერგიის უქონლობა, ბიბგეჟნიკის სიმცირე, შეკვეცილი ბიუჯეტი, მაღალკვალიფიციური კადრების დენადობა, საერთო ეკონომიკური გასაჭირი ... მართალია, ომის ქარცეცხლიან დღეებში ბიბლიოთეკა აღრინდელი შემართებით ვერ იმუშაებდა, მაგრამ არც დაქვეითებულა. მოგი მიმართულეებით წარმატებასაც მიაღწია, განსაკუთრებით მეცნიერული და ბიბლიოგრაფიული პროდუქციის შექმნის თვალსაზრისით. ნ.ლორთქიფანიძის ენერგიული მხარდაჭერით რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში დაიწყო ქართული პერიოდიკის ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის გომების გამოცემა. გამოსვლას იწყებს ბიბლიოთეკის „შრომები“. დაწესებულება იქცა რესპუბლიკაში მეთოდიკისა და თეორიის დამუშავების ნამდვილ ცენტრად, რამაც უდიდესი წვლილი მიუძღოდათ ივანე ციციშვილსა და ნიკო ლორთქიფანიძეს.

დაბებული შრომის მიუხედავად, ნ.ლორთქიფანიძე ახერხებს აქტიურად იმოღვაწეოს მეცნიერულ სარბიელზე. კითხულობს ლექციებს ბიბლიოთეკათმცოდნეობასა და პედაგოგიკის ისტორიაში, ხოლო 1948 წელს წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას, შემდგომში კი დოცენტის წოდებასაც ღებულობს. მიუხედავად წარმატებული პრაქტიკული მოღვაწეობისა, მის სტიქიად მაინც მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობა რჩებოდა მუდამ. ამიგომაც, როცა დაისვა საკითხი, რომ მას ერთ-ერთი გზა აერჩია: ან პრაქტიკული მოღვაწეობა, ან ინსტიტუტი, მან უყოყმანოდ ეს უკანასკნელი აირჩია.

1961 წელს ნ.ლორთქიფანიძეს ახალჩამოყალიბებულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის კათედრის გამგედ ირჩევენ. ამ თანამდებობაზე ის თითქმის პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა.

კათედრაზე სრულყოფილად გაიშალა მისი შემოქმედებითი უნარი, მეცნიერული და პედაგოგიური შესაძლებლობანი. 40 წლის განმავლობაში ათასობით სტუდენტი აღზარდა და ყველა მათგანი აღვსილი იყო მისდამი ღრმა პატივისცემით.

ძნელია სრულყოფილად შეაფასო ის ღვაწლი, რაც ნიკო ლორთქიფანიძემ საბიბლიოთეკო საქმესა და ბიბლიოთეკათმცოდნეობას დასდო. მისი სტატიები, მეთოდური წერილები, თემისები ხუთ ათეულს აჭარბებს, მისი წიგნები და ბროშურები დაუფასებელია დარგის სპეციალისტებისათვის. ისინი აშკარად გამოიჩინებენ აქტიულობით, პრობლემების დასმით, საკითხების საინტერესოდ გადაწყვეტით და ღრმა ანალიზით, უბრალო, სადა, გასაგებად წერის მანერითა და ენით.

1939 წელს გამოიცა ნ.ლორთქიფანიძის პირველი მეთოდური სახელმძღვანელო „საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზაცია“, რომელიც გეგმიური მუშაობის მეთოდიკაში დიდხანს ითვლებოდა ერთ-ერთ მთავარ ნაშრომად. 1940 წელს გამოდის მისი პირველი მონოგრაფია „საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის სისტემები“, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოში საკატალოგო სისტემების ისტორიის კვლევას. ასევე საქართველოში ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოიწყო კვლევა-ძიება ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის არსის გარკვევისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი სტატია „ბიბლიოთეკოლოგია, მისი საგანი და სწავ-

ვლება“, რომელიც 1948 წელს გამოქვეყნდა „ბიბლიოგრაფიის მოამბეში“, აგრეთვე 1967 წელს გამოქვეყნებული ბროშურა „ბიბლიოთეკათმცოდნეობა, მისი საგანი და ამოცანები“, მაგრამ განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა ნ.ლორთქიფანიძემ კატალოგების მეცნიერული და მეთოდური საფუძვლების დამუშავების საქმეში. მისი წიგნები: „სისტემატური კატალოგი“ (1957), „საგნობრივი კატალოგი“ (1959), „ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის სისტემები სსრ კავშირში“ (1960), „ბიბლიოთეკების კატალოგების ორგანიზაცია“, „ცენტრალიზებული კატალოგიზაცია“ (1961), „საბიბლიოგრაფიო კლასიფიკაციის ისტორია“ (1962), „განსაკუთრებული სახის გამოცემების კატალოგიზაცია“, „უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაცია და მისი გამოყენების წესები“ (1964), „ბეჭდური გრაფიკის კატალოგიზაცია“ (1967), „საბიბლიოთეკო მუშაობის დაგეგმვა“ (1969) უმნიშვნელოვანეს ნაშრომებს წარმოადგენს როგორც მეცნიერული სიღრმით, ისე ახალი მეთოდური რეკომენდაციების თვალსაზრისით.

1960 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ნ.ლორთქიფანიძის შრომა „სსრ კავშირის გეოგრაფიული მსაზღვრელები“, რომელიც ფართო პოლემიკის საგნად იქცა. მის მიერ შეთავაზებული სიახლის გამო ავტორმა ბევრი სამართლიანი თუ უსამართლო თავდასხმა განიცადა. ამან დიდად შეუწყო ხელი სსრკ გეოგრაფიული მსაზღვრელების დამუშავების დროს დამუსტებისა და არსებულ სქემებში სერიოზულად ჩახედვასა და განსჯას.

ფრიად საგულისხმო იყო ნ.ლორთქიფანიძის გამოსვლა მოსკოვში 1959 წელს სამეცნიერო თათბირ-სემინარზე, რომელიც ახალ საკლასიფიკაციო სისტემას (ბბკ) ეძღვნებოდა. მისი ბევრი მოსაზრება კრიტიკულად იქნა შეფასებული და დიდი მსჯელობის საგნად იქცა. ნ.ლორთქიფანიძის ბევრი წინადადება, თამამი მოსაზრებები მაშინ არ მიიღეს, მაგრამ წლების შემდეგ უკვე ბევრი რამ სხვების მიერ გაცხადებული, განხორციელებულ იქნა.

შრომის უნარი, საკვლევი საგნისადმი უაღრესად სერიოზული დამოკიდებულება, ფართო ხედვა, პერსპექტივის ნათლად განსჭვრეტა, სიახლისადმი თამამი მიდგომა – აი, რა ახასიათებდა მას, როგორც მკვლევარსა და მეცნიერს.

შთამბეჭდავი იყო თავისი პიროვნული თა-

ვისებურებით – მაღალი, წარმოსადეგი, სახის სრულყოფილი ნაკვებით, ლამაზი პირისახით ... ბოლოს, უკვე მთლად გაჭაღარავებული, დიდებულ შთაბეჭდილებას გოვებდა. დახვეწილი ქცევით, თავაზიანობით, საუბრით, გამოხედვით მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენდა. ყველა მოწიწების გრძნობით იმსჭვალებოდა მის მიმართ. იყო უაღრესად მოკრძალებული, თავმდაბალი, პუნქტუალური, მაგრამ გამეხებაც მაგარი იცოდა, როცა ამას სიგუაცია მოიგანდა; დაურიღებლად, პირდაპირ იცოდა ადამიანის მხილება. განსაკუთრებით ვერ იგანდა არასერიოზულობას. ასეთ შემთხვევაში ხშირად თავს შეურაცხყოფილადაც კი გრძნობდა. იცოდა ხმამაღალი გაჯავრება, განაწყენებაც იცოდა, მაგრამ გულში არაფერს ჩაიხვევდა. დამუქრებაც იცოდა, მაგრამ ყალბად – არასოდეს არ ასრულებდა დაქაღნებულს. მობოდიშებაც ეხერხებოდა, დრო და დრო იუმორიც. დიდხანს არასდროს გაყვებოდა ცუდი გუნება. დაყვავებაც იცოდა, გათამამებაც, მაგრამ ქებაზე ძალიან ძუნწი იყო; სამართლიანობა და შეუვალობა ახასიათებდა. ერთიც იყო – არასოდეს არავის თავის გასაჭირს, მძიმე განწყობილებას თავს არ მოახვევდა. იყო უაღრესად დი-


დი მოქალაქე და ინტელიგენტი, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ამიგომაც უყვარდა ყველას, ამიგომაც აფასებდნენ.

გარდაიცვალა 1981 წელს. ხშირად უთქვამს: დაბარებული მაქვს, როცა გარდავიცვლები, არავითარი ცერემონიალი არ გამიმართონ, არავითარი პროცესია არაა საჭირო. თავის დროს კატეგორიული უარი განაცხადა იუბილის გადახდამე და გაიგანა კიდეც თავისი, მაგრამ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ვერ შეუსრულეს დანაბარები: დიდი გულისგკივითლით გააცილეს უკანასკნელ გზაზე მისმა კოლეგებმა, აღზრდილებმა, თაყვანისმცემლებმა, ნათესავ-მეგობრებმა.

არ დაიკარგა ის ჯანსაღი მარცვალი, რომელიც ნიკო ლორთქიფანიძემ დათესა. თუ კაცის ღვაწლი იმით იზომება, ხალხისთვის, სამოგადოებისათვის თავისი ცხოვრების რა ნაწილი დაუთმია, მაშინ ნიკო ლორთქიფანიძის სახელი იმ უანგარო, ღვაწლმოსილ ადამიანთა შორის უნდა მოვისხენიოთ, რომელთაც პირნათლად მოიხადეს ვალი ქვეყნის წინაშე.

კოლეგია



პასუხი ლევან თაქთაქიშვილის სტატიაზე „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მესამე ნომერი კრიტიკის თვალთ

ნანა ქავთარაძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის მეთოდისტი

გაჯიშთ „ქართული წიგნის“ 2001 წლის დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა ლევან თაქთაქიშვილის სტატია „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მესამე ნომერი კრიტიკის თვალთ“. ავტორი ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს შორის განსაკუთრებული კრიტიკული თვალთ იხილავს სტატიას „ბიბლიოთეკა და რელიგიური ნეიტრალიტეტი“. ავტორი მიგვითითებს იმ „შეცდომებზე“, რომლებიც დაშვებულია სტატიაში. კერძოდ, წერს: „ბიბლიოთეკა არ არის ადგილი, სადაც რელიგიურ რიტუალებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება“. სიტყვა „რიტუალი“ სტატიაში სულაც არ არის ნახსენები. აქ ლაპა-

რაკია მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ბიბლიოთეკის მუშაკებმა შეიძლება ჩაატარონ: გამოფენები რომელიმე რელიგიური დღის აღსანიშნავად, ლექციები ან კითხვა-პასუხის საღამოები, ეკლესიის მსახურთა მიწვევა ბიბლიოთეკაში და ა.შ. „რიტუალი“ კი სულ სხვა რამეა – ნათლობა, ჯვრისწერა, აღსარების ცერემონიალი და სხვ. (რიტუალი – ლათ. სარწმუნოებრივი ხასიათის წესჩვეულებათა ერთობლიობა).

ბატონმა ლევანმა, როგორც ჩანს, ყურად-

ლება არ მიაქცია იმ ადგილს, სადაც გვიწერია, რომ „ბიბლიოთეკარმა პატივი უნდა სცეს ყველა რელიგიის მიმდევარს, წარმოდგენა უნდა ჰქონდეს რელიგიებისა და რელიგიური მიმდინარეობების წარმოშობასა და მის განვითარებაზე, მთავარ ღოგმაგურ სისტემებზე, წესჩვეულებებზე და რელიგიურ წიგნებზე“. ან კიდევ შემდეგ ადგილზე: „ბიბლიოთეკარმა თავისი ფუნქცია რომ შეასრულოს რელიგიური განათლების სფეროში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააჩნდეს სათანადო რელიგიური წიგნები და პერიოდული გამოცემები, როგორც ქრისტიანული, ისე სხვა რელიგიებისა“. ამ სიტყვების შემდეგ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ავტორი მიგვითითებს იმაზე, რომ „ბიბლიოთეკებიდან უნდა ამოვიღოთ ყურანი, თორა, ავესგა და ანტირელიგიური ყველა სახის ლიგერატურა“ (ლ.თაქთაქიშვილის სტატიიდან). ბოლოს იმაზე, რომ ვწერთ: „ბიბლიოთეკებში მართლმადიდებლური რელიგიის საწინააღმდეგო ამრის გამგარებელი ლიგერატურა არ უნდა დაიცვან და არ დაუთმონ თავიანთი ფართობი სხვადასხვა სექტების წარმომადგენელთ, თათბირებსა და სხვა სახის ღონისძიებებს“, მართლაც, საჭირო იყო ალბათ, უფრო დეტალურად გაგვემარგა, რომ აქ იგულისხმებოდა ისეთი სექტები და რელიგიური მიმდინარეობები, რომლებიც მავნე გავლენას ახდენენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე და აკრძალულად არიან გამოცხადებული.

სტატიის ბოლოშიც მივუთითებთ ჩვენ, რომ საბიბლიოთეკო ფონდებში დაცული უნდა იქნეს მსოფლიოს ძირითადი რელიგიური ლიგერატურა. დღეს რელიგიისა და „რელიგიური ნეიგრალიგეცის“ საკითხი ძალიან აქტუალურია. მიუხედავად ამისა, არ არსებობს ამის შესახებ არავითარი ლიგერატურა. ჩვენ შევეცადეთ მოგვეცა ბიბლიოთეკებისათვის პაგარა კონსულტაცია, რომელიც ძალიან სჭირდება დღეს ბიბლიოთეკების მუშაკებს მასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

რ მ ღ ა ქ ც ი ი

რელაქციას მიაჩნია, რომ ლ.თაქთაქიშვილის სსენებულ სტატიამ რაიმე განსაკუთრებული ღავის საკითხი არ წამოჭრილა. ერთგვარი გაზვიადებული ინტონაციით არის მოცემული სათაური – „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მესამე ნომერი კრიტიკის თვალთ“. არავითარი კრიტიკული ანალიზი აქ არ არის. ძირითადად ავტორი იძლევა საკმაოდ კარგ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას და გამოთქვამს შენიშვნას ერთ მომენტთან დაკავშირებით, რაც ძირითადად ეხება ბიბლიოთეკაში რელიგიურ თემატიკაზე ჩატარებულ ღონისძიებებს. რაკი ეურნალის სტატიის ავტორი ნანა ქავთარაძე თვლის, რომ ერთგვარ გაუგებრობას აქვს ადგილი, რელაქცია აძლევს მას საშუალებას გამოთქვას თავისი აზრი.

საერთოდ, ბიბლიოთეკებში რელიგიური ნეიგრალიგეცის დაცვა, რასაც საქართველოს საბიბლიოთეკო კანონი მოითხოვს, საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც დაკავშირებულია იურიდიულ, ეთიკურ, მეთოდოლოგიურ და სხვა საკითხებთან. ამდენად, სასურველია ამ თემატიკის დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი დარგების სპეციალისტებმა, რაც დაეხმარება პრაქტიკოს მუშაკებს, მაღალპროფესიულ დონეზე წარმართონ თავიანთი საქმიანობა ამ მიმართულებით.



ნიკო ლორთქიფანიძე-ბიოგრაფია

დარეჯან კოტეტიშვილი, მზია ტოგონიძე

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრამ ცნობილი ბიბლიოთეკათმცოდნის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით გამოსცა ნიკო ლორთქიფანიძის ბიბლიოგრაფიული მარჯვენა ხელი, რომლის შემდგენლები არიან კათედრის წევრები: დარეჯან კოტეტიშვილი და მზია ტოგონიძე, რედაქტორი- ქეთევან ფოფხაძე. ერთი ნაწილი წარმოადგენს ნიკო ლორთქიფანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ ბიოგრაფიულ ნარკვევს, ხოლო მეორე ნაწილი მთლიანად ნიკო ლორთქიფანიძის ბიბლიოგრაფიას აქვს დათმობილი. მასში აღწე-

რილია როგორც წიგნები, ისე სამეცნიერო სტატიები და მეთოდური წერილები.

მარჯვენა ხელი ორენოვანია. რუსულ ენაზე მოცემულია როგორც მეცნიერების ბიოგრაფია,

ისე მისი გამოცემის თარგმანები, რომელთა შორის არის პირდაპირ რუსულად გამოცემული მასალაც.

მიუხედავად იმისა, რომ ნარკვევში ვხვდებით ზოგ უზუსტობას და მასალის ჩვენებაში შეცდომებს, იგი მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა სათანადო დარგის სპეციალისტებისათვის. იგი საუკეთესო ნიმუშია განსვენებული ღვაწლმოსილი მოღვაწეების დაფასების და არ დავიწყებისა.

ნიკო ლორთქიფანიძე




ბიბლიოგრაფია





მიმდინარე წელს გამოიცა ინგა ფილაურის სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო „ანოტირების მეთოდიკა“, რომელიც თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრაზე მომზადდა. ნაშრომი შესრულებულია ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის გათვალისწინებული შესაბამისი დისციპლინის პროგრამის მიხედვით. განხილულია როგორც ზოგად-მეცნიერული, ისე დარგის ზოგადი და კერძო მეთოდოლოგია და საქმის ორგანიზაციის ძირითადი საკითხები. წინასიტყვაობი-



სა და შესავლის გარდა, ნაშრომი შემდეგი თავებისაგან შედგება: ანოტაციის რაობა, – ანოტაციის კლასიფიკაცია, – ანოტაციის სტრუქტურული თავისებურებანი, – ანოტაციის ტექნოლოგია, – ცალკეული დარგის ლიგერატურის და გამოცემის სახეების ანოტირების თავისებურებანი, – ანოტირების საქმის ორგანიზაცია. წიგნი შედგება 79 გვერდისაგან; რეცენზენტია დოც. ო.ოსაძე, რედაქტორი – გ.თაყნიაშვილი.

წიგნის საქმეში ანოტაცია ძალიან გავრცელებულია: ის გვხვდება წიგნებში, ბიბლიოგრაფიულ საძიებლებში, კატალოგებში და კარგოთეკებში, საინფორმაციო გამოცემებში, საგამომცემლო გეგმებში, როგორც ხელნაწერის, ისე ბეჭდური სახით. მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საჭირო მასალის გამოვლენასა და შერჩევაში. მისი

შედგენა მაღალპროფესიულ, შემოქმედებით შრომასა და მრავალმხრივ განათლებას მოითხოვს. მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობისა, ჩვენში ანოტირების მეთოდოლოგიური საკითხებს არასოდეს არ მიქცევია სათანადო ყურადღება. ძირითადად საფუძვლად რუსული გამოცემები გამოიყენებოდა, რომლებშიც, თავისთავად, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ქართული სპეციფიკა. ი.ფილაურის ნაშრომი არის პირველი სერიოზული მცდელობა, შეიქმნას სრულყოფილი სასწავლო-მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, რაც ავტორის ღირსებად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ იყოს დარჩენილი მრავალი გადასაწყვეტი პრობლემა, საკითხი თუ თემა, რომელიც ღრმა მეცნიერულ დამუშავებას არ მოითხოვდეს. წიგნის სამყაროში მომხდარი ტექნიკური-მეთოდოლოგიური თუ ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული სიახლეები და მომხდარი ძვრები, ბუნებრივია, ცვლილებებს იწვევს, რის შესწავლა და კვლევა მომავლის საქმეა. ი.ფილაურის წიგნი ამ მხრივ საგულისხმოა, რადგანაც ის მეთოდოლოგიური საკითხების დამუშავებასთან ერთად, ერთგვარ იმპულსს იძლევა, გაგრძელდეს მუშაობა ამ მიმართულებით. ავტორი წინასიტყვაობაში გვამცნობს, რომ მასალის მოცულობისათვის ანგარიშის გაწევის გამო, არ მოხერხდა ნაშრომში კონკრეტული ანოტაციების მაგალითების ფართო განხილვა მომხდარიყო. ცხადია, ეს უფრო სასარგებლოს გახდიდა ნაშრომს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტებთან პრაქტიკული მუშაობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოცემა ძირითადად სტუდენტებისათვის არის გათვალისწინებული, ის უდავოდ საინტერესოა როგორც პრაქტიკული მუშაკებისათვის, ისე ყველა დაინტერესებული პირისათვის.


ფრანგული ცენტრის საჩუქარი

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის მხარდაჭერით მერაბ მამარდაშვილის სახელობის საგამომცემლო დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოცემულ იქნა ფრანგული ნაწარმოებების ქართული თარგმანები. როგორც წიგნებზე დართული საგამომცემლო ცნობებიდან ვიგებთ, ესენია ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრის ძღვენი ქართველი მკითხველებისათვის.


ჩვენი ჟურნალი მაღლიერების გრძნობით აღნიშნავს, რომ მან ხსენებული ცენტრისაგან მიიღო მშვენივრად გამოცემული სხვადასხვა ავტორის რამდენიმე წიგნი. ესენია: პოლ კონსტანის „გულახდილი საუბრები“, ანი ერნოს „ადგილი“, პატრიკ მოლიანოს „უცნობი ქალები“ და

„ღორა ბრუდერი“, მარგერიტ დიუსიასის „კამხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ“, სამუელ ბეკეტის „პირველი სიყვარული“ და „თამაშის დასასრული“, ჟან-პიერ სალაგასის, ალენ ნადოსა და ჟოელ შვიდგის „თანამედროვე ფრანგული რომანი“.

თვით ფაქტი ამდენი თარგმანის ერთბაშად გამოცემისა, უდავოდ მიმანიშნებელია იმ დიდი და ნაყოფიერი საქმიანობისა, რომელსაც დიუმას სახელობის ფრანგულ-ქართული კულტურის ცენტრი ეწევა. გვინდა შევნიშნოთ, რომ ცენტრს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა აქვს ჩვენს ჟურნალთან, რის წყალობითაც ვახერხებთ ზოგი საინტერესო პროფესიული მასალა მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს. ღრმად ვართ დარწმუნებული, ქართველი მკითხველი მაღლიერებით მიიღებს ახალ გამოცემებს, რომლებიც ღირსეულ ადგილს დაიჭერენ ჩვენს ბიბლიოთეკებში.



ღორა ბრუდერი



სამუელ ბეკეტ

პირველი სიყვარული

თამაშის დასასრული



მარგერიტ დიუსიასი

კამხალი წყნარი ოკეანის წინააღმდეგ

ჟან-პიერ სალაგანი / ალენ ნადო / ჟოელ შვიდგი

თანამედროვე ფრანგული რომანი

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრო-
ნიკა: მოვლენები, ფაქტები



* 6 სამკამპარს ქ.თბილისის საკრებულოს სამოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა კომისიაში გაიმართა შეხვედრა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ხელმძღვანელებთან. საუბარი შეეხო საქალაქო ბიბლიოთეკების ქსელის ოპტიმალურ ორგანიზებასა და ბიბლიოთეკების გექნიკური აღჭურვილობის საკითხებს. გადაწყდა, ასეთ შეხვედრებს მიეცეს რეგულარული ხასიათი, რათა შემუშავდეს იქნეს საქალაქო ბიბლიოთეკების კომპიუტერიზაციის გრძელვადიანი პროგრამა.

* 22 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ღირექციის წარმომადგენლები და საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ეწვივნენ ქ.თელავს. თელავის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოეწყო შეხვედრა კახეთის რეგიონის საბიბლიოთეკო აქტივთან. საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ პრობლემებზე ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა ღირექტორმა ლევან ბერძენიშვილმა, ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრის უფროსმა გურამ თაყნიაშვილმა და საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტმა ირაკლი ღარიბაშვილმა. იმავე დღეს ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში დაიდგა ოთხი კომპიუტერი, მოეწყო შიდასაბიბლიოთეკო კომპიუტერული ქსელი.

* 3 ოქტომბერს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა ცნობილი ქართველი ბიბლიოთეკათმცოდნისა და ბიბლიოგრაფის ნიკო ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. ვრცელი ინფორმაცია ამ ღონისძიებების შესახებ იხ. ჩვენი ჟურნალის მომდევნო ნომერში.

* 9 ოქტომბერს ქ.ახალციხეში ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის მხარის საბიბლიოთეკო აქტივის თათბირი. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები ბიბლიოთეკარებს ესაუბრნენ მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესების პრობლემებზე. თათბირში მონაწილეობდნენ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი და ასოციაციის აღმასრულებელი ღირექტორი გურამ თაყნიაშვილი. მეორე დღეს ასოციაციის დამფუძნებლებმა მოინახულეს ასპინძისა და ახალ-

ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკები, ესაუბრნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

* 17 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებული საკორდინაციო საბჭოს მორიგი სხდომა. განიხილეს ქ.თბილისში მცხოვრებ ინვალიდთა საბიბლიოთეკო მომსახურების მდგომარეობა.

* 18 ოქტომბერს ქ.რუსთავში გაიმართა სამხარეო კულტურის სამმართველოების უფროსებისა და ცენტრალური რაიონული ბიბლიოთეკების ღირექტორთა თათბირი (მრგვალი მაგიდა); თათბირს უძღვებოდა კულტურის მინისტრი ქ-ნი სესილი გოგიბერიძე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ მწერლები, გამომცემლები, ქ.რუსთავის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

* 24 ოქტომბერს თბილისის საკრებულომ განიხილა ქ.თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების მუშაობის საკითხი. საკრებულოს სამოგადოებასთან ურთიერთობისა და საგარეო საკითხთა კომისიამ შეიმუშავა წინადადებები მუნიციპალური ბიბლიოთეკების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი ირაკლი ღარიბაშვილი.

* ოქტომბრის ბოლოს ქ.თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანების ღირექციამ ჩატარა საქალაქო ბიბლიოთეკების თანამშრომელთა აგესტაცია.

* 5 ნოემბერს ქ.თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გაერთიანების ღირექციამ შეხვედრა მოეწყო ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ რედაქციას. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალების გამგეები, ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობის სტუდენტები, მკითხველები. გამოითქვა სურვილები და წინადადებები ჟურნალის პროფესიული ღონისძიებებისა და მისი რეალიზაციის პრობლემებზე.

* 28 ნოემბერს ქ.თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტში გაიმართა ქ.თბილისის სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. კონფერენციის ორგანიზატორი იყო საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის უმაღლესი სასწავლებლების კომიტეტი (თავმჯდომარე ქ-ნი გულნარა სტურუა).

ჩვენი პროფესია

„აქვან ჩივი აქვს სასოვნარი“



მარიამ შაჰმურადიანი

მარიამ შაჰმურადიანი ცნობილი სპეციალისტია, რომელიც სიყრმიდანვე ეზიარა ბიბლიოთეკარის საამაყო პროფესიას და დღემდე ერთგულად მსახურობს ამ ასპარეზზე. ოთხ ათეულ წელზე მეტია, იგი საბიბლიოთეკო საქმეში მოღვაწეობს და გამოირჩევა როგორც გამოცდილი პროფესიონალი და კარგი ორგანიზატორი. სხვადასხვა დროს მუშაობდა ავტომშენებელი ქარხნის ბიბლიოთეკაში, №38-ე, №41-ე, №27-ე საქალაქო ბიბლიოთეკებში როგორც რევიტი, ისე ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მინიჭებული აქვს საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება. ყველგან გამოირჩეოდა კეთილსინდისიერი, თავდადებული შრომით, ადამიანებთან კეთილი ურთიერთობით. მის პირად ცხოვრებას დიდ სტიქიულს აძლედა მისი საკუთარი ოჯახი - მეუღლე - აწ განსვენებული მწერალი სიმონ შაჰმურადიანი, შვილები, შვილიშვილები. მისი ცხოვრების გზა არ იყო იოლი - ბევრი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა, მაგრამ ყველაზე შიშვე მანც მეუღლისა და შვილის, 19 წლის ჭაბუკის - ბეთქილის უდროოდ დაკარგვა იყო. იგი დიდ იმედებს იძლეოდა, რაზედაც მეტყველებს მისი ლექსების კრებული „თეთრი რვეული“. ქალბატონი მარიამი მრავალმხრივი ადამიანია. საბიბლიოთეკო სპეციალობასთან ერთად იგი ბუნებისმცოდნეობით დარგსაც დაეუფლა; მისი არაერთი პუბლიცისტური თუ მხატვრული ნარკვევი გამოქვეყნებულია ჩვენი პრესის ფურცლებზე. ამჟამად ჩვენს მკითხველებს ვთავაზობთ ღირიზმით შეფერილ მის მოგონებათა ერთ პატარა ნაწყვეტს, რომელიც, არა გვეონია, თანამედროვე წიგნის მოყვარულის გრძნობებს არ ეთანახმობიერებოდას.

შორეული წარსულია, მაგრამ ღირს ვახსენება, რადგან მას სხვა ამბებიც მოჰყვება, როგორც მდინარეს გზადაგზა პაგარა ნაკადულები მიუერთდებიან ხოლმე.

თითები სრიალებენ კლავიშებზე, ხან მხიარული, ხან სევდიანი ჰანგები იღვრება ოთახში. დიდი ოთახის ღია კარიდან მოჩანს ჩვენი ეზო, რიყის მოკირწყლული პაგარა დეკორატიული ბაღით. ნიავე არხევეს განმალალ ნაძვისხეთა კენწეროებს, ჩიგები რიალებენ ირგვლივ და ჟიჟიჟივებენ.

გამაფხულია. ჰაერში თეთრად აყვავებული აკაციის სურნელი დგას. ჩამავალი მზის სხივებზე ნათლად მოჩანს ძელსკამებზე ჩამომსხდარი ეზოს ბინადართა სახეები. შავ სავარძელში ვზივარ და ვუსმენ... ვუსმენ... ვუსმენ... თეთრი-ყავისფერ მრგვალი ლაქებით მოხატული ჯეკი პატრონის ფერხითი გაწოლილა. ისიც ჩემსავით განაბულა. სიამოვნებისაგან კუდს აქიცინებს, ისიც ჩემსავით უსმენს - გაუცნობიერებლად.

თვალი გამირბის კედელზე ჩამოკიდებულ სურათებისკენ; საბოლოოდ ერთზე ვჩერდები - „პაემანი“ (ეს მერე შევიგყვე, მოგვიანებით). დედა-შვილის სულიერი ტანჯვა სიბრაღულით მავსებს. მუსიკის სევდიანი ლივლივი მიმძაფრებს ფიქრს ამ ორი არსების ბედზე, მომავალზე და რაღაც მტკივა ყრუდ მკერდში. უხმოდ, უცრემლოდ ქვითინებს ჩემს ბავშვურ არსებაში ეს რაღაც.

ოთახი, სადაც უამრავი რამ მომისმენია, მიწახსავს, გაძივია სამხატვრო გალერეას ჰგავდა. კედლებზე უკიდა კლასიკოსთა სხვადასხვა მომის ნახატები ლამაზად მოჩუქურთმებული ოქროსფერი ჩარჩოებით.

მაღალი ჭერიდან ნაირფერი მბზინავი ქვებისაგან შეკრული ჭალი ეშვებოდა ოქროსფერ რგოლში, რომლის გარშემოც სამ ფაფარაყრილ ლომს დაელო ხახა. ჭალის ანთების დროს სხვადასხვა ფერი იფრქვეოდა. ირგვლივ ცისარგყელად ეფინებოდა კედლებს, სურათებს, იატაკს, ყვითელ ხავერდგადაკრულ სავარძლებს, წიგნის კარადებს, სხვადასხვა წვრილმან და მსხვილმან ძვირფას ნაკეთობებს, ფუფუნების საგნებს...

და იყო ყველაფერი ეს მლაპარი! მაგრამ ჩემთვის სავსებით რეალური, ხელშესახები მლაპარი, მასში მცხოვრები კარკი ადამიანებით.

ეზოს მობინადრეებს ამ ოჯახთან მტკიცე ძაფები გვაკავშირებდა - ისინი ჩვენი სახლის პატრონები იყვნენ, ჩვენ მათი მდგმურები, მაგრამ ჩვენ შორის ასეთი დამოკიდებულებისათვის მღვარს ვერ ვაველებდით. უბრალოები, ადამიანურები იყვნენ. ამ ოჯახის უფროსი ქალბატონი მარიამი რუსული ენის მასწავლებელი იყო, ხოლო ძმა ალექსანდრე ჩიჩუა - პროფესიით ინჟინერი, მაგრამ გაგაცებით: ლიგერაგორი, მხატვარი, პიანისტი, ფოტოგრაფი, მონადირე. ჩემს უფროს ძმას წიგნებს აძლევდა ხოლმე წასაკითხად,

ხატვასაც ასწავლიდა, ძმა კი მე მასწავლიდა.

პირველი წიგნი, რომელმაც დამაფიქრა, შემაყვარა თავი, სწორედ აქ, ამ ოთახში „გავი-ცანი“, ამ სახლში ვნახე პირველად შოთა რუსთა-ველის „ვეფხისტყაოსანი“, ზიჩის ნახატებით. ჯერ თვითონ ყდა იყო საინტერესო, მერე – ფურცლები – მკვრივი, სქელი, ქათქათა, პრიალა, 1888 წელს გამოცემული. ამიგომ მახსენდებიან დღე-საც, ახლა უკვე მთლად თმაგათეთრებულს, და-ძმა ჩიჩუები ასე ხშირად.

ეს მოგონებაც ერთი იმ დაუბრუნებელ სა-ღამოთაგანია:

ალექსანდრემ დაკვრა დაამთავრა და ჩე-ნსკენ შემოგრიალდა. მე ისევ გაყუჩებული ვი-ჯექი. მარიამი ჩუმად იჯდა სავარძელში და მუხ-ლებზე გაშლილ წიგნს ჩასცქეროდა.

– შენ ისევ ლერმონტოვს კითხულობ? – მიმართა ძმამ და ხმამაღლა წარმოსთქვა:

„ როგორც სამშობლოს სიმღერები ნაზი და გუ-ბილი – მიყვარს კავკასია!“

– დიას საქართველომ აქცია ლერმონტოვი პოე-ტად – დაამუსგა ამრი ალექსანდრემ.

– გორკიც – ამბობს მარიამი და ახლა ის იმეო-რებს გორკის სიგყვეს „საქართველოს ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიკამ – მე, მაწანწალა, ლი-ტერატორად მაქცია“,

– და სამივემ იმ კედელს შევხედეთ, ძვირფას, დიდ ჩარჩოში, ალექსანდრეს მიერ დახატული ერთი აწოწილი, შემოფხრეწილ განსაცმლიანი კაცი რომ იდგა.

ხშირად შეუწუხებივარ ამ კაცის ბედზე ფი-ქრს: ასეთი მწერალი, საქვეყნოდ განთქმული პი-როვნება და – მათხოვარივით? თუმცა მათგანვე ვიცოდი მეორე სურათზე გამოსახული პერსო-ნაჟის ამბავიც, ჭაღარა, გრძელწვერა, ფეხშიშ-ველა, უბრალო, თეთრი ჩამოშვებული ხალათით... მისი გრაფობა, სახელგანთქმულობა, დიდი მწე-რლობა, კარგა ხანს არა მჯეროდა.

ფიქრიდან წიგნიდან მარიამის ხმამაღალმა წაკითხულმა გამომიყვანა: „ჩემს სახეზე ყველა კითხულობდა ავი თვისებების ნიშნებს, რომლე-ბიც არ არსებობდა, მაგრამ ასე წარმოიდგინეს და ისინიც იშვნენ. მოკრძალებული ვიყავი – ცბი-ერებას მაბრალებდნენ და მეც გულჩათხრობილი გავხდი, მე ღრმად განვიცდიდი კეთილსა და ბო-როგს – მე არავინ მეაღერსებოდა, ყველა მჩაგ-რავდა და გულდრო გავხდი. მე დაღვრემილი ვიყავი, სხვა ბავშვები კი – გიკგია და მხიარუ-ლები. ჩემ თავს მათზე მაღლა ვაყენებდი, სხვები კი დაბლა მაყენებდნენ და მე შურიანი გავხდი. მზად ვიყავ მთელი სამყარო შემეყვარებინა –

ვერავინ მიმიხვდა და მე სიძულვილი ვისწავლე. ჩემი უსიხარულო ახალგაზრდობა ჩემს თავსა და მაღალ საზოგადოებასთან ბრძოლას მოუნდა, სა-უკეთესო ჩემ გრძნობებს, დაცინვის შიშით, გუ-ლის სიღრმეში ვმარხავდი, – ისინი იქვე ჩაკვლ-ნენ. სიმართლეს ვამბობდი, არ დამიჯერეს, და მოგყუება დავიწყე“.

– პეჩორინის ეს სიგყვეები თითქოს ეხმიანებოდა ხსენებული სურათების შინაარსს, დიდ ადამიან-ურ ნაღველს რომ ფარავდნენ. ამას ახლა ვხე-ლები, როცა გავიდა დრო. ბევრი სხვა მწერალი და მხატვრული ნაწარმოები გახდა ჩემთვის სა-ლოცავი, მაგრამ ლერმონტოვი სხვაგვარი სით-ბოთი, მტკივნეულად შემოინახა სულმა. შეიძლე-ბა იმიგომ, რომ პირველად მაკოვსკის „პაემ-ნის მერე მან შემიკუმშა სული, ცხოვრებისეული, ადამიანური ნაღველით.

რა მომცა ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირმა“, ხოლო შედეგ ბალზაკის „შაგრენის ტყა-ვმა“, რომლებსაც წელიწადში ერთხელ მაინც ვკით-ხულობდი, ვიდრე სკოლას დავამთავრებდი და რომლებიც ჩემი ცხოვრების თითქმის მუდმივ თანამგზავრებად იქცნენ?

პირველმა ადამიანთა სულში ჩახედვა მას-წავლა, მეორემ კი – ფიქრი, ფიქრი ღრმა, სერი-ომული.

ჩემი ბავშვობის ყველა ეს მოგონება – ძვი-რფასი, განუმეორებელი, დაუვიწყარი, დაუბრუ-ნებელი – თითქოს მზისფერ ჩარჩოშია მოთავ-სებული, ხალვათი, ჭერმაღალი ოთახით და მისი ბინადრებით.

ამ ოთახში მოვისმინე პირველად პეროს „წითელქუდა“, „წიქარა“, ანდერსენის შესანიშ-ნავი ზღაპრები, უფრო მოგვიანებით, ჩვენი სასი-ქადულო მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის შესა-ნიშნავი მინიატურები; ბიოგრაფია ჯეკ ლონდო-ნისა (ეს ბავშობაში), რომლის თვითმკვლელო-ბამ შემძრა მთლიანად; შეგრძნება იმისა, რომ ამ საქციელში რაღაც დიდი, ადამიანური, სულის სიღრმისეული დიდი გრაგელია უნდა ყოფილიყო, – შემადრწუნა.

და როგორ მინდოდა წერა-კითხვა მცოდ-ნოდა, როგორ! ... თუმცა თაროზე ნაპოვნი ეს სუ-რათებიანი წიგნი უცხო ენაზე იყო.

ასევე შემძრა ზიჩის ნახატებმა, რომელნიც ჩემთვის გაუგებარი იყო. მისი გაგების სურვილი წლების მანძილზე მაწამებდა. ვაწუხებდი კითხვ-ებით, მაგრამ პაგარა უფლისწულივით ჩემი კით-ხვების მიმართ ისინი უგყვნი რჩებოდნენ, რის გამოც ხშირად მიხდებოდა მათი ფურცვლა, ჩემ-თვის საინტერესო სურათების ხელახლა გადახე-



ღვა. დღემდე მაღლობელი ვარ, რომ ამ მძიმე წიგნის გადმოღებაზე, ფურცელაზე შუბლს არ იკრავდნენ, ოღონდ მაფრთხილებდნენ, სურათების წინ პაპიროსის თხელი ფურცლები სურათებისათვის სათუთად დამეფარებინა.

სწორედ ამ ბლაპრულ ოთახში უამრავი რამის ნანახისა და გაგონილის წყალობით გავიგნე გზა ბიბლიოთეკისაკენ, სადაც შევიგრძენი არა მარტო წიგნისადმი ინტერესი, არამედ ვისწავლე და შევიყვარე ყვავილების გაფურჩქვნის პოეზია, გულისხმიერება, რიდი, კრძალვა, ადამიანებისადმი პატივისცემა, ფიქრი, ოცნება, აქ სულ სხვა თვალთ დავინახე სამყარო, აქ მეზადებოდა სურვილი, გადავსულიყავი სურათებში გამოხატულ ადამიანებში, გამომეცნო მათ თვალებში ალბეჭ-

დილი ფიქრი, წუხილი, მეცხოვრა მათი ცხოვრებით, აქ მეზადებოდა უამრავი მტკივნეული, ცხოვრებისეული კითხვა. ამ კითხვებმა შემაყვარეს წიგნები, რომლებიც გზადაგზა იძლეოდნენ პასუხს ბავშვობის დროინდელ კითხვებზე.

წიგნის დიდმა სიყვარულმა განსაზღვრა ჩემი პროფესია – ბიბლიოთეკარობა. ეს ჩემთვის საამაყო პროფესიაა და შეიძლება ნამდვილი მოწოდებაც. ჩემი პროფესიის წყალობით ვეცნობოდი და ვუშეგობრდებოდი ადამიანებს, რომლებიც სულით მენათესაებოდნენ.

„მე ყველა მიყვარს, ვისაც სულით ოდნავად ვგავარ“ (გივი ძნელაძე) მე კი ასე ვიგყოდი: ყველა მიყვარს, ვისაც გულით და სულით უყვარს წიგნი.

რაც გვესმის წიგნისა და კითხვის შესახებ

წყაღქვეა წიგნები

ნატურალისტთა გასახარად შეიძლება ითქვას, რომ შესაძლებლობა არის დამზადდეს წყაღგამძლე წიგნები. ასეთი წიგნები, უპირველეს ყოვლისა, იხგიოლოგებისათვის არის ხელსაყრელი. პოლიეთელენის ქალაქდმე დაბეჭდილი ცნობარი საშუალებას მისცემს მკვლევარებს წყაღქვეშე ისარგებლონ ინფორმაციის მისაღებად თევზებისა და მღვის სხვა ბინადართა შესახებ.

“ვარსკვლავისებური” კითხვა

საინტერესო მეთოდს გვთავაზობს ანდრეა მორუა კითხვის გეგმიურად წარმართვისათვის: ერთი წიგნის წაკითხვა იწვევს მეორე წიგნის წაკითხვას. მაგალითად, - წერს იგი, - მე ვკითხულობ პრუსგს და ამ ავტორის გაცნობისას ვგებულობ, რომ პრუსგი აღფრთოვანებული ყოფილა რესკინითა და ჟორჟ მანდით, მეც ვიწყებ მათ წაკითხვას. ამგვარად შაგობრიანმა აღმიძრა ინტერესი ჟუბერისადმი ... მორის ბარინჩის საშუალებით პირველად გავეცანი ჩეხოვს, გოგოლს...

ვერ ვიგყვით, რამდენად საყოველთაოა ამგვარი “ვარსკვლავისებური” კითხვის მეთოდი, რამდენადაც კითხვის მეთოდიკა მდლმიწევნით პიროვნულია, მაგრამ არ შეიძლება არ დავეთა-

ნხმით მორუას იმაში, რომ ამგვარი კითხვით ნამდვილად “ისკენება სულიერი მეგობრობის ძაფები”.

სწრაფი კითხვის საზღვრები


სწრაფი (დინამიური) კითხვა რომ უკვე ახალი მოვლენა არაა, საყოველთად ცნობილია, მაგრამ ხშირად ისეთ მონაცემებს გვთავაზობენ, გონებისთვის თითქმის მიუწვდომელია. ჯერ კიდევ როდის გაჩნდა ევროპულ პრესაში ცნობები სწრაფი კითხვის ფენომენალურ შედეგებზე. მათი შეგყობინებით, იაპონიაში “სწრაფი კითხვის საზოგადოების” წევრები წუთში 100 ათას ასონიშანს “ითვისებდნენ”. ამგვარად მათ შეუძლიათ 250 გვერდიანი წიგნი 8 წუთში წაიკითხონ, თანაც არა შინაარსის ათვისების საზიანოდ. გადმოცემით იაპონელებს სწრაფი კითხვის მეთოდები ძველ კორეულ ბეძნთაგან შეუთვისებიათ. სწორედ სწრაფი კითხვის რეკორდიც კორეელებს ეკუთვნით. რეკორდსმენმა 10 წლის ასაკში შეძლო წუთში 1 მილიონ 200 ათასი ასონიშნის წაკითხვა. ერთს არ იგყობინებიან ოღონდ: რა უფრო სასიამოვნოა – დაგკბე შენი სისწრაფის შედეგებით, თუ წაკითხულის შინაარსით.

თქვენ როგორ ფიქრობთ?


კონწარას გამოფენა კომენტარებით
ასპინძის ცენტრალური ბიბლიოთეკის კარმიდამო და შიდა ხედი



ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკა



ასე გამოიყურება ასპინძის ცენტრალური ბიბლიოთეკის ეზო



სადაცა ჩამოინგრა ასპინძის საბავშვო ბიბლიოთეკის ჭერი

ბიბლიოთეკის მუშაკთა მონდომება და მათი ნახელავი როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება იმ პირობებისაგან, რომლებშიც ბიბლიოთეკა იმყოფება. რაკი ცა ვახსენეთ, ვიგყვი იმასაც, რომ მართლაც, სულ ცოტაც, და ბიბლიოთეკარები და მათი მკითხველებიც სულ მალე შეძლებენ ჭერიდან ცას მიაპყრონ თვალები.

წიგნების თაროები, კედლის გაფორმება, საჭირო აქსესუარი ნათლად მეგყველებს თანა-

მშრომელთა ინიციატივანობაზე, რასაც ვერ ვიგყვით მათზე, ვისაც ევალება, ცა არ ჩანდეს ბიბლიოთეკის ჭერიდან. იქნებ ისინი გულს იმშვიდებენ: კაცმა რომ თქვას, ცის ხილვა რატომაც უკუდი წიგნზე მუშაობის დროსო? მაგრამ წვიმა და თოვლი? აქაც შეიძლება მესვეურებმა გამოინახონ გამოსავალი: როგორც ბუნებათმცოდნეები ამბობენ, საცა წყალია, იქ სიცოცხლეც არისო.







თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის საქალაქო საბიბლიოთეკო გაერთიანების შეხვედრა ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკის" რედაქციასთან.



სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა პროფესიული ლიტერატურის დიდი ნაწილი სერიით "ადამიანის უფლებათა დაცვის ბიბლიოთეკა". ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ცენტრში გასხნილია ამ წიგნების გამოფენა. იგივე წიგნების თითო ეგზემპლარი დაეგზავნა საქართველოს ყველა ცენტრალურ ბიბლიოთეკას.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის III კორპუსში უკვე კარგა ხანია ფუნქციონირებს ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი

სპ 327/2

კველი ქართული მწიგნობრობის კერები



გორის სიონის სიონი